178
1986/2

ISSN 0132-5981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

1986

6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ლერი თალაკვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე
ანგი არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)
გელა გერძენიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ანზორ გაგიანი
შოთა გორგოძე
აკაკი კარანაძე
დურმიშხან ლორია
ვახტანგ რაზმაძე
გრიგოლ როინიშვილი
თამაზ შავგულიძე
ალექსანდრე შუშანაშვილი
ირაკლი ჩიქოვანი
სერგო ჯორბენაძე

Главный редактор
Талаквадзе Л. Г.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.
Арсенашвили А. Г.
(научный редактор)
Бердзенишвили Г. Д.
(ответственный секретарь)
Габиани А. А.
Горгодзе Ш. В.
Джорбенадзе С. М.
Каранадзе А. Г.
Лория Д. А.
Размадзе В. А.
Роинишвили Г. В.
Чиковани И. П.
Шавгулидзе Т. Г.
Шушанашвили А. А.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 6

ნოემბერი
დეკემბერი

1986 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ . . 3

სკკპ XXVII ყრილობა და სამართლის მეცნიერების ამოცანები 8

10 ნოემბერი საბჭოთა მილიციის დღეა

ვ. შადური — ოქტომბრის პირმშო 11

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

მ. მამნიაშვილი — ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი . . 16

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება 20

თეორიის საკითხები

შ. ფაფიაშვილი — დანაშაულის გახსნის მეთოდიკის ცნება 27

სასამართლო ექსპერტიზა: სიახლენი და პრაქტიკა

ვ. ჯაოშვილი — სასამართლო-საექსპერტო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი . . . 32

მოზარდი და დანაშაული

შ. დემეტრაძე — სრულვყოთ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ხელახალი აღზრდის პრაქტიკა 36

დისკუსია და პოლემიკა

ო. გამყრელიძე — დამატებითი განმარტება 41

ჩვენი პროფესიის ადამიანები

გ. გურული — ხალხის ნდობა 47

გ. ბერძენიშვილი — მოვალეობის მაღალი გრძნობით 49

ოფიციალური მასალა

საცხოვრებელი სადგომების გაცვლის წესები 51

ლ. ჩორგოლაშვილი — საცხოვრებელი სადგომების გაცვლის სასამართლო პრაქტიკა . 56

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დ. სულაქველიძე — მეცნიერთა თანამშრომლობის თვალსაჩინო შედეგები . . . 62

ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა“ 65

ინფორმაცია 73

ნეკროლოგი 80

СОДЕРЖАНИЕ

В Центральном Комитете КПСС

О дальнейшем укреплении социалистической законности и правопорядка, усилении охраны прав и законных интересов граждан 3
XXVII съезд КПСС и задачи правовой науки 8

10 ноября — День советской милиции

В. Шадури — Детище Октября 11

Первые шаги в науке

М. Мамниашвили — Правовой статус автономной республики . . . 16
Постановление Пленума Верховного суда ГССР 20

Вопросы теории

Ш. Папиашвили — Понятие методики раскрытия преступления . . . 27

Судебная экспертиза: новшества и практика

В. Джаошвили — Некоторые вопросы практики судебной экспертизы . 32

Подросток и преступление

Ш. Деметрадзе — Совершенствовать практику перевоспитания несовершеннолетних правонарушителей 36

Дискуссия и практика

О. Гамкрелидзе — Дополнительное разъяснение 41

Люди нашей профессии

Г. Гурули — Доверие народа 47
Г. Бердзенишвили — С чувством большой ответственности . . . 49

Официальный материал

Правила обмена жилого помещения 51
Л. Чорголашвили — Судебная практика обмена жилого помещения . . 56

Критика и библиография

Д. Сулаквелидзе — Зримый результат совместной деятельности ученых . 62
Э. Кипиани, Т. Шавгулидзе — Право для всех 65
Информация 73
Некролог 80

© „საბჭოთა სამართალი“, 1986 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, ალექსანოვის ბრ. 103, ტ. 95-88-49, 95-58-87

გადაეცა წარმოებას 21. 11. 86 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 12. 86 წ.,
ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.
შეკვ. № 2688 ტირაჟი 28.000 უე 05174

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ

ამ საკითხის გამო მიღებულ დადგენილებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ პარტიის XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის დემოკრატიზაციის, მასების შემოქმედებითი აქტიურობის გაძლიერების კურსის განხორციელება განუყრელად უკავშირდება სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების საიმედო დაცვის უზრუნველყოფას, სოციალური სამართლიანობის პრინციპების ზედმიწევნით ზუსტ აღსრულებას. ყრილობის მითითებათა შესაბამისად თანამიმდევრულად ხორციელდება საკანონმდებლო, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები, რომელთა მიზანია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება, წამატებებისა და თვალის ახვევის აღმოფხვრა, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევა, უშრომელი შემოსავლის, სხვადასხვა სამართალდარღვევის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ეს ღონისძიებები ერთსულოვნად მოიწონა ხალხმა, ისინი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოებაში მთელი ატმოსფეროს გაჯანსაღებას.

მაგრამ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფისათვის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის მუშაობა ჯერ არ არის საკმაოდ ეფექტიანი და სრულად არ შეესაბამება დროის, კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მოთხოვნებს. სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ყოველდღიურ პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათად ხდება სერიოზული გადახრები სამართლის ნორმებისაგან, მეტადრე ისეთი საკითხების გადაწყვეტის დროს, რომლებიც ხალხის საარსებო ინტერესებს უკავშირდება. საკმაოდ გავრცელებულია შრომის კანონმდებლობის, ბიჭების განაწილების დადგენილი წესის, ჯარიმებისა და სხვა ადმინისტრაციული სასჯელების დადების წესის დარღვევები. შესუსტებულია ბრძოლა სახელმწი-

ეროვ. ბიბ. კ. ციციშვილის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ფო და საზოგადოებრივი საკუთრების ხელყოფის, სხვა ანგარებითი დანაშაულობების წინააღმდეგ. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში, სამინისტროებსა და უწყებებში დიდი ხნის განმავლობაში დაუსჯელად მოქმედებდნენ დამტაცებელთა და მექრთამეთა ჯგუფები, რომლებიც ახლა ამხილეს. ამგვარი მოვლენები ძირეულად ეწინააღმდეგება საბჭოთა საზოგადოების ინტერესებს, შეუთავსებელია სოციალისტური ცხოვრების წესთან და მათ აქტიურად და უკომპრომისოდ უნდა ვებრძოდეთ.

/ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, მიიჩნია რა, რომ კანონების განუხრელი დაცვა, მოქალაქეთა უფლებების გარანტიებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვის შემდგომი გაძლიერება საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების, ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარების, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავების აუცილებელი პირობაა, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაავალა ფართოდ გაშალონ და თანამიმდევრულად, მიზანდასახულად აწარმოონ მუშაობა სოციალისტური კანონიერების, მოქალაქეთა უფლებების მკაცრად დაცვის უზრუნველყოფისათვის და მიიჩნიონ ეს მიმდინარე გარდაქმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, განუყოფელ მხარედ./

პარტიული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან ერთად მთლიანად აგებენ პასუხს თავიანთ ტერიტორიაზე კანონიერებისა და მართლწესრიგის მდგომარეობისათვის. ისინი მოწოდებული არიან მუდმივად იქონიონ თვალთახედვის არეში ეს საკითხები, წარმართონ და კოორდინაცია გაუწიონ პარტიული ორგანიზაციების, სახელმწიფო დაწესებულებების, სამართალდაცვითი ორგანოების, მთელი საზოგადოებრიობის მეცადინეობას კანონის მოთხოვნათა ყოველგვარი დარღვევებისა და მოქალაქეთა უფლებების შემლახველი ყოველგვარი მოქმედების აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის, აქტიურად გამოიყენონ ამ მიზნით ორგანიზაციული, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სამართლებრივი საშუალებები.

/ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა შეუნელებელი ყურადღება დავუთმოთ მშრომელთა სამართლებრივ აღზრდას, ჩამოვუყალიბოთ მათ უფლება-მოვალეობების ერთიანობის ღრმა გაგება, დიდი მოქალაქეობრიობა, ჩავუნერგოთ საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური ერთად ცხოვრების წესების პატივისცემა, სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევებისადმი შეურიგებლობის გრძნობა. ნიადაგ ვიზრუნოთ ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების სამართლებრივი მომზადების გაუმჯობესებისათვის და მივიჩნიოთ ეს მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებელ პირობად. ყველა საბჭოთა ადამიანს ჩავუნერგოთ იმის რწმენა, რომ მტკიცე კანონიერება, შეგნებული დისციპლინა ჩვენი დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია, რომლის შემდგომი გაფართოება აქტიურად უწყობს ხელს საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარის განვითარებას.

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, /კანონიერების დარღვევის ყოველი შემთხვევა, ვინც უნდა დაუშვას იგი, პრინციპულად, მწვავედ უნდა შეფასდეს და მკაცრად დაიგმოს/ ხოლო ამაში ბრალეული პირები მთელი სიმკაცრით დაისაჯონ. ამასთან საჭიროა თანამიმდევრულად განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების მოთხოვნა, რომ კომუნისტები ორმაგად აგებენ პასუხს კანონის დარღვევისათვის — სახელმწიფოსა და პარტიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაშე. იმათ მიმართ, ვინც ცდილობს ფეხქვეშ გათელოს საბჭოთა კანონები, მოქალაქეთა უფლებები. არ შეიძლება და არც უნდა ვიჩენდეთ ლიბერალიზმსა და შემწყნარებლობას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია მნიშვნელოვნად გაიზარდოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების ყველა რგოლის, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ კანონებს ვანუხრელად იცავდნენ სახელმწიფო დაწესებულებები და სამეურნეო ორგანიზაციები, თანამდებობის პირები და ყველა მოქალაქე საკუთარ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისათვის. მტკიცედ უნდა დავძლიოთ ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების, ადამიანებისადმი, მათი კანონიერი ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისადმი უსულგულო, ჩინოვნიკური დამოკიდებულების ყველა გამოვლინება.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები მოწოდებული არიან უაღრესად აქტიურად ახდენდნენ გავლენას მათდამი დაქვემდებარებული შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოების საქმიანობაზე, უზრუნველყოფდნენ მუდმივი კომისიების, აღმასკომების სესიებსა და სხდომებზე, შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამ ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშებისა და ინფორმაციების განხილვას. შეუნელებელი ყურადღება უნდა დაეთმოს სანოტარო კანტორების, ადვოკატთა კოლეგიების, იურიდიული კონსულტაციების, სახავტოინსპექციის ადგილობრივი ქვეგანაყოფების, უბნის ინსპექტორების, მილიციის საპატრულო-საგუშაგო და საპასპორტო სამსახურების მუშაობაში სიზუსტისა და კულტურის დონის ამაღლებას.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გაძლიერდეს სახალხო კონტროლის ორგანოების, აგრეთვე ამხანაგური სასამართლოების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, სიფხიზლისათვის ბრძოლის საზოგადოებებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი კანონიერების განსამტკიცებლად, სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად თავისი კონსტიტუციური მოვალეობების შესრულების დროს თითოეული საბჭოთა მოქალაქის აქტიურობის გადიდების საქმეში.

საჭიროდ არის მიჩნეული სასამართლოების, პროკურატურის, მილიციისა და სხვა სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის გარდაქმნა, რათა ისინი საიმედოდ იცავდნენ სახელმწიფოს ინტერესებსა და მოქალაქეთა უფლებებს, კიდევ უფრო ეფექტიანად ებრძოდნენ სამართალდარღვევებსა და დანაშაულობებს, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მშრომელებთან, გვიჩვენებდნენ კანონიერების უმკაცრესი დაცვის მაგალითს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ი. ტერებილოვს, სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ამხ. ა. მ. რეკუნკოვს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს ამხ. ა. ვ. ვლასოვს, სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრს ამხ. ბ. ვ. კრავცოვს, სსრ კავშირის მთავარ სახელმწიფო არბიტრს ამხ. ე. ვ. ანისიმოვს დაავალა თანამიმდევრულად აღმოფხვრან ნაკლოვანებები შესაბამისი სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაში, გააუმჯობესონ მათი ხელმძღვანელობა, ყოველნაირად გაზარდონ მომთხოვნელობა კადრებისადმი სამსახურებრივი მოვალეობის უზადო შესრულების, პროფესიული მომზადების მუდმივი სრულყოფისათვის. სამართალდაცვითი სამინისტროებისა და უწყებების პარტკომებსა და პარტიულ ბიუროებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ აპარატების კომუნისტების, მათ შორის

ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობა გარდაქმნის განხორციელებაში პირადი წვლილისათვის, მინდობილ უბნებზე ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა გადაჭრით მოეღოს ბოლო წინასწარგანწყობის, ტენდენციური მიდგომის გამოვლინებებს მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის დროს საქმის გაჭიანურებას, გულქვაობას, გულგრილობას ადამიანების ბედისადმი. სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის პრაქტიკიდან მთლიანად უნდა გამოირიცხოს დაუსაბუთებელ დაკავება-დაპატიმრებათა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოქალაქეთა უკანონოდ გადაცემის ფაქტები. ყოველი ასეთი შემთხვევა უნდა შეფასდეს როგორც საგანგებო შემთხვევა, იგი გულმოდგინედ უნდა შემოწმდეს და დასკვნები პრინციპული და მკაცრი უნდა იყოს.

პარტიული კომიტეტების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს სამართალდაცვითი ორგანოების პოლიტიკური ხელმძღვანელობა, კონტროლი გაეწიოს მათს საქმიანობას, გაიზარდოს პასუხისმგებლობა მათი ფუნქციების ზუსტი შესრულებისათვის. როგორც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, ამასთან არ უნდა დავუშვათ ვინმეს, ვინც უნდა იყოს იგი, ჩარევა კონკრეტული საქმეების გამოძიებასა და სასამართლო გარჩევაში.

დღენიადაგ უნდა ვზრუნავდეთ სამართალდაცვითი ორგანოების კადრების თვისებრივი შემადგენლობისა და აღზრდის გაუმჯობესებისათვის, მკაცრად ვადევნებდეთ თვალს იმას, რომ სასამართლოებში, პროკურატურაში, შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოებში სამუშაოდ იგზავნებოდნენ პოლიტიკურად მოწიფული, ზნეობრივად უმწიკვლო ადამიანები, რომლებიც დიდ პროფესიულ მომზადებას უხამებენ მოქალაქეობრივ ვაჟკაცობას, მოუსყიდველობას, სამართლიანობის გამახვილებულ გრძნობას. ამ მიზნით უნდა გავაფართოოთ ამ ორგანოებში შრომითი კოლექტივების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გაგზავნილი პირების სამუშაოდ მიღების პრაქტიკა, დაუცხრომლად აღვზარდოთ სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები კანონის ღრმა პატივისცემის, ნამდვილი ჰუმანურობის, ხალხის თავდადებული და უანგარო სამსახურის სულისკვეთებით.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია, გაიზარდოს სასამართლოებში, პროკურატურის, იუსტიციისა და სახარბიტრაჟის დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა ორგანოების ქვეგანაყოფებში მოქმედი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობა. წარვმართოთ მათი მუშაობა იმისათვის, რომ აქტიურად ახდენდნენ გავლენას საბჭოთა კანონების დაცვის, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის აპარატის მუშაობის სრულყოფაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ პირად შემადგენლობაში სამსახურებრივი დისციპლინის განმტკიცებას.

სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ განუხრელად გააძლიერონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა სახელმწიფო და სახელშეკრულებო დისციპლინის, შრომის კანონმდებლობის დაცვისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ, აგრეთვე წამატებების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონების შესრულებისათვის. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სამართლებრივი ბერკეტები, უწყებრივი კონტროლი, საკადრო და იურიდიული სამსახურები, მთელი სამართალგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყენებითი პრაქტიკა ეფექტიანად უწყობდნენ ხელს სოციალისტური გერგილიანობის განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემაფერხებელი, ვიწროუწყებრივი, ბიუროკრატიული დაბრკოლებების აღმოფხვრას, საიმედოდ ეღობებოდნენ ყველაფერს, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური მეურნეობრიობის პრინციპებს. ჯეროვანი წესრიგი უნდა დამყარდეს ნორმატიული ხასიათის ინსტრუქციების დამტკიცებასა და ბრძანებების გამოცემაში, უზრუნველყოფილ იქნეს, რომ უწყებრივი აქტები შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, დროულად გადაისინჯოს მოძველებული დებულებები.

საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირების დარგობრივ კომიტეტებს, პროფკავშირების რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო საბჭოებს, პირველადს პროფკავშირულ ორგანოებს რეკომენდაცია მიეცათ გააააქტიურონ საქმიანობა მშრომელთა კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი ზედამხედველობისა და კონტროლისათვის, შრომითი ხელშეკრულებების გაუქმების დროს ადმინისტრაციის ინიციატივით მოაწყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძვლიანი გულდასმითი შემოწმება, გამოიჩინონ სიმტკიცე და თანამიმდევრულობა დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევებში, არ დაუშვან მუშაკების უკანონო დათხოვნა. უნდა გაძლიერდეს პროფკავშირების ტექნიკური და სამართლებრივი ინსპექციების როლი შრომის პირობების გაუმჯობესებაში, შრომის კანონმდებლობის ნორმების დაცვაში. უფრო ფართოდ უნდა ჩააბან მათს მუშაობაში აქტივისტები თვით მშრომელთა წრიდან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, სამართალდაცვითი ორგანოების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სასწავლებლები მოწოდებული არიან აამაღლონ სამეცნიერო კვლევის დონე, უფრო აქტიურად დაამუშაონ კანონიერების განმტკიცების აქტუალური საკითხები, განამტკიცონ იურიდიული მეცნიერების კავშირი პრაქტიკასთან, სრულყონ იურიდიული კადრების მომზადება და სამართლებრივი სწავლების სისტემა სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის რედაქციებს რეკომენდაცია მიეცათ სისტემატურად გააშუქონ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, სამეურნეო საქმიანობის გარდაქმნაში სამართლებრივი მეთოდების გამოყენებისათვის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, სამართალდაცვითი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, აღნიშნულია დადგენილებაში, მოწოდებული არიან თავიანთი გამოსვლებით ადამიანებს ჩაუნერგონ კანონის ღრმა პატივისცემა, ის, რომ კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი დაცვა შეესაბამება როგორც მთლიანად საზოგადოების, ისე თითოეული საბჭოთა ადამიანის ინტერესებს. წარმოადგენს მყარი მართლწესრიგის, მოქალაქეთა უფლებების ხელშეუვალობის გადამწყვეტ ფაქტორს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ XXVII ყრილობა და სამართლის მეცნიერების ამოცანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება პარტიის სტრატეგიულ კურსად გამოაცხადა.

ამავე დროს ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „დაჩქარების კურსი არ იფარგლება ეკონომიკის დარგში მიღწეული გარდაქმნებით. იგი ითვალისწინებს აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის თანამიმდევრულ დაჩქარებას. დაჩქარების სტრატეგია გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების მუშაობის ფორმების და მეთოდების განახლებას, სოციალისტური მეთოდების გაღრმავებას, ინერციის, უძრაობისა და კონსერვატიზმის — ყოველივე იმის გადაჭრით დაძლევას, რაც ზელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესს“.

დაჩქარების ასეთი გლობალური და კომპლექსური გაგებიდან გამომდინარეობს საქართველოს მეცნიერ-იურისტთა სადღეისო ამოცანები. ეს ნიშნავს, რომ მეცნიერ-იურისტები აქტიურად უნდა ჩაებან თანამედროვე სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, თავისი გამოკვლევებით ხელი შეუწყონ სოციალისტური სამართლიანობის და აქედან გამომდინარე სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, სოციალისტური სამართლებრივი ურთიერთობის სრულყოფას, სამართლებრივი, იდეოლოგიური ინსტიტუტების განახლებას, სამართლის მეცნიერებაში ინერციის, უძრაობის და კონსერვატიზმის დაძლევას.

მეცნიერ-იურისტთა მოღვაწეობა, როგორც წესი, მიმართული უნდა იყოს ერთი მიზნისაკენ, კერძოდ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებისაკენ, რაც კიდევ უფრო გამოკვეთილად არის ნათქვამი პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში და რომელსაც მთელი რიგი სტრატეგიული მიმართულებანი გააჩნია. მათ შორის, პირველ რიგში საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფა და განვითარება უნდა დავასახელოთ.

საბჭოთა კავშირის ძირითადი კანონი საბჭოთა კონსტიტუციაა. ბუნებრივია, ქართველმა მკვლევარებმა პირველ რიგში კონსტიტუციური სამართლის პრობლემები, განსაკუთრებით კი, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციათა განვითარების საკითხები უნდა იკვლიონ, უურადღება გაამახვილონ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციათა ურთიერთშეფარდება; ნაციონალური ურთიერთობების კონსტიტუციური რეგულირება სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში; მოკავშირე რესპუბლიკა და მისი სამართლებრივი სტატუსი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და სხვა. ყურადღება უნდა გამახვილდეს საბჭოების განვითარების თეორიულ პრობლემებზე, პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობის მარქსისტულ-ლენინური კონცეფციის წარმოჩენაზე.

სკკპ XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ „ჩვენმა კანონმდებლობამ — სამოქალაქო და შრომითმა, საფინანსო და ადმინისტრაციულმა, სამეურნეო და სისხლის სამართლის კანონმდებლობამ — კიდევ უფრო აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას, შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი ქმედითს კონტროლს, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განხორციელებას“.

სამართლის მეცნიერების ყველა დარგის სპეციალისტებმა, უწინარეს ყოვლისა, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, შრომის და საოჯახო სამართლის და სხვა დარგების სპეციალისტებმა დღეიდან უნდა იზრუნონ საბჭოთა კანონმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებლობის სრულყოფისათვის, მისი სამართლებრივი საფუძვლების შესწავლისა და გაანალიზებისათვის. ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა განვითარებული სოციალიზმის კანონმდებლობის თეორიული კონცეფცია, საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის პრობლემა, სამართლის ნორმის მოქმედების ეფექტიანობა.

სამწუხაროდ, დღემდე არ გაგვაჩნია რესპუბლიკური საკანონმდებლო აქტების კომენტარები სამოქალაქო სამართალსა და სამოქალაქო სამართლის პროცესში, სისხლის სამართლის კერძო ნაწილსა და სისხლის სამართლის პროცესში, შრომის სამართალში, საოჯახო სამართალში და სხვ. რესპუბლიკის მეცნიერ-იურისტთა უპირველესი ვალია დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ ხარვეზის შევსებას.

საჭიროა გამოიცეს ავრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა კრებული, საგამოძიებო და სასამართლო დოკუმენტების ნიმუშები და სხვ. მაგრამ ეს არაა მთავარი, მთავარია მეცნიერ-იურისტებმა უშუალო მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკის დარგში გამიზნულ გარდაქმნებში და დაამუშავონ ისეთი პრობლემები, როგორიცაა სამართლის როლი აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტურობის ამაღლებაში; მეურნეობის მართვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების შეხამების სამართლებრივი ასპექტები; რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური ექსპერიმენტების სამართლებრივი საფუძვლები, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სამართლებრივი საფუძვლები და სხვა მრავალი.

სკკპ XXVII ყრილობაზე მიხეილ სერგეს ძე გორბაჩოვმა თქვა: „უმკაცრესად უნდა ვიცავდეთ მართლმსაჯულების, კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის დემოკრატიულ პრინციპებს, სხვა გარანტიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს და თითოეული მოქალაქის ინტერესების დაცვას. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად უნდა გავზარდოთ საპროკურორო ზედამხედველობის როლი, სრულყოთ სასამართლოებისა და ადვოკატურის მუშაობა, უკვე უახლოეს დროში დავამთავროთ მომზადება კონსტიტუციით გათვალისწინებული კანონისა იმ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ, რომლებიც ბღალავენ მოქალაქის უფლებებს“.

აქ დასმული არც ერთი საკითხი არ უნდა დარჩეს მენციერ-იურისტთა ყურადღების გარეშე.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და პროფილაქტიკა ყრილობამ პარტიის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავ საქმედ გამოაცხადა. ამიტომ მეცნიერმა კრიმინოლოგებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ მუშაობა ამ მიმართულებით და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ნარკომანიის, ლოთობის, ანგარებითი დანაშაულის, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, არასრულწლოვანთა დანაშაულის და მთელი რიგი სხვა დანაშაულების მიზეზთა კვლევას, შეიმუშავონ ქმედითი პროფილაქტიკური ღონისძიებები.

ყრილობამ საბჭოთა ადამიანის იდეური აღზრდის პრობლემა პარტიის საპროგრამო ამოცანად გამოაცხადა და განსაკუთრებით წამოსწია წინ ადამიანის ფაქტორი.

„კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობა, მითითებულია სკკპ პროგრამაში, განუყოფელია უცხო იდეოლოგიისა და მორალის გამოვლენათა, ყველა იმ ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლისაგან, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ადამიანთა შეგნებასა და ყოფაქცევაში შემორჩენილ წარსულის გადმონაშთებთან, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში პრაქტიკული მუშაობის ნაკლოვანებებთან, მომწიფებული პრობლემების ნაგვიანებ გადაწყვეტასთან. პარტია უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს შრომის დისციპლინის დარღვევების, დატაცებისა და მექრთამეობის, სპეკულაციისა და მუქთახორობის, ლოთობისა და ხულიგნობის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მომხვეჭელობის, მლიქვნელობისა და პირმოთნეობის თანამიმდევრულ და მტკიცე აღმოფხვრას“.

სამართლის მეცნიერება იდეოლოგიური მეცნიერებაა, მისი უპირველესი ვალია იზრუნოს ადამიანის კომუნისტური აღზრდისათვის და ამავე დროს შეურიგებელი იყოს ყველა ზემოჩამოთვლილ ნეგატიურ მოვლენასთან. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს კერძომესაკუთრებული ტენდენციების კვლევის პრობლემა, რომელსაც უკომპრომისო და შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ. საჭიროა სამართლის მენციერებამ, ფილოსოფოსებთან, ფსიქოლოგებთან და სოციოლოგებთან ერთად, ღრმად გამოიკვლიოს ეს საშიში მოვლენა, ჩაწვდეს მის ფესვებს, დაადგინოს ამ მოვლენის ცნებათა აპარატი.

იდეოლოგიური მუშაობის არსებით თავისებურებად ყრილობა თვლის იმას, „რომ იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობს სოციალისტური და ბურჟუაზიული ორთაბრძოლის ვითარებაში", ამიტომ ბუნებრივია ბურჟუაზიული სამართლებრივი პროპაგანდის ნამდვილი არსის მხილება სამართალმცოდნეობის გადაუდებელი ამოცანაა.

მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდა პარტიის საპროგრამო ამოცანად არის გამოხცადებული. პარტიის პროგრამაში სამართლებრივ აღზრდას სპეციალური ქვეპუნქტი დაეთმო, სადაც ნათქვამია: „პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ გამოუმუშავოს პიროვნებას მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობა, საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემა, სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევის შეუწყნარებლობა. მზად ყოფნა აქტიურად მონაწილეობდეს მართლწესრიგის დაცვაში".

ადამიანის აღზრდა კომპლექსური პროცესია და არ შეიძლება ახალგაზრდობის იდეური აღზრდა, ეთიკური, ესთეტიკური, სამართლებრივი აღზრდის გარეშე და პირიქით. ინდივიდუალური და საზოგადოებრივი კულტურა მხოლოდ შეგნებას, ე. ი. სულიერ სფეროს როდი განეკუთვნება. იგი ამავე დროს სოციალური ფენომენია, რომელიც ადამიანის საქმიანობას, მის ქცევას მოიცავს და საბოლოოდ განპირობებულია საწარმოო ურთიერთობათა დონით. ამისდაგვარად სამართლებრივი კულტურა მართლშეგნებასთან ერთად შეიცავს აგრეთვე მთელ სამართლებრივ ურთიერთობათა კომპლექსს, ანუ იურიდიული მნიშვნელობის პრაქტიკასაც.

მართლშეგნების ამაღლება ნიშნავს სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლებას, რომელიც თავის მხრივ, საზოგადოებრივი და ინდივიდუალური კულტურის ამაღლების ერთ-ერთი საშუალებაა. მართლშეგნების, ხოლო ამასთან ერთად სამართლებრივი კულტურის ამაღლების ერთ-ერთი გზა მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდაა.

მაღალ მართლშეგნებასთან საქმე გვაქვს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონის ცოდნა ვლინდება, არამედ მაშინაც, როდესაც კანონისადმი დამორჩილება საერთო შინაგან მოთხოვნილებად იქცევა, როცა შეიქმნება დანაშაულის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი აზრი. ამგვარი აზრი პიროვნებისათვის სოციალური კონტროლის ძალას იძენს და ადამიანს უმუშავდება კანონის სოლიდარული სოციალური განწყობები. მართალია, მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საკითხში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივ პროპაგანდას, მაგრამ აქ მთავარია არა პროპაგანდისტული ღონისძიებების რაოდენობა, არამედ მათი დონე, სიღრმე და გააზრებულობა.

მეცნიერ-იურისტთა შრომები, რომლებიც მართლშეგნების ამაღლებასა და სამართლებრივ აღზრდას ეძღვნება, უწინარეს ყოვლისა, მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოებრივი და ინდივიდუალური შეგნების ამაღლებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ყოველთვის ვერ აღწევენ ამ მიზანს, რადგან ვერ დადიან მასებამდე, ადრესატამდე, იგი სპეციალისტისათვისაც კი ძნელად გასაგებია. მიუხედავად ამისა, ავტორები და სამეცნიერო კოლექტივები მაინც არ ცდილობენ დაიყვანონ ეს ნაშრომები ადრესატამდე. ვფიქრობთ, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ უნდა იყოს მართებული. ფუნდამენტური იდეოლოგიური ნაშრომების ფართო მასებამდე დაყვანა ადვილი საქმე არ არის, იგი სერიოზულ შემოქმედებით ძიებას მოითხოვს. ძნელია ამ ნაშრომების იმდაგვარად გარდასახვა, რომ იგი ყველასათვის გასაგები იყოს, სიამოვნება მომგვაროს არასპეციალისტს, შეუქმნას გარკვეული სასარგებლო განწყობები, აამაღლოს მისი მართლშეგნება, მაგრამ ამგვარი ნაშრომების შექმნა დღეს გადაუდებელ ამოცანად გვესახება.

გადაუდებელ სადღეისო ამოცანას წარმოადგენს მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის მეთოდებისა და გზების კვლევაც. ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრის აუცილებელი წინაპირობაა რესპუბლიკის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფების მართლშეგნების ფართო გამოკვლევა, მისი დინამიკა.

შესასწავლია აგრეთვე რესპუბლიკაში დანაშაულისა და სასჯელის პრობლემები, მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებით შექმნილი საზოგადოებრივი აზრი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

დღეს, როდესაც ხელთ გვაქვს სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, სადაც პირდაპირაა ნათქვამი, რომ კვლავაც უნდა გაფართოვდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევა, თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის პრობლემების საკოორდინაციო საბჭომ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა, პრაქტიკოსმა იურისტებმა, მთელმა ქართულმა იურიდიულმა საზოგადოებრიობამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის პირველი

ვარლამ შადური,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე

ყოველ დღესასწაულს, ცხადია, თავისი მომხიბლავი ელფერი ახლავს, მაგრამ წელს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები განსაკუთრებული განწყობილებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69-ე წლისთავს, ასეთივე განუმეორებელი სულისკვეთებით ვზეიმობთ წელს საბჭოთა მილიციის დაბადების მორიგ დღესასწაულსაც. ასეთ უჩვეულოდ ამაღლებულ განწყობილებას კი სათავე დაუდო სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, იმ ფართო მასშტაბის ამოცანებმა, რომლებიც ყრილობამ დაგვისახა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მესამე დღესვე, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მითითებით, რევოლუციის მონაპოვართა საიმედოდ დაცვისათვის შეიქმნა მუშათა და გლეხთა მილიცია. ამიტომ არის, რომ მას ოქტომბრის პირმშოს ვუწოდებთ. საბჭოთა მილიციის განვლილმა გზამ, მისმა სახელოვანმა ისტორიამ ცხადყო, რომ იგი არის პროლეტარიატის უძლეველი ძალა, ჩვენი დიადი მიზნების ერთგული დამცველი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრი რამ შეიცვალა მილიციის საქმიანობაში. შეძენილია ახალი ამოცანები და ფუნქციები, დაიხვეწა ოპერატიული სამსახურის ფორმები და მეთოდები, ამაღლდა პროფესიული ცოდნის დონე, გარდაიქმნა მისი სამეცნიერო-ტექნიკური საფუძვლები. ამასთან, უცვლელი დარჩა მილიციის რევოლუციური სულისკვეთება, უსაზღვრო ერთგულება პარტიისა და ხალხის საქმისადმი.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა რთულ ეტაპზე, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მილიცია ღირსეულად ასრულებდა თავის წმიდათაწმიდა მოვალეობას.

საბჭოთა მილიციის მებრძოლი რაზმი, საქართველოს მილიცია, ყალიბდებოდა და იზრდებოდა კლასობრივ ბრძოლაში და მან არაერთი ბრწყინვალე ფურცელი შემატა ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის სახელოვან ისტორიას.

ხალხის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება მილიციის მუშაკთა გმირული შემართება დიდი სამამულო ომის ფრონტებზე თუ ზურგში. ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად შეაფასა მათი თავდადება, ასეულ ათასობით მილიციის მუშაკი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, ყველაზე გამორჩეულებს კი მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება. მტერზე გამარჯვების შემდეგ მრავალი მათგანი უყოყმანოდ დადგა ჩვენს ქალაქებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და სოფლებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სადარაჯოზე. დღეს შეუძლებელია მოწიწებით არ მოვიხსენიოთ საბჭოთა გმირების ა. პირმისაშვილის, ვ. ლურსმანაშვილის, გ. ინასარიძის, დიდების სამივე ხარისხის ორდენის კავალერის მ. ჯაფარიძის სახელები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე მილიციაში საქმიანობას მიუძღვნეს.

ჩვენი მილიცია ძლიერია, რადგან იგი განუწყვეტლივ გრძნობს კომუნისტური პარტიის მზრუნველობასა და ყურადღებას. გაუმჯობესდა მილიციის მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფა, გაიზარდა პენსიები, შემოღებულია სხვადასხვა შეღავათები, მაგრამ მთავარია ჩვენი მუშაკების პროფესიული ოსტატობისა და ბრძოლისუნარიანობის სრულყოფა.

უკანასკნელ წლებში შინაგან საქმეთა ორგანოების, მილიციის სამსახურებისა და ქვეგანყოფილებათა განმტკიცებისათვის განხორციელდა მრავალი ორგანიზაციული ღონისძიება. შეიქმნა თავისი საქმის ოსტატთა მტკიცე და მაღალპროფესიული ბირთვი. გაიზარდა მილიციის მუშაკთა ახალი თაობა, განმტკიცდა კადრები, მნიშვნელოვნად ამაღლდა დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობა. მარტო 1980-1986 წლებში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის მთავრობის ჯილდოები გადაეცა 200-ზე მეტ მილიციის მუშაკს. „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით დაჯილდოვდნენ მილიციის პოლკოვნიკი გ. ნანეიშვილი, მილიციის მაიორები რ. გვენცაძე, ზ. ნამგალაძე და სხვები. „ხალხთა მეგობრობის“ ორდენის კავალერი გახდა მილიციის მაიორი ც. გულედანი, ხოლო „საპატიო ნიშნის ორდენი“ გადაეცათ მილიციის მაიორს ა. კოჩიაშვლის და მილიციის კაპიტანს თ. ნოზაძეს.

შეიარაღებული დამნაშავის დაკავებისას გამოჩენილი მამაცობისათვის და თავდადებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოვდნენ თბილისის საქალაქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის რიგითი ო. მაჭარაშვილი და სერჟანტი ბ. ოზბეთელაშვილი. თითოეული ამ ჯილდოს მიღმა დგას მართლწესრიგის დაცვის ერთგული ჯარისკაცების დამნაშავეობასთან უკომპრომისო, თავდადებული ბრძოლა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე.

შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობა სამართლიანად ამაყობს თავიანთი თანამოსაქმეების იზოლდა ბარამიძის, გიორგი ჯაფარიძის, ვლადიმერ შაქარაშვილის, ბორის მშვილდაძის, ვასილ გელაშვილის, ჰამლეტ დათუნაშვილის, ფაზალი ჩამაგუას, გაიოზ და არჩილ აშკარელების, იასონ პაპკიაურის, ლევან მგალობლიშვილის, კონსტანტინე გოგრიჭიანის, თამაზ ნემსიწვერიძის გმირობითა და ვაჟკაცობით. მათ ხალხის ბედნიერებისათვის უკან არ დაიხიეს სასიკვდილო საფრთხის წინაშე და სიცოცხლის ფასად მოიხადეს საპატიო ვალი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მითითებათა შესრულებისათვის წარმატებით იბრძვიან ჩვენი სახელოვანი ჩეკისტები, ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ იმათ წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის, ვინც ხელყოფს საბჭოთა ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სახელსა და ღირსებას, პირად და სახელმწიფო საკუთრებას.

ისევე როგორც წინა წლები, მიმდინარე წელიც ხასიათდება მძიმე დანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაულობათა შემცირების ტენდენციით. მაგალითად, მძიმე დანაშაულობათა რიცხვი წელს უკვე 7,8 პროცენტით შემცირდა. წინა წლებთან შედარებით ნაკლებია განზრახ მკვლელობა, პირადი და სახელმწიფო ქონების ძარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა, ხულიგნობა და სხვ. შემცირდა აგრეთვე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვიც. სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურების მუშაობის გააქტიურებით გაიზარდა წარმოებისა და მატერიალურ ღირებულებათა რეალიზაციის სფეროში გამოვლენილი შენიღბულ დანაშაულობათა რიცხვი.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების მთელი პირადი შემადგენლობა წარმატებით გადაწყვეტს რთულ და დიდ პრობლემებს.

მილიციის საქმიანობა მიგვაჩნია ყველგან და ყველაფერში მტკიცე დისციპლინისათვის, სოციალისტური მორალისა და ზნეობისაგან გადახრების წინააღმდეგ საერთო პარტიული, სახელმწიფოებრივი, სახალხო ბრძოლის ორგანულ, შემადგენელ ნაწილად. სისხლისსამართლებრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებები მეტი გვექნება, თუ ამ ბრძოლას წარვმართავთ მეცნიერულ საფუძველზე, კადრების პროფესიული დონის ამაღლების გზით. ამ უაღრესად სერიოზული საქმის მოგვარებისათვის მხარში გვიდგას რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაცია.

ამას წინათ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში გვეწვია და ჩვენი სისტემის ხელმძღვანელ ამხანაგებს გვესაუბრა და უაღრესად საჭირო მითითებები მოგვცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა. ამ შეხვედრაზე მეტად გულახდილი და კეთილმოსურნეობის ატმოსფერო სუფევდა. საუბარი ძირითადად ეხებოდა მილიციის საქმიანობის პრობლემებს, მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიებას, შინაგან საქმეთა ორგანოების ავტორიტეტის შემდგომ ამაღლებას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რესპუბლიკის დედაქალაქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას, სამართალდარღვევათა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების პროფილაქტიკას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩვენდამი ასეთი ყურადღება, ცხადია, მეტს გვავალებს. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ორგანოების თითოეული მუშაკი მოწოდებულია წარმატებით გადაჭრას დანაშაულისა და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის სოციალურ-ეკონომიკური, იდეურ-აღმზრდელობითი და სამართლებრივ-ზნეობრივი ამოცანები. ამისათვის კი მათ დღენიადაგ უნდა ახსოვდეთ, რომ საჭიროა საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული, პროფესიული დონის განუხრელი ამაღლება, საკუთარი პიროვნების ყოველმხრივი ჩამოყალიბება, ხალხის ინტერესებისადმი მაღალი პასუხისმგებლობა.

ახლა, ისე როგორც არასდროს, მკაცრად და პრინციპულად ვაყენებთ ჩვენი რიგების სიწმინდის საკითხს, რადგან კარგად გვესმის, რომ მილიციის მუშაკის თუნდაც ერთი უღირსი საქციელი ავტორიტეტს ულახავს მილიციას, რწმენას უკარგავს ჩვენ მშრომელებს. ეს მეტად სერიოზული საკითხია და ამიტომ არის, რომ მთელი ძალ-ღონით ვცდილობთ გამოვუცხადოთ უკომპრომისო ბრძოლა ორგანოებში ბიუროკრატიზმის, უხეშობის, ფორმალიზმისა და სხვა ნეგატიური მოვლენების თითოეულ ფაქტს.

ჩვენს წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრის საქმეში, განსაკუთრებით სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სფეროში, დიდ დახმარებასა და მხარდაჭერას ვგრძნობთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისაგან. რესპუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკის რადიო, ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთების რედაქციები ძალზე აქტიურად იბრძვიან სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. თავიანთი პუბლიკაციებითა თუ გადაცემებით რაზმავენ ფართო მოსახლეობას სამართალდარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ მილიციის თემამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ცნობილი ქართველი კომპოზიტორების ოთარ თევდორაძის, ვაჟა აზარაშვილის, შოთა მილორავას, ალექსანდრე შავერზაშვილის და სხვათა შემოქმედებაში.

ვსარგებლობ შემთხვევით და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის სახელით მადლობას ვუხდი მათ ქმედითი თანადგომისათვის.

პირადი შემადგენლობის აღზრდის, დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად მოსახლეობის მობილიზაციის საქმეში შეუფასებელ დახმარებას გვიწევს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან 1966 წლიდან არსებობს. ინსტიტუტში გაერთიანებულნი არიან ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები.

როცა ვლაპარაკობთ მილიციის საქმიანობაში მიღწეულ ზოგიერთ დადებით ტენდენციაზე, რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება, რომ ჯერ კიდევ არსებობს დისპროპორცია ჩვენთვის შექმნილ პირობებსა და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის. სამწუხაროდ, საბჭოთა ადამიანები ყოველთვის როდი არიან გარანტირებულნი იმ უფლებათა ხელყოფისაგან, რომლებიც მათ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონით — საბჭოთა კონსტიტუციით აქვთ მინიჭებული. მილიციის ცალკეული ორგანოების მუშაობაში კვლავ გვაქვს სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტები, ცუდად რეაგირებენ მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე, სისხლის სამართლის დანაშაულობათა გახსნისა და გამოძიების საქმეში იშვიათი როდია გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის შემთხვევები. ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და კერძოდ, მილიციის მუშაობის გენერალურ ხაზად ნამდვილად იქცეს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა.

სიკეთისა და ბოროტების პრობლემა მუდამ აღელვებდა კაცობრიობას. ჩვენ სულ უფრო ღრმად ვრწმუნდებით, რომ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ დასჯის ღონისძიებები საკმარისი არ არის. თუ ადამიანმა ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომელიც საშიში არ არის საზოგადოებისათვის, მაგრამ დაარღვია მორალისა და ზნეობის ნორმები, ასეთ შემთხვევაში საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი ღონისძიებები. დიახ, როცა ვლაპარაკობთ პრობლემის ორ მხარეზე, ვგულისხმობთ ჰუმანიზმის, დისციპლინის, დემოკრატიისა და სოციალისტური კანონიერების ერთმანეთთან ჰარმონიულ შეხამებას.

მილიციის ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის განუხრელად შესრულებას. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა რაღაც დროებით კამპანიად კი არ მიგვაჩნია, არამედ ჩვენი საზოგადოების მორალური კლიმატის განახლებისა და გაჯანსაღების ხანგრძლივ პროცესად. პრობლემისადმი ასეთმა მიდგომამ განაპირობა ამ სფეროში მიღწეული საგრძნობი წარმატებები. მაგალითად, ლოთობის ნიადაგზე ჩადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილ დანაშაულობათა რიცხვი 1986 წელს 17 პროცენტით შემცირდა. კერძოდ, შემცირდა სიმთვრალეში ჩადენილი მკვლელობის, სხეულის დაზიანების, ბოროტი ხულიგნობის, ადამიანთა სიკვდილის გამომწვევი ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვი.

ჩვენი ორგანოების საქმიანობის მნიშვნელოვან პრობლემად კვლავ რჩება ისეთი ბოროტება, როგორიც არის ნარკომანია. შეიქმნა სპეციალური ქვედანაყოფები, რომლებიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. მათ განკარგულებაშია აგრეთვე აუცილებელი ოპერატიული საშუალებები. ყოველივე ამით მიღწეულია დადებითი შედეგები.

გარდაქმნათა დაჩქარების ახალი ამოცანები, წინსვლის ტემპები, ჩვენს ქვეყანაში შექმნილი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარება გვკარნახობს, რათა ახლებურად მივუდგეთ გადასაჭრელ პრობლემურ საკითხებს, კრიტიკულად შევაფასოთ როგორც მიღწეული შედეგები, ისე მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებანი.

სკკპ XXVII ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა პოლიტიკურ მოხსენებაში განაცხადა, რომ „უცვლელ ამოცანად რჩება საბჭოთა კანონების მთელი ძალის გამოყენება დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ადამიანები ყოველ დასახლებულ პუნქტში გრძნობდნენ სახელმწიფო ზრუნვას მათი სიმშვიდისა და ხელშეუხებლობისათვის, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ვერც ერთი სამართალდამრღვევი ვერ წაუვა საკადრის სასჯელს“.

გადაუდებელ ამოცანად დავისახეთ, რათა პრაქტიკულად შევასხათ ხორცი ჩვენი პარტიის ამ უაღრესად საჭირო მიზანდასახულებას, უთუოდ მივაღწიოთ იმას, რომ მართლაც არც ერთი სამართალდამრღვევი არ დარჩეს დაუსჯელი.

საბჭოთა საქართველოს მილიციის მთელი პირადი შემადგენლობა მოწოდებულია რესპუბლიკის პროკურატურასთან, იუსტიციის სამინისტროსთან და უმაღლეს სასამართლოსთან ქმედითი და გეგმაზომიერი ურთიერთთანამშრომლობით კვლავაც ერთგულად, მუხლჩაუხრელად ემსახუროს პარტიისა და ხალხის ინტერესებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი

მიხეილ მამნიაშვილი,
ქ. თბილისის პროკურორის უფროსი თანაშემწე

ეროვნული ურთიერთობის ყველა საკითხს, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის პროცესში წარმოიშვა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველთვის წყვეტდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან. პარტია არასოდეს არ უშვებდა ეროვნულ თავისებურებათა არც უგულვებელყოფას და არც გაზვიადებას. სწორედ ასეთი პოლიტიკის გატარების შედეგად გადაიქცა ერთ მთლიან ძალად მრავალეროვნული საბჭოთა ხალხი.

ერთა თვითგამორკვევის უფლების დაცვასა და ეროვნული სუვერენიტეტის აღიარებას დასაბამი მისცა ეროვნული საკითხის ლენინურმა გადაწყვეტამ, რამაც მაღალ საკავშირო დონეზე აიყვანა ერთა შორის მშვიდობა, მეგობრობა და ძმობა. „სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარია — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში — ეროვნული საკითხის გადაწყვეტა. ოქტომბრის გამარჯვებამ საბოლოოდ მოუღო ბოლო ეროვნულ ჩაგვრასა და ერების უთანასწორობას. უდიდესი როლი შეასრულა ნებაყოფლობის საწყისებზე თავისუფალი, თანასწორუფლებიანი ხალხების გაერთიანებამ ერთიან მრავალეროვან სახელმწიფოდ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. სოციალისტური მშენებლობის პროცესში უზრუნველყოფილია განაპირა მხარეების სწრაფი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული პროგრესი. წარსულს ჩაბარდა ეროვნული შუღლი, ცხოვრების ნორმა გახდა სსრ კავშირის ყველა ხალხის ძმური მეგობრობა, მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება“.

ტერმინი „ავტონომია“ ნიშნავს გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებლად განხორციელების ფორმას, როდესაც გათვალისწინებულია მისი ეროვნული შემადგენლობა, სამეურნეო ყოფაცხოვრებისა და ეკონომიკური განვითარების თავისებურებები. ავტონომიამ, როგორც ერისა და ეროვნების თავისუფალი განვითარების საშუალებამ, ფართო გავრცელება ჰპოვა საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოში და გამოამჟღავნა თავისი დადებითი თვისებები.

ჩვენი ქვეყნის სამართალმცოდნეობის მეცნიერება იცნობს საბჭოთა ავტონომიის ორ ფორმას: პოლიტიკურ ავტონომიას და ადმინისტრაციულ ავტონომიას. მათი არსებობა განპირობებულია სსრ კავშირის მრავალეროვანი ხალხების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების სხვადასხვა დონით და რიცხობრივი შემადგენლობით.

სსრ კავშირის კონსტიტუციით ავტონომიური რესპუბლიკა მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის და ითვლება ეროვნულ სახელმწიფოებრივ ერთეულად. მას გააჩნია სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანდობლივი თვისება, იგი განლაგებულია გარკვეულ ტერიტორიაზე, აქვს საზღვრები. სახელმწიფო დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სკოლებში, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებში საქმის წარმოება მიმდინარეობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ენაზე, რომელიც აღიარებულია ავტონომიურ რესპუბლიკაში. აქვე არსებობს ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები.

ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია და მისგან გამომდინარე მოქალაქეობა. ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქე ამავე დროს არის მოკავშირე რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მოქალაქეც. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები გამოსცემენ აგრეთვე კანონებს და ადგენენ მიწის, მისი წიაღის, ტყის და წყლის სარგებლობის წესებს.

სსრ კავშირის კანონმდებლობით ავტონომიური რესპუბლიკა თვითონ აწესებს სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებს, გამოსაღებებს და არასაგადასახადო შემოსავალს, აქვს მართლმსაჯულების თავისი ორგანოები, ღერბი, დროშა და დედაქალაქი.

ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსით უზრუნველყოფილია კომპლექსური, ეკონომიკური და სოციალური განვითარება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, იგი ხელს უწყობს აგრეთვე იმას, რომ განხორციელდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებები, რისთვისაც რესპუბლიკა კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკის დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

ამრიგად, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი უფლება ის არის, რომ მან სრულიად დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ის საკითხები, რაც უშუალოდ მის კომპეტენციას განეკუთვნება.

ავტონომიურ რესპუბლიკას, როგორც ეროვნულ სახელმწიფოებრივ ერთეულს, ჰყავს თავისი დეპუტატები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა პალატაში. გარდა ამისა, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ითვლება მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

საბჭოთა ავტონომია შეიქმნა და განვითარდა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შედეგად, რამაც უზრუნველყო კიდეც ჩვენს ქვეყანაში დიდი და პატარა ერების თანასწორუფლებიანობა. საბჭოთა ავტონომიამ ერთ პოლიტიკურ ცენტრად გააერთიანა ცალკეული ეროვნული ერთეულები და მიაღწია მათ მაქსიმალურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას. მაგრამ ასეთი გათანასწორება მიმდინარეობდა არა მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის ინიციატივითა და შესაძლებლობებით, არამედ მძლავრი და შედარებით მაღალ საფეხურზე მდგარი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ერების ყოველდღიური დახმარებითა და მზრუნველობით.

მიუხედავად იმისა, რომ ავტონომიური რესპუბლიკა არ ითვლება სუვერენულ სახელმწიფოდ, მას მაინც გააჩნია დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ნიშნები. როგორც წესი, მისი შექმნის ფაქტს ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და ამიტომ სსრ კავშირის კონსტიტუციის 85-ე მუხლში საგანგებოდაა ჩამოთვლილი ის მოკავშირე რესპუბლიკები, რომელთა შემადგენლობაშიც ავტონომიური რესპუბლიკები შედიან.

ავტონომიური რესპუბლიკის მაღალ უფლებრივ სტატუსზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის მეათე და მეთვრამეტე თავები სპეციალურად აქვს დათმობილი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დახასიათებას, აქვე ჩამოთვლილია მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს უფლებამოსილებას განსაზღვრავს სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.

ავტონომიური რესპუბლიკის უფლებრივ მდგომარეობას უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს იმ მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის შემადგენლობაშიც შედის ავტონომიური რესპუბლიკა. მართალია, მოკავშირე რესპუბლიკას შეუძლია თავის ტერიტორიაზე თვითონ შექმნას ავტონომიური რესპუბლიკა, მაგრამ ამას იგი ცალმხრივად მაინც ვერ გა-

2. „საბჭოთა სამართალი", № 6.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახორციელებს. მოკავშირე რესპუბლიკისა და შესაქმნელი ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებთა სრული თანხმობის შემდეგ საკითხს საბოლოოდ წყვეტს სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. მხოლოდ ამის შემდეგ ითვლება ავტონომიური რესპუბლიკა შექმნილად.

ავტონომიურ რესპუბლიკას სრული უფლება აქვს სათანადო ცვლილებები მოახდინოს თავის ტერიტორიაზე. მაგალითად, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 65-ე მუხლი ადგენს, რომ აჭარის ასსრ ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე, ხოლო იმავე კონსტიტუციის 104 მუხლის მე-7 პუნქტით კი აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი წყვეტს აჭარის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საკითხს, ახდენს ახალი დაბებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის სახელების მიკუთვნებას, განსაზღვრავს აჭარის ასსრ რაიონულ დაყოფას, ქმნის ქალაქებსა და რაიონებს, ცვლის მათ დაქვემდებარებას, აკუთვნებს ან უცვლის სახელს რაიონებს, ქალაქებს, სხვა დასახლებულ პუნქტებს. მაგრამ რადგანაც ავტონომიური რესპუბლიკა არ წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფო ერთეულს, მოკავშირე რესპუბლიკებს მიკუთვნებული აქვთ უფლება, რომ საბოლოოდ დაამტკიცონ ავტონომიური რესპუბლიკების საზღვრების შეცვლა, მათი რაიონული დაყოფა, ქალაქებისა და ქალაქების რაიონების შექმნა და სხვა შინატერიტორიალური საკითხები.

ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია თავისი ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, მაგრამ აღნიშნული ორგანოების შექმნისა და მუშაობის წესს განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკა. მაგალითად, საქართველოს სსრ კონსტიტუციის მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე თავები მთლიანად აქვს დათმობილი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და მმართველობის ორგანოების შექმნის წესს, მათ ფუნქციებს და უფლებამოსილებას. ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციის დამოუკიდებლობა აქ მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ იგი თვითონ განსაზღვრავს წარმომადგენლობით ნორმებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, იღებს თავის კონსტიტუციას, შეაქვს მასში ცვლილებები, ირჩევს ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მუდმივ კომისიებს და უმაღლეს სასამართლოს, ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებს, სახელმწიფო ბიუჯეტს და მათი შესრულების ანგარიშებს, ქმნის უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, სახალხო კონტროლის კომიტეტს და სხვა სპეციალური კომპეტენციის ორგანოებს.

ავტონომიური რესპუბლიკა მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შექმნაში და დადგენილი წესით, გადამწყვეტი ხმის უფლებით ირჩევს დეპუტატებად თავის მოქალაქეებს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში. ისევე, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, ავტონომიური რესპუბლიკების მქონე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეებს იმდენ-იმდენი მოადგილე ჰყავთ, რამდენი ავტონომიური რესპუბლიკაც არის მათ შემადგენლობაში. ამას ემატება აგრეთვე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თითო განთავისუფლებული მოადგილის თანამდებობაც. გარკვეული სპეციფიურობა შეინიშნება აზერბაიჯანისა და ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში. აქ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ სავალდებულო წესით ირჩევენ აგრეთვე ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენელს. ეს პრინციპი საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია დასახელებული მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით.

საბჭოთა ავტონომია თავისი შინაარსით და პრინციპებით ძირეულად განსხვავდება ბურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუაზიული ავტონომიისაგან, რადგან იგი მისი კლასობრივი ბუნებით განისაზღვრება. ავტონომია არის თვითმმართველობა, მაგრამ ეს ზოგადი დებულება განხილული უნდა იყოს განსაზღვრულ კლასობრივ შინაარსთან ერთად, იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი კლასი ცდილობს განახორციელოს ავტონომია.

საბჭოთა ავტონომია კომპაქტურად მცხოვრები ერის ნების გამოვლინების საუკეთესო საშუალებაა. იგი არ არის გარედან თავს მოხვეული და დაფუძნებულია ლენინური ეროვნული პოლიტიკის ურყევ პრინციპებზე. ავტონომიური რესპუბლიკა არის სახელმწიფოში სახელმწიფო. ის უშუალოდ შედის მოკავშირე რესპუბლიკაში, ხოლო მისი მეშვეობით — სსრ კავშირის შემადგენლობაში. ეს გარემოება განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკის უფლებრივ მდგომარეობას, როგორც სსრ კავშირთან ურთიერთობაში, ასევე იმ მოკავშირე რესპუბლიკასთან დამოკიდებულებაში, რომლის შემადგენლობაშიაც იგი შედის.

ამჟამად მოქმედმა სსრ კავშირის კონსტიტუციამ კიდევ უფრო გააფართოვა სსრ კავშირში შემავალი ავტონომიური ერთეულების ხალხთა ეროვნული ინტერესები. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატა თანასწორუფლებიანია, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციამ ავტონომიური ერთეულებისათვის შექმნა ის შესაძლებლობანი, რომ ყველამ მიიღოს აქტიური მონაწილეობა საერთო-საკავშირო კანონების შემუშავებაში, რათა მათში აუცილებლად იყოს გათვალისწინებული აგრეთვე პატარა ერების ინტერესები.

—•—

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1985 წლის 29 დეკემბრის №7 დადგენილება

საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ საქმეთა დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების მომწესრიგებელი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ

* * *

1985 წლის 29 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიიღო დადგენილება, „საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ საქმეთა დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების მომწესრიგებელი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ", რომლის მომზადებასაც წინ მეტად შრომატევადი საქმიანობა უძღოდა. დადგენილების შექმნას, რომელიც სავალდებულო უნდა გამხდარიყო რესპუბლიკის ყველა სასამართლოსათვის, მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, თანამდებობის პირთათვის, დიდი გულმოდგინებითა და პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ. პროექტის შემუშავებისათვის მზადება ჯერ კიდევ 1984 წელს დავიწყეთ. ამ წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" მეოთხე ნომერში დაისტამბა სტატია: „სისხლის სამართლის საქმეთა დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების საფუძვლები და წესი". რედაქციამ მკითხველს აუწყა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა დაგეგმილი იყო უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე და თხოვნით მიმართა სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკოს მუშაკებს და მეცნიერ იურისტებს მონაწილეობა მიეღოთ სტატიაში დასმული პრობლემების განხილვა-გადაწყვეტაში. აღსანიშნავია, რომ მანამდე უმაღლესი სასამართლოს პლენუმისათვის ამგვარად არ მოემზადებულვართ. მალე საკითხი პრაქტიკულად მზად იყო, მაგრამ განხილვას არ ვჩქარობდით, ვცდილობდით კარგად დაგვენახეწა მისი თითოეული ნოველა. განსაკუთრებული სიფრთხილითა და ტაქტით მოვეკიდეთ ტექსტის იმ ნაწილის ფორმულირებას, რომელიც შეეხებოდა პროკურატურისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს, რათა არ შებღალულიყო მათი უფლებები, ხოლო სასამართლოებს ისე არ გაეგოთ ეს დადგენილება, თითქოს მათ უფრო ხშირად უნდა გამოეტანათ განჩინებები სისხლის სამართლის საქმეთა დამატებითი გამოძიებისათვის დასაბრუნებლად, ვიდრე ეს მანამდე ხდებოდა. პირიქით, დადგენილების პრეამბულაში, საკონსტატაციო და სარეზოლუციო ნაწილებში მოცემული ფორმულირებები სასამართლოებს ორიენტაციას აძლევს, რომ საქმეები დამატებით გამოძიებაში დაბრუნონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამის გაკეთება აუცილებელია მართლმსაჯულებისა და კანონიერების განმტკიცების ინტერესებისათვის, ამასთან არ მიიღონ წარმოებაში ისეთი საქმეები, რომლებიც შეიცავენ ბრალდებულის სამართალში მიცემის დამაბრკოლებელ გარემოებებს.

დამატებით გამოძიებაში დაბრუნებული საქმეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლებია: მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების არასისრულე, რომლის შევსებაც პროცესზე არ შეიძლება, აგრეთვე მოკვლევის ორგანოე-

ბის ან გამომძიებლის მიერ დაშვებული სისხლის სამართლის საპროცესო მოთხოვნების არსებითი დარღვევები, რომლებიც ხელს უშლიან საქმის სასამართლოში განხილვას. ჩვენ დიდი სიფრთხილით მოვეკიდეთ სისხლის სამართლის საქმეთა დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების საფუძვლების კონსტრუირებას, იმ გარემოებების ახსნას, რომლებიც აბრკოლებენ სამართალში მიცემას. ამაში დიდად დაგვეხმარა უმაღლესი სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკა და საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მეცნიერების თანამედროვე მიღწევები.

ამ დადგენილების პროექტის მომზადებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. შევიმუშავეთ სპეციალური სამუშაო პროგრამა, განვაზოგადეთ დამატებითი გამოძიებისათვის საქმეთა დაბრუნების სასამართლო პრაქტიკა და გავაანალიზეთ სასამართლო სტატისტიკა. 1984 წლის 17 აპრილს რსფსრ უმაღლესმა სასამართლომ ამავე საკითხზე მიიღო დადგენილება, რომელიც უფრო გვიანი პერიოდის საკავშირო და რესპუბლიკურ კანონმდებლობასთან ერთად გამოვიყენეთ პროექტის სამუშაო ვარიანტად.

შემუშავებული პროექტი გასაცნობად გავუგზავნეთ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, რსფსრ-ისა და უკრაინის უმაღლეს სასამართლოებს, ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სისხლის სამართლის პროცესის კათედრებს, საქართველოს სამართალდამცველ ორგანოებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს. პროექტს გაეცნენ აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები; თითქმის ყველა სამეცნიერო სასწავლო თუ სამართალდამცველმა ორგანომ ცხოველი ინტერესი გამოიჩინა მისადმი და მოგვაწოდეს დაწვრილებითი რეცენზიები, დადებით შეფასებებთან ერთად გააკეთეს სასარგებლო შენიშვნები, რომლებიც გავითვალისწინეთ კიდეც მუშაობის დროს. ამ დოკუმენტის შემუშავებაში თავიანთი რჩევებითა და შენიშვნებით დაგვეხმარნენ: ცნობილი პროფესორი ვ. მ. სავიცკი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ბ. ალექსეევი, პროფესორი ს. ა. ალპერტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები ტ. გ. მორშაკოვა, ა. მ. მედვედევი, ნ. ვ. რადუტნაია, რსფსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი გ. პ. მელქონიანი და სხვები.

სწორედ ასეთი შემოქმედებით ვითარებაში მზადდებოდა აღნიშნული დადგენილება, რომელიც აქვე ქვეყნდება. როგორც პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა და რომელსაც კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს, მისი დანიშნულება ის კი არ არის, რომ საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ განჩინებები უფრო ხშირად გამოდიოდეს, არამედ ის, რომ ასეთი განჩინებების გამოტანის აუცილებლობა მხოლოდ მაშინ დადგეს, როდესაც საქმის გარემოებათა გამო იგი სრულიად გარდუვალია. ძირითადი, რასაც უნდა ემსახურებოდეს ეს დადგენილება, მდგომარეობს შემდეგში: მისი მოთხოვნების დაცვამ უნდა უზრუნველყოს წინასწარი გამოძიების ისეთი ხარისხი რომლის დროსაც სისხლის სამართლის საქმეთა დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნება საჭირო აღარ იქნება.

გ. ყოლბაია,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

დანაშაულებასთან წარმატებით ბრძოლის ამოცანები მოითხოვენ ყველა სამართალდამცველი ორგანოს მჭიდრო ურთიერთმოქმედებას, დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნისა და გამოძიების უზრუნველყოფას, სასამართლო განხილვის მაღალ დონეს, რათა თითოეული დანაშაულის ჩამდენი სამართლიანად დაისაჯოს და არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და მსჯავრდებული.

ამ ამოცანების შესრულებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქმეთა გამოძიებისა და განხილვის დროს მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოების მიერ კანონიერების მკაცრად დაცვას, სასამართლოების მხრივ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ხარისხისადმი მომთხოვნელობის გაზრდას, კანონის დარღვევათა დროულად გამოვლინებასა და მათზე რეაგირებას, აგრეთვე სასამართლოების მიერ გამოძიების ხარვეზების შესავსებად აუცილებელი ზომების მიღებას.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ საქართველოს სსრ სასამართლოები ძირითადად საფუძვლიანად აბრუნებენ საქმეებს დამატებითი გამოძიებისათვის, რამდენადაც მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოები ჯერ კიდევ ხშირად უშვებენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით დარღვევებს. ზოგიერთ საქმეზე არ არკვევენ ყველა გარემოებას, რომელთა დამტკიცება საქმეზე სავალდებულოა. კერძოდ, არ ადგენენ დანაშაუ-

ლის ჩადენის მოტივს, მიზანს, ხერხს, დანაშაულის ყველა ეპიზოდს, დანაშაულის ჩადენაში მონაწილე ყველა პირს, მონაცემებს ბრალდებულის პიროვნების შესახებ. არ ადგენენ მიყენებული ზიანის ხასიათსა და ოდენობას, არ ღებულობენ ზომებს მისი ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე არ ადგენენ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ მიზეზებსა და პირობებს. ყოველთვის ობიექტურად, ყოველმხრივ და სრულად არ მოწმდება ბრალდებულთა ჩვენებები, მონაცემები სხვა პირთა მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ. უშვებენ ბრალდებულისა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების დარღვევას, რიგ შემთხვევაში პირს ბრალდებას უყენებენ საქართველოს სსრ სსსკ 141-ე, 145-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით. ადგილი აქვს სხვა დარღვევებსაც.

ზოგიერთი სასამართლო გულდასმით არ სწავლობს განსახილველად შემოსულ საქმეს, რის შედეგადაც ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიაზე არ ვლინდება წინასწარი გამოძიების დროს დაშვებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევები, არასწორად წყდება საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა საკმაო საფუძველი საქმის სასამართლო სხდომაზე განსახილველად. რიგ შემთხვევებში სასამართლოებს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ხარვეზების სასამართლო სხდომაზე შევსების შეუძლებლობის პირობებში გამოაქვთ განაჩენები, რასაც შედეგად მოსდევს საკასაციო ან საზედამხედველო წესით მათი გაუქმება და საქმეთა ხელახალი გამოძიებისათვის გადაცემა.

ზოგ შემთხვევაში სასამართლოები საქმეებს აბრუნებენ დამატებითი გამოძიებისათვის საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულების, მათ შორის სასამართლოში გამოვლენილი ახალი გარემოების ყოველმხრივი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

სასამართლოები ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელია, არ ღებულობენ აუცილებელ ზომებს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ხარვეზების შესავსებად. რიგ შემთხვევებში ცალკეული სასამართლოები ნაცვლად იმისა, რომ მსჯავრი დასდონ განსასჯელს წაყენებული ბრალდების შესაბამისად ან ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ კანონის მიხედვით იმ ნაწილში, რომელშიც ეს ბრალდება დადასტურებულია, ან გაამართლონ იგი საქართველოს სსრ სსსკ 310-ე მუხლში მითითებული საფუძვლებით, დაუსაბუთებლად აბრუნებენ საქმეებს დამატებითი გამოძიებისათვის, რაც იწვევს გაჭიანურებას და არღვევს მოქალაქეთა უფლებებს.

აღნიშნული ნაკლოვანებები უარყოფით გავლენას ახდენენ საქმეთა დროულად განხილვაზე, სასამართლო განხილვის ხარისხზე, განაჩენების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე, სასამართლო პროცესების აღმზრდელობით ზემოქმედებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ზუსტი შესაბამისობით ჩატარებული მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება წარმოადგენს სასამართლო სხდომაზე საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის გამოტანის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, სასამართლოებმა (მოსამართლეებმა) სამართალში მიცემის სტადიაზე გულდასმით უნდა შეისწავლონ განსახილველად შემოსული საქმეების გამოძიების ხარისხი. იმ შემთხვევაში, როდესაც მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება არასრულია და მისი შევსება სასამართლო სხდომაზე შეუძლებელია, როდესაც დაშვებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევები ან სახეზეა საქართველოს სსრ სსსკ 232-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა საფუძველი, საქმე დაბრუნებულ უნდა იქნეს დამატებითი გამოძიებისათვის განმწესრიგებელი სხდომიდან. ისეთი გარემოებების არსებობის დროს, რომლებიც ხელს უშლიან ბრალდებულის სამართალში მიცემას, სასამართლოებმა არ უნდა დანიშნონ საქმე სასამართლო სხდომაზე განსახილველად. ამასთან საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ სასამართლოებს არა აქვთ წინასწარი გამოძიების ან მოკვლევის ისეთი ხარვეზების შევსების უფლება, რომლებიც ხელს უშლიან სამართალში მიცემას.

განმწესრიგებელი სხდომიდან საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლოებმა მკაცრად უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ სსსკ 222-ე, 223-ე, 232-ე მუხლების, „ბრალდებულის სამართალში მიცემისას სასამართლოების მიერ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 28 ნოემბრის დადგენილებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 22 სექტემბრის შესაბამისი დადგენილების მოთხოვნებიო

2. გაფრთხილოთ სასამართლოებს, რომ საქართველოს სსრ სსსკ 353-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება არასრულად ან ცალმხრივად ჩატარებულად ითვლება მაშინ, როდესაც გამოუკვეველი რჩება ისეთი გარემოებები, რომელთა გამორკვევასაც შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს განაჩენის დადგენის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოები ვალდებულნი არიან შეამოწმონ, დადგენილია თუ არა საგამოძიებო ორგანოების მიერ საქართველოს სსრ სსსკ მე-18 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ყველა გარემოება, რომლებიც საქართველოს სსრ სსსკ 59-ე, 59[1]-ე მუხლების თანახმად უნდა დამტკიცდეს, და დააბრუნონ საქმე დამატებითი გამოძიებისათვის ყველა შემთხვევაში, როცა წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოების მხრივ აღნიშნულ გარემოებათა დაუდგენლობას შეიძლება მოჰყვეს ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევა და მისი მდგომარეობის გაუარესება.

სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეავსოს არასისრულე მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ შეკრებილი ისეთი მტკიცებულებებისა, რომლებსაც საქმის გარემოებათა დასადგენად არსებითი მნიშვნელობა აქვთ და მისი აღმოფხვრისათვის საჭიროა საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებათა ჩატარება, რაც დაკავშირებულია ახალ მტკიცებულებათა შეკრებასთან ან დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა დადგენასთან, საგამოძიებო მოქმედებათა სხვა ადგილზე ან დიდი მოცულობით ჩატარებასთან.

3. საქართველოს სსრ სსსკ მე-18, 62-ე და 232-ე მუხლების ძალით სასამართლო ვალდებულია მიიღოს აუცილებელი ზომები მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების არასისრულის შესავსებად, გულდასმით გამოიკვლიოს საქმის სწორი გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რომელიც მოკვლევის ან საგამოძიებო ორგანოების მიერ, არასრულად არის გამორკვეული, აგრეთვე შეამოწმოს ახალი გარემოებები, რომლებიც ცნობილი გახდა სასამართლო განხილვის დროს.

4. თუ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების უსრულობის აღმოსაფხვრელად საჭიროა ექსპერტიზას, მათ შორის კომპლექსური, დამატებითი, განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება, სასამართლომ საქმე დამატებითი გამოძიებისათვის უნდა დააბრუნოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ექსპერტიზის ჩატარება დაკავშირებულია დამატებითი დოკუმენტების, ნივთიერი მტკიცებებისა და ნიმუშების დაძებნასთან და ამოღებასთან, აგრეთვე ისეთი ახალი მონაცემების დადგენასთან, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ბრალდების შეცვლა უფრო მძიმე თუ ისეთი ბრალდებით, რომელიც ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით არსებითად განსხვავდება საბრალდებო დასკვნაში ჩამოყალიბებული ბრალდებისაგან.

საქმე შეიძლება დაბრუნებულ იქნეს დამატებითი გამოძიებისათვის ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დროს საქართველოს სსრ სსსკ 187-ე მუხლით ბრალდებულისათვის მინიჭებული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ ასეთმა დარღვევამ გამოიწვია მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების უსრულობა და მოახდინა ან შეიძლებოდა მოეხდინა გავლენა კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენაზე.

5. თუ საქმეში არ არის განსასჯელის სრულყოფილად დამახასიათებელი მონაცემები და მათი შევსება სასამართლოს სხდომაზე შეუძლებელი აღმოჩნდა, საქმე ჩატარებული მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების უსრულობის მოტივით დაბრუნებულ უნდა იქნეს დამატებითი გამოძიებისათვის („სასამართლოების მიერ სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების გამოყენების პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1979 წლის 29 ივნისის № 3 დადგენილების მე-3 პუნქტი).

6. განაჩენის აღსრულების გადადების ვადის გასვლის შემდეგ მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში საქმე ასეთი დანაშაულის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ პირობით, თუ მასში მოიპოვება მონაცემები მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლების ან პირველი განაჩენით მისჯილი თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად მისი გაგზავნის შესახებ. თუ ასეთი მონაცემები საქმეში არ არის და მათი მიღება სასამართლო სხდომაზე შეუძლებელია, საქმე ახალი დანაშაულის შესახებ დაბრუნებული უნდა იქნეს დამატებითი გამოძიებისათვის („განაჩენის აღსრულების გადადების გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1985 წლის 21 ივნისის № 8 დადგენილების მე-17 პუნქტი).

7. სასამართლოების ყურადღება მიექცეს იმას, რომ სასამართლოში საოქმო ფორმით (საქართველოს სსრ სსსკ 401-ე მუხლი) წარმოდგენილი მასალების სასამართლო განხილვისათვის მომზადებისას მათ უნდა გადაწყვიტონ არა მარტო საქმის აღძვრის საფუძვლების არსებობის, არამედ სამართალში მიცემისათვის შეკრებილი და ოქმში წარმოდგენილი მონაცემების სისრულის საკითხიც. იმ შემთხვევაში, როცა წარმოდგენილ მასალებში არის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკმაო საფუძველი, მაგრამ სამართალდამრღვევის სამართალში მიცემად არ არის საკმაო მონაცემები, სასამართლოებმა უნდა აღძრან საქმე და გააგზავნონ ის მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად.

8. კანონის მოთხოვნისა და „სასამართლო განაჩენის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის № 4 დადგენილების მე-2 პუნქტში მოცემული განმარტების შესაბამისად, სასამართლო განაჩენს ამყარებს მხოლოდ სასამართლო სხდომაზე ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შემოწმებულ უტყუარ მტკიცებულებებზე მათს ერთობლიობაში. გამომდინარე აქედან, სასამართლო ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქმეში არსებულ წინააღმდეგობათა გასარკვევად მტკიცებულებების გულდასმით, ყოველმხრივი გამოკვლევის გზით და მისცეს მათ სათანადო შეფასება.

საქმის არსებით გარემოებებთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებათა არსებობისას საქმე შეიძლება დაბრუნებულ იქნეს დამატებითი გამოძიებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმეში არ მოიპოვება სხვა ობიექტური მონაცემები, რომლებიც სასამართლოს შესაძლებლობას მისცემდა სწორად შეეფასებინა არსებული მტკიცებულებანი, ან როცა საჭირო ხდება ახალ გარემოებათა შემოწმება, რომელთა გამორკვევაც სასამართლოს არ შეუძლია.

9. დამატებითი გამოძიების ჩატარების შემდეგ შემოსული საქმეების განხილვის დროს სასამართლოებმა გულდასმით უნდა შეამოწმონ, სრულად არის თუ არა მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ორგანოს მიერ გამოკვლეული დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ სასამართლოს განჩინებაში მითითებული გარემობანი, რადგან ამ გარემოებათა გამოუკვლევლობა, თუ მათ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვთ, საქართველოს სსრ სსსკ 353-ე მუხლის თანახმად შეიძლება მიჩნეულ იქნეს წარმოებული მოკვლევის ან გამოძიების ცალმხრივობისა და არასისრულის მოტივით განაჩენის საკასაციო ან ზედამხედველობის წესით გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად.

10. საქართველოს სსრ სსსკ 232-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტში მითითებულ კანონის მოთხოვნათა არსებით დარღვევას შეიძლება შედეგად მოჰყვეს საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნება, თუ მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების მიერ დაშვებულმა პროცესუალურმა დარღვევებმა გამოიწვიეს პროცესის მონაწილეთა კანონით გარანტირებული უფლებების აღკვეთა ან შეზღუდვა, ან სხვა გზით მოახდინეს, ან შეეძლოთ მოეხდინათ გავლენა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე.

საქმე ყველა შემთხვევაში უნდა დაბრუნდეს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად განმწესრიგებელი ან სასამართლო სხდომიდან, ან საკასაციო და საზედამხედველო წესით განხილვის სტადიიდან საქართველოს სსრ სსსკ არსებითი დარღვევისას, თუ:

— დარღვეულია საქართველოს სსრ სსსკ 126-ე მუხლის მოთხოვნა, ე. ი. ნაცვლად წინასწარი გამოძიებისა ჩატარებულია მოკვლევა;

— პირის მიმართ ახალი ბრალდებით სხვა საქმიდან ცალკე წარმოებად გამოყოფილ მასალებზე გამოძიება ჩატარებულია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე;

— ბრალდების წაყენების დროს დარღვეულია საქართველოს სსრ სსსკ 141-ე მუხლის მოთხოვნები (არ არის მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, მუხლის ნაწილი, პუნქტი, თითოეული ბრალდებულის კონკრეტული მოქმედება, ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენისას სამართლებრივი შეფასება არ მიეცა ყოველ მათგანს და სხვ.);

— ბრალდების ფორმულირება საბრალდებო დასკვნაში არსებითად განსხვავდება ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში ჩამოყალიბებული ბრალდების ფორმულირებისაგან, წარმოადგენს უფრო მძიმე ბრალდებას, აგრეთვე დაკავშირებულია ბრალდებულის მდგომარეობის სხვა რაიმე გაუარესებასთან ან მისი დაცვის უფლების დარღვევასთან;

— საბრალდებო დასკვნა არ არის დამტკიცებული პროკურორის მიერ;

— გამოძიება ჩატარებულია იმ პირთა მიერ, რომლებიც საქართველოს სსრ სსსკ 57-ე მუხლის თანახმად ექვემდებარებიან აცილებას;

— დარღვეულია საქართველოს სსრ სსსკ 44-ე მუხლის მოთხოვნა წინასწარი გამოძიების ჩატარების დროს დამცველის სავალდებულო მონაწილეობის შესახებ. მათ შორის დარღვეულია კანონის მოთხოვნა, რომლის ძალით ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იცავდეს ორ ბრალდებულს, თუ ერთი მათგანის ინტერესები მეორის ინტერესებს ეწინააღმდეგება (საქართველოს სსრ სსსკ 46-ე მუხლის მე-4 ნაწილი);

— დარღვეულია საქართველოს სსრ სსსკ 202-ე მუხლის მოთხოვნა (ბრალდებულისათვის საქმის მასალების გაუცნობლობა ან არასრული გაცნობა, აგრეთვე გაუცნობლობა იმ მასალებისა, რომლებიც მიღებულია საქართველოს სსრ სსსკ 203-205-ე მუხლების მოთხოვნათა შესრულებისას ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად);

— უსაფუძვლოდაა უარყოფილი ბრალდებულის ან პროცესის სხვა მონაწილეთა შუამდგომლობები ისეთ გარემოებათა დადგენის შესახებ, რომლებსაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვთ, თუ ამ გარემოებათა დადგენა სასამართლოს არ შეუძლია;

— ბრალდებულს, რომელიც არ ფლობს ენას, რომელზედაც სამართალწარმოება მიმდინარეობს, არ მიეცა იმის შესაძლებლობა, რომ მშობლიურ ენაზე გააკეთოს განცხადება, მისცეს ჩვენებები და აღძრას შუამდგომლობანი, არ იყო უზრუნველყოფილი თარჯიმნის მომსახურებით (საქართველოს სსრ სსსკ მე-15, 135-ე მუხლები).

11. სასამართლოთა ყურადღება მიექცეს „სასამართლოების მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის, დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში მათი ჩაბმის საქმეებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 3 დეკემბრის № 16 დადგენილების მე-3 პუნქტის განმარტების შესრულების აუცილებლობაზე, რომლითაც არასრულწლოვანთა საქმეებზე დამცველის დაშვების დადგენილი წესი სავალდებულოა მაშინაც, როცა პირმა დანაშაული ჩაიდინა 18 წლის ასაკის მიღწევამდე, მაგრამ სრულწლოვანებას მიაღწია ბრალდების წარდგენის დროისათვის. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში საქმე უნდა დაუბრუნდეს დამატებით გამოძიებას.

12. განემარტოთ სასამართლოებს, რომ საქართველოს სსრ სსსკ მე-17 და 52-ე მუხლების აზრით, განსასჯელის (ბრალდებულის) უფლება დაცვაზე (საქართველოს სსრ სსსკ 42-ე მუხლი) მოსამართლეს, პროკურორს, გამომძიებელს, მომკვლევს ავალდებულებს განუმარტონ განსასჯელს, ბრალდებულს) მისი უფლება დაცვაზე და უზრუნველყონ ამ უფლების განხორციელების რეალური შესაძლებლობა.

13. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო სხდომაზე დადგინდება განსასჯელის მიერ ისეთი დანაშაულის ჩადენაზე მიმანიშნებელი გარემოებანი, რომლის გამოც მას ადრე ბრალდება არ წაყენებია, სასამართლოებმა, საქართველოს სსრ სსსკ 256-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა გაარკვიონ, რამდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ახალი ბრალდება პირვანდელ ბრალდებასთან, იძლევა თუ არა ამ საქმეთა ცალ-ცალკე განხილვა იმის შესაძლებლობას, რომ შესრულებულ იქნეს საქართველოს სსრ სსსკ მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ.

სასამართლოებმა ამ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტონ საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების ან ახალი ბრალდებით საქმის აღძვრისა და გამოყოფილი მასალების წინასწარი გამოძიების საწარმოებლად გაგზავნის საკითხი.

14. თუ სასამართლო განხილვის დროს დადგინდება გარემოებანი, რომლებიც მიუთითებენ, რომ დანაშაული ჩადენილი აქვს იმ პირს, რომელიც მიცემული არ არის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, სასამართლო საქართველოს სსრ სსსკ 257-ე მუხლის შესაბამისად აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს ამ პირის მიმართ და აგზავნის მას გამოძიების ჩასატარებლად. ამასთან, სასამართლოებმა გადაუწყვეტელი არ უნდა დატოვონ საქმის აღძვრის საკითხი და არ უნდა დაკმაყოფილდნენ პროკურორის მიმართ კერძო განჩინების გამოტანით იმის აუცილებლობაზე მითითებით, რომ მან შეამოწმოს, არსებობს თუ არა საქმის აღძვრის საფუძვლები, უკეთუ ასეთი საფუძვლები სასამართლოს მიერ არსებითად გამოვლენილია და მითითებულია კერძო განჩინებაში. როდესაც ახლად აღძრული საქმე მჭიდროდაა დაკავშირებული განსახილველ საქმესთან და მათი ცალ-ცალკე განხილვა ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სსსკ მე-18 მუხლის მოთხოვნების შესრულებას, სასამართლომ მთელი საქმე უნდა დააბრუნოს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

ამასთან საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს, რომ საქართველოს სსრ სსსკ მე-5 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, როცა სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს საქმის აღძვრას, ის შეზღუდული არ არის მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით საქმის შეწყვეტის შესახებ.

15. თუ საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულების განხილვის შემდეგ სასამართლო სათათბირო ოთახში მივა იმ დასკვნამდე, რომ განსასჯელის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში არ არის დამტკიცებული და გამოძიების მიერ ამოწურულია დამატებით მტკიცებულებათა დადგენისა და შეკრების ყველა შესაძლებლობა, ის ვალდებულია მიიღოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ სსსკ 310-ე მუხლის მე-4 ნაწილის მე-3 პუნქტის შესაბამისად დაადგინოს გამამართლებელი განაჩენი, და არ დააბრუნოს საქმე დამატებითი გამოძიებისათვის.

16. იმის მიხედვით, თუ როგორია საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების სა-

ფუძვლები, სასამართლოს განჩინებაში, წაყენებული ბრალდების არსის მოკლე გადმოცემის გარდა, მითითებული უნდა იქნეს:

— კონკრეტულად რაში გამოიხატა წარმოებული მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების არასისრულე და რატომ არ შეუძლია სასამართლოს მისი შევსება სასამართლო სხდომაზე, დამატებით რა გარემოებები უნდა იქნეს გამორკვეული;

— სისხლის სამართლის საპროცესო კანონის რა არსებითი დარღვევები უნდა იქნეს აღმოფხვრილი;

— რა მონაცემები მოწმობენ, რომ არის საფუძველი ბრალდებულისათვის პირვანდელ ბრალდებასთან დაკავშირებული ახალი ბრალდების წასაყენებლად ან პირვანდელი ბრალდების უფრო მძიმე, თუ ისეთი ბრალდების შესაცვლელად, რომელიც ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით არსებითად განსხვავდება საბრალდებო დასკვნაში ჩამოყალიბებული ბრალდებისაგან, რა მონაცემები მეტყველებენ იმაზე, რომ აუცილებელია სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნენ მიცემული სხვა პირები და რატომ არ შეიძლება მათ მიმართ მასალების ცალკე წარმოებად გამოყოფა;

— რატომ არის არასწორი საქმეთა გაერთიანება ან გამოყოფა.

საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლომ განჩინებაში უნდა მიუთითოს ამა თუ იმ პროცესუალური მოქმედების ჩატარების შესახებ, როცა ამას მოითხოვს გამოძიების დროს დაშვებული დარღვევების ხასიათი (მაგალითად, ახალი ბრალდების წაყენება, ექსპერტიზის, დაპირისპირების ჩატარება, სსსკ ნორმათა არსებითი დარღვევების აღმოფხვრა).

საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების თაობაზე გამოტანილი განჩინების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს საქმის დასახელებას, მითითებას — დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად საქმის პროკურორისათვის გაგზავნის, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, განჩინების გაპროტესტების წესის შესახებ.

17. სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ განჩინებაში საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ დაუშვებელია ბრალდების დამტკიცებულობის, ამა თუ იმ მტკიცებულების უტყუარობის და ზოგიერთ მტკიცებულებებთან შედარებით სხვა მტკიცებულებების უპირატესობის საკითხების წინასწარ გადაწყვეტა, აგრეთვე იმ გარემოებათა დადგენილად მიჩნევა, რომლებიც უნდა შემოწმდეს წინასწარი გამოძიების დროს.

18. საქართველოს სსრ სსსკ 60[1]-ე მუხლისა და „სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოების მიერ კერძო (განსაკუთრებული) განჩინების გამოტანის პრაქტიკის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 14 ოქტომბრის № 12 დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად, კერძო განჩინებაში ყველა აუცილებელ შემთხვევაში გამოტანილ უნდა იქნეს გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაშვებულ კანონიერების დარღვევებზე რეაგირებისათვის. კერძოდ, საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს კერძო განჩინება როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით დარღვევაზე, რომელიც საფუძვლად დაედო საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებას, ისე მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს დაშვებულ კანონის სხვა დარღვევებზე.

19. საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე პროკურორის კერძო პროტესტის განხილვის დროს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს გააუქმოს ან შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს ესა თუ ის მითითება, ან მისცეს ახალი მითითებები. ასეთივე ცვლილებები სასამართლოს განჩინებებსა და დადგენილებებში შეუძლიათ შეიტანონ საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოებმაც.

20. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლომ, თბილისის საქალაქო სასამართლომ სისტემატურად გააანალიზონ საქმეთა დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების მიზეზები და მიიღონ ზომები იმ დარღვევების აღმოსაფხვრელად, რომლებსაც უშვებენ სასამართლოები საქართველოს სსრ სსსკ 232-ე და 259-ე მუხლების გამოყენების დროს.

ა. ბარანაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

ვ. თორდია,

პლენუმის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაულის გახსნის მეთოდიკის ცნება

ზოთა ფაფიაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

დანაშაულთა ცალკეული სახეობის გამოძიების მეთოდიკა, როგორც საბჭოთა კრიმინალისტიკური მეცნიერების ერთ-ერთი შემადგენელი, განსაკუთრებული ნაწილი ანუ კერძო მეთოდიკა, აღმოცენდა და განვითარდა დამნაშავეობასთან ბრძოლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის კვლევისა და საგამოძიებო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე.

საბჭოთა კრიმინალისტიკის აღმოცენებისა და განვითარების პირველსავე პერიოდიდან დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის საკითხები მიჩნეულ იყო კრიმინალისტიკის ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილად. პირველი საბჭოთა კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების ავტორი პროფ. ი. ნ. იაკიმოვი კრიმინალისტიკის საგანს ჰყოფდა სამ ძირითად ნაწილად: სისხლის სამართლის ტექნიკის, ტაქტიკის და დანაშაულთა ცალკეული სახეობის გამოძიების სამეცნიერო ტექნიკის, ტაქტიკისა და მეთოდოლოგიის გამოყენების განყოფილებებად. 30-იან წლებში კი უკვე გამოჩნდა გამოძიების მეთოდიკის საკითხებზე მიძღვნილი სპეციალური შრომები და მონოგრაფიები, რომელთაგან აღსანიშნავია ვლ. გრომოვის — დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკა (1929 წ.); ვლ. გრომოვისა და წ. ლაგოვიერის — სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულთა გამოძიება (1928 წ.); ს. ა. გოლუნსკისა და გ. კ. რაგინსკის — დანაშაულთა გამოძიების ტექნიკა და მეთოდიკა (1934 წ.); ვლ. გრომოვისა და პ. ტარასოვ-როდიონოვის — საბჭოთა აპარატში დატაცებისა და ბოროტად გამოყენების გამოძიება (1934 წ.); ცოტა მოგვიანებით კი დანაშაულთა ცალკეული სახეობის გამოძიების მეთოდიკას მიეძღვნა ს. ა. გოლუნსკისა და ბ. მ. შავერის მიერ 1939 წელს გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო, რომელშიც იგი განხილული იყო, როგორც კრიმინალისტიკის განსაკუთრებული ნაწილი.

ამრიგად, პირველად საბჭოთა კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების შემუშავება-გამოცემა წარმოებდა ზოგადი და კერძო (განსაკუთრებული) ნაწილის სახით. რაც შეეხება ცნებას — „კერძო მეთოდიკა", იგი პირველად გამოყენებული იქნა ვლ. გრომოვის, ი. იაკიმოვისა და ნ. მაკარენკოს შრომებში.

კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების ზოგად ნაწილში განხილული იყო მოძღვრება საბჭოთა კრიმინალისტიკის საგნის, კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტაქტიკის შესახებ. კერძო ანუ განსაკუთრებულ ნაწილში კი გადმოცემული იყო დანაშაულთა ცალკეული სახეობის გამოძიების მეთოდიკის საკითხები. 1959 წელს ს. ა. გოლუნსკის რედაქციით გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოთი დაირღვა მანამდე არსებული ასეთი პრაქტიკა. მასში დანაშაულთა ცალკეული სახეობის გამოძიების მეთოდიკა პირველად იყო განხილული, როგორც კრიმინალისტიკის ერთ-ერთი შემადგენელი და არა როგორც მისი კერძო ნაწილი. დღესაც ასეთი სახით წარმოებს კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების გამოცემა.

ზოგად და კერძო ნაწილად კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების დაყოფაზე უარის თქმა, ჩვენი აზრით, გამართლებული არ არის. მართალია, კრიმინალისტიკის საგნის ასეთ დაყოფას საგნის არსობისათვის რაიმე პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ როცა ვლაპარაკობთ საგნის საერთო და სპეციალურ მეთოდებზე, მის ზოგად დებულებებზე, ბუნებრივად იბადება კითხვა: განა კრიმინალისტიკის ზოგად ნაწილში შემუშავებული დებულე-

ბები თავიანთ პრაქტიკულ გამოყენებას დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების პროცესში არ პოულობენ?

კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების აგება ზოგად და კერძო ნაწილებად სრულიადაც არ ნიშნავს მის გაღარიბებას, კრიმინალისტიკური ტექნიკის, ტაქტიკისა და გამოძიების მეთოდიკის საკითხების ურთიერთ გათიშვას. პირიქით, კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტაქტიკის სწავლება კრიმინალისტიკის საერთო და კერძო მეთოდებთან ერთად უსაგნო და უმიზნო იქნებოდა დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკის გარეშე. ამიტომ, კრიმინალისტიკის საგნის არსის სწორად გაგებისთვისაც უფრო ლოგიკური იქნებოდა კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოები გამოცემულიყო სისხლის სამართლის სახელმძღვანელოების მსგავსად, ზოგადისა და კერძო ნაწილების სახით.

მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდიკა საბჭოთა კრიმინალისტიკის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, ხოლო კრიმინალისტიკური მეცნიერება ვითარდებოდა და ვითარდება კრიმინალისტიკური ტექნიკის, ტაქტიკისა და დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდიკის სახით, ეს უკანასკნელი მაინც გარკვეულად ჩამორჩა კრიმინალისტიკური მეცნიერების დანარჩენი განყოფილებების განვითარებას. ამის შესახებ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში მართებულად იყო აღნიშნული ა. ვ. დულოვის, ნ. პ. იაბლოკოვის, ა. ნ. კოლესნიჩენკოს და სხვა ავტორების მიერ.

70-იანი წლების შემდგომ პერიოდში კვლავ გაიზარდა საბჭოთა კრიმინალისტების ინტერესი დანაშაულთა ცალეკული სახეების გახსნის მეთოდიკის პრობლემებისადმი და უკვე გამოჩნდა არა მარტო მეთოდიკის საკითხებზე მიძღვნილი ცალკეული შრომები და მონოგრაფიები, არამედ სადოქტორო დისერტაციებიც.

დანაშაულთა ცალეკული სახეების გახსნის მეთოდიკის საგნის ცნების არსისა და სტრუქტურის პრობლემების უშუალო განხილვამდე საჭიროა ჯერ გავარკვიოთ „დანაშაულის გახსნის" ცნება, მისი არსი და შეფარდებითი მნიშვნელობა „გამოძიების" ცნებასთან.

კრიმინალისტიკურ და პროცესუალურ ლიტერატურაში „დანაშაულის გახსნა" ჯერ კიდევ ერთნაირად არაა გაგებული და მის ირგვლივ გაცხოველებული დავა არსებობს. არც პროცესუალურ კანონმდებლობაშია განმარტებული „დანაშაულის გახსნის" ცნება.

სამართალწარმოების საფუძვლებისა და საქართველოს სსრ სსსკ მეორე მუხლში მხოლოდ ზოგადადაა მითითებული, რომ სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ამოცანაა დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა. თუ რა უნდა ვიგულისხმოთ დანაშაულის გახსნის ცნებაში, ამაზე არაფერია ნათქვამი. ამ გარემოებამ გარკვეულად შეუწყო ხელი აზრთა სხვაობას პროცესუალურ ლიტერატურაში.

პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დანაშაულის გახსნის ცნების შესახებ გამოთქმული ყველა მოსაზრება შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად. პირველს უნდა მივაკუთვნოთ ის პირები, რომლებიც დანაშაულის გახსნის ცნებას შედარებით ვიწრო სახით წარმოადგენენ და დანაშაულის გახსნად მიიჩნევენ დანაშაულის შემთხვევისა და მისი ჩამდენი პირის დადგენას; მეორეს — პირები, რომლებიც აუცილებლად მიიჩნევენ მტკიცების ქვემდებარე ყველა გარემოების დადგენას; მესამეს — პირები, რომლებიც დანაშაულის გახსნის ცნებაში აერთიანებენ აგრეთვე განაჩენის გამოტანას.

თუ პროცესუალურ ლიტერატურაში დანაშაულის გახსნის ცნების შესახებ აზრთა სხვაობა აღმოცენდა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების მიღების შემდეგ, 1958 წლიდან, კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ეს აზრთა სხვაობა უფრო ადრინდელი პერიოდიდან მომდინარეობს.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში პირველად პროფ. ი. ნ. იაკიმოვი შეეცადა მოეცა დანაშაულის გახსნის ცნება 1929 წელს გამოცემულ წიგნში — „კრიმინალისტიკა, სისხლის სამართლის ტაქტიკა". იგი წერს: დანაშაულის გახსნა არის არაპირდაპირი მტკიცებულების შემწეობით დამნაშავის, მისი ხელყოფის ობიექტისა და დანაშაულებრივი მოქმედების გამორკვევა. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სახეზე გვაქვს პირდაპირი მტკიცებულება დანაშაულის ჩადენაზე, მაგალითად, თუ დამნაშავე დაიკავეს დანაშაულის ჩადენის დროს და გამოაშკარავეს იგი შემსწრე პირებმა, ასეთ შემთხვევაში, გამოძიება მდგომარეობს მხოლოდ მტკიცებულებათა გამაგრებაში. აქ უკვე ლაპარაკი აღარაა დანაშაულის გახსნაზე, რადგან იგი უკვე გახსნილია მისი აღმოჩენის მომენტიდანო (გვ. 161-162).

ამრიგად, პროფ. ი. ნ. იაკიმოვი დანაშაულის გახსნად მიიჩნევდა დამნაშავე პირის გამოაშკარავებას, მისი დანაშაულებრივი ქმედობისა და ხელყოფის ობიექტის დადგენას პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაულის გახსნის ასეთი გაგება არ იყო სწორი და მან საერთო აღიარება ვერ მოიპოვა. იგი, ჯერ კიდევ ადრე, მართებულად იქნა გაკრიტიკებული პროფ. ბ. ხარაზიშვილის მიერ 1956 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის განსაკუთრებული ნაწილის სახელმძღვანელოში. მისი აზრით „დანაშაულის გახსნის ცნება სრულიადაც არ არის დამოკიდებული მტკიცებულების სახეზე, მისი გამოყენების ხასიათზე". და, რომ „დანაშაულებრივი მოვლენის გახსნა გულისხმობს დანაშაულის შედგენილობის ელემენტების სრულყოფილად გამოვლინებასა და დადგენას". ამიტომ იგი არასწორად მიიჩნევს მტკიცებას — „თუ დამნაშავეს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას, თითქოს აღარ იყოს საჭირო დანაშაულის გახსნაო" (გვ. 22, 23).

აღსანიშნავია, რომ დღესაც პროფ. ი. ნ. იაკიმოვისებური განმარტებითაა გაგებული დანაშაულის გახსნის ცნება შინაგან საქმეთა ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში. მაგალითად, ე. გ. მალცევი თავის საკანდიდატო დისერტაციაში (პირველადწყაროთა საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულთა ცალკეული სახეობის გამოძიების მეთოდიკაში) აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში „ცხელ კვალზე" მიდევნებით გახსნილად ითვლება ისეთი დანაშაული, როცა დამნაშავე გამოვლენილი იქნა დანაშაულის ჩადენიდან ერთი დღე-ღამის განმავლობაშიო.

დანაშაულის გახსნის ასეთი გაგება არასწორია. არ შეიძლება დანაშაულის გახსნის კრიტერიუმად მივიჩნიოთ ეჭვმიტანილის დაკავება ან თუნდაც დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის დადგენა. ამასთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავენ ს. ოსტროუმოვი და ს. პანჩენკო თავიანთ სტატიაში „დანაშაულის გახსნის შეფასების კრიტერიუმი" („სოციალისტიჩესკოე ზაკონნოსტ", 1976, № 9), რომ ახლა სტატისტიკურ ანგარიშებში გახსნილ დანაშაულთა რიცხვს მიაკუთვნებენ ისეთ დანაშაულს, რომელზეც მოხდა ბრალდების წარდგენა ან ეჭვმიტანილის დაკავებაო და მოითხოვენ უარი ვთქვათ დანაშაულთა გახსნის შეფასების ასეთ კრიტერიუმზე.

გ. ი. გერასიმოვი თავისი სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატში „დანაშაულთა გახსნის თეორიული პრობლემები" დანაშაულის გახსნას ყოფს სამ ეტაპად. დანაშაულის გახსნის პირველ ეტაპად მიიჩნევს დანაშაულებრივი შემთხვევის ან მისი ნიშნების გამომჟღავნებასა და გამოვლინებას; მეორე ეტაპად — დანაშაულის ჩამდენი პირის შესახებ ცნობების მიღებასა და შეფასებას; მესამე ეტაპად — დანაშაულებრივი შემთხვევის გარემოებებისა და დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენას. დანაშაულის გახსნის მეორე ეტაპის ნაირსახეობად მიიჩნევს აგრეთვე ისეთ შემთხვევებს, როცა საქმის წარმოება შეჩერებული იყო დამნაშავე პირის დაუდგენლობის გამო.

დანაშაულის გახსნის ასეთ ეტაპებად დაყოფის მიუხედავად იგი მაინც ვერ გასცდა პროფ. ი. ნ. იაკიმოვის მიერ ჯერ კიდევ ადრე მოცემული დანაშაულის გახსნის განმარტებას და დანაშაულის გახსნის კრიტერიუმად მიიჩნია დანაშაულის გამომჟღავნება, დანაშაულებრივი შემთხვევის გარემოებისა და დამნაშავე პირის დადგენა. ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება არასრულია. ამას იმეორებს ა. ნ. ვასილევიც თავის შრომაში „საბჭოთა კრიმინალისტიკის კურსის შესავალი", როცა წერს: „დანაშაულის გახსნის ცნებაში უნდა გავიგოთ მხოლოდ დანაშაულის აღმოჩენა და დამნაშავის დადგენაო".

დანაშაულის სრული გახსნა ნიშნავს, არამარტო დანაშაულებრივი ფაქტის გამოვლინებას, დამნაშავე პირის და დანაშაულის შემადგენელი ელემენტების დადგენას, არამედ მის სრულ, ყოველმხრივ გამოკვლევას. იგი გულისხმობს ისეთ გარემოებათა დადგენასაც, რომელთაც დანაშაულის შემადგენლობისათვის შეიძლება მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ მათი როლი გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში საკმაოდ დიდი იყოს. მაგალითად, ცნობილია, რომ დანაშაულის შემადგენლობის თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მკვლელობა ჩადენილია ტტ-ს სისტემის თუ ბრაუნინგის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიის შედეგად. მაგრამ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის მოცემული საკითხის დადგენას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტიც, ასეთ კონკრეტულ შემთხვევაში ამ საკითხის დადგენის გარეშე არც შეიძლება საქმის სრულ გახსნაზე ვილაპარაკოთ, საქმის სრული გახსნა ნიშნავს მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის ყოველმხრივ გამოკვლევას, გამოსაძიებელ ფაქტზე მტკიცების საგნისა და ფარგლების სწორად განსაზღვრას და მის შესაბამისად ყველა საჭირო გარემოებათა დადგენას, მათ შორის, ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დადგენასაც.

პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დავას იწვევს აგრეთვე ის, თუ როდის, რა მომენტიდან უნდა ჩაითვალოს დანაშაული გახსნილად. მაგალითად, ა. ი. მიხაი-

ლოვმა და ლ. ა. სერგეევმა 1971 წლის № 4 ჟურნალ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავო“-ში გამოაქვეყნეს სტატია — „დანაშაულის გახსნის პროცესუალური არსი“, სადაც ავტორები დანაშაულის გახსნის პროცესუალურ მომენტად მიიჩნევენ დადგენილების გამოტანას პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ (გვ. 14-15). ასეთსავე აზრს იზიარებს ი. ფ. გერასიმოვი. ს. ოსტროროუმოვისა და ს. პანჩენკოს აზრით კი დანაშაული შეიძლება გახსნილად იქნეს ცნობილი სისხლის სამართალწარმოების ამოცანების შესრულების მესამე სტადიიდან — განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

ამ საკითხის გასარკვევად პროფ. ი. ფ. კრილოვს თავის წიგნში „კრიმინალისტიკისა და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ისტორიის ნარკვევები“, მოჰყავს საგამოძიებო მუშაკთა ლენინგრადის დახელოვნების ინსტიტუტის მსმენელ-გამომძიებელთა გამოკითხვის შედეგები. ანკეტაში დასმული იყო კითხვა, თუ როდის შეიძლება ჩაითვალოს დანაშაული გახსნილად? ამ კითხვას პასუხი გასცა 158-მა გამომძიებელმა. აქედან 60-მა უპასუხა, რომ დანაშაული გახსნილად შეიძლება ჩაიდვალოს მაშინ, როცა შეკრებილია დამნაშავის მაფხილებელი მასალები და დადგენილია მომხდარი დანაშაულის გარემოებებიო; 54-მა დანაშაულის გახსნის ასეთ მომენტად მიიჩნია დადგენილებაᲘ გამოტანა პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ; 25-ის აზრით დანაშაული შეიძლება გახსნილად ჩაითვალოს მხოლოდ საქმეზე გამოტანილი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ; 6-მა დანაშაულის გახსნის მომენტად მიიჩნია საქმის სასამართლოში გაგზავნა; 4-მა რსფსრ სსსკ 201-ე და 202-ე მუხლების (საქართველოს სსრ სსსკ 202-ე და 203-ე მუხ.) მოთხოვნათა შესრულების შემდეგ; ორმა დანაშაულის გახსნის მომენტად ჩათვალა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევა. ერთ-ერთ ანკეტაში გამომძიებელი წერდა: დანაშაული გახსნილად უნდა ჩაითვალოს დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული პირის შესახებ გამომძიებლის მიერ მტკიცებულებათა შეკრების მომენტიდან. საქმეზე ყველა დანარჩენ მტკიცებულებათა შეკრება არის დანაშაულის გახსნის ცნების მომენტის ფარგლებს გარეთო. ერთ ანკეტაში კი ჩაწერილი იყო: დანაშაული გახსნილად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ობიექტი, რომელზეც მიმართული იყო მოქმედება და დანაშაულის ჩამდენი სუბიექტი.

ი. ფ. კრილოვი ემხრობა იმ მოსაზრებას, რომლითაც დანაშაულის გახსნის მომენტად მიჩნეულია საქმეზე გამოტანილი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ზოგჯერ ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობენ დანაშაულის გახსნისა და გამოძიების ცნებასა და ტერმინოლოგიას. მაგალითად, ასეა იგი გაგებული რუსულად გამოცემულ კრიმინალისტიკის უმრავლეს სახელმძღვანელოში, მონოგრაფიებში, დისერტაციებსა და სადისერტაციო ნაშრომების ავტორეფერატებში. ზოგიერთი ავტორი კი პრიორიტეტს ანიჭებს დანაშაულის „გამოძიების“ ან დანაშაულის „გახსნის“ ცნებას.

დანაშაულთა გახსნისა და გამოძიების ცნებათა არსზე, მათი ურთიერთშეფარდებისა და განსხვავების საკითხზე საბჭოთა კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაამახვილა ყურადღება პროფ. ბ. ხარაზიშვილმა 1956 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის განსაკუთრებული ნაწილის სახელმძღვანელოში. მისი აზრით დანაშაულის გახსნა „სულ სხვა შინაარსის გამომხატველია, ვიდრე დანაშაულის გამოძიება“. და, რომ „დანაშაულის გახსნა თავისთავად გამოძიების შედეგად გვევლინება. დანაშაული შეიძლება იყოს გამოძიებული, მაგრამ არ იყოს გახსნილი, მაგრამ თუ დანაშაული გახსნილია იგი აუცილებლად გამოძიებულიცაა“ (გვ. 19-20).

აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებას პროფ. ბ. ხარაზიშვილი იმეორებს და ანვითარებს 1969 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოშიც.

ს. ოსტროუმოვი და ს. პანჩენკო, ეხებიან რა დანაშაულის გახსნისა და გამოძიების ცნებათა ურთიერთშეფარდებას, აღნიშნავენ, რომ არ შეიძლება დანაშაულის გახსნა გავაიგივოთ დანაშაულის გამოძიებასთან.

დანაშაულის „გახსნისა“ და გამოძიების“ ცნებათა ასეთი ურთიერთშეფარდება, ჩვენი აზრით, სადაოა და გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: განა სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც გამოძიება ჩატარდა, ყველა გაიხსნა? ცხადია, არა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ვიტყოდით არა საქმის გაუხსნელობაზე, არამედ საქმის გამოუძიებლობაზე, მაგრამ წარმოუდგენელია საქმე გახსნილი იყოს და იგი გამოძიებული არ იყოს. კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების გამოყენების მიზანი წინასწარი გამოძიების პროცესში სხვა არა არის რა, თუ არა მტკიცებულებათა აღმოჩენა, მათი გამოვლინება-დამუშავება და ამით გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ შემუშავებული დანაშაულის გახსნის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენება დაიშვება მხოლოდ კანონით რეგლამენტირებული პროცესუალური ნორმების მოთხოვნათა ფარგლებში. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ დანაშაულის გამოძიების ცნება უფრო ფართე იყოს, ვიდრე დანაშაულის გახსნისა. პირიქით, ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ დანაშაულის გახსნა მოიცავს დანაშაულის გამოძიებასაც. როცა ვამბობთ, — დანაშაული გახსნილია, მაშინ იმასაც ვგულისხმობთ, რომ იგი გამოძიებულია. მაგრამ სამწუხაროდ, დანაშაულის გამოძიებას ყოველთვის ვერ მივყევართ დანაშაულის გახსნამდე. პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როცა გამოსაძიებელ საქმეზე მთლიანად ამოიწურა მტკიცებულებათა მიღების ყველა პროცესუალური საშუალება, ე. ი. ჩატარდა წინასწარი გამოძიება, მაგრამ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა უკმარისობის გამო საქმე წარმოებით წყდება. მაგალითად, ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ ოგანესიანი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსსკ 94-ე მუხლის პირველი ნაწილით, 19-190-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენი უცვლელად დატოვა.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულება არასაკმარისად მიიჩნია ოგანესიანის ბრალეულად ცნობისათვის და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე შეიტანა პროტესტი, რომელშიც მოითხოვა საქმის წარმოებით შეწყვეტა ბრალდების დაუდასტურებლობის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა პროტესტი დააკმაყოფილა და მიუთითა: „საქმე ორჯერ იყო დაბრუნებული ხელახალი გამოძიებისათვის, მაგრამ დამატებითი მტკიცებულება, რომელიც საფუძველს მოგვცემდა გაგვეკეთებინა დასკვნა ოგანესიანის ბრალეულად ცნობის შესახებ, მოპოვებული ვერ იქნა. ვითვალისწინებთ, რომ საქმეზე დამატებითი მტკიცებულების შეკრების შესაძლებლობა ამოწურულია, სასამართლოს გამგებლობაში არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები კი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ოგანესიანისათვის წარდგენილი ბრალდება ქრთამის მიცემის წაქეზებაში დადასტურებულად იყოს ცნობილი, საქმე შეწყვეტას ექვემდებარებაო (სსრკ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1975, № 6, გვ. 22-25).

დანაშაულის „გახსნისა“ და „გამოძიების“ ცნებათა ურთიერთშეფარდების საკითხის განხილვისას ბუნებრივად იბადება კითხვა: რომელია სწორი, დანაშაულთა გახსნისა თუ გამოძიების მეთოდიკის ცნება? თუ დანაშაულის გახსნა მოიცავს დანაშულის გამოძიებასაც, მაშინ ხომ არ აჯობებდა დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის ნაცვლად გვეხმარა დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა? ამ საკითხის სწორად გადაწყვეტის ამოსავალი თვით კრიმინალისტიკური მეცნიერების მიზნებსა და ამოცანებში, მისი საგნის განმარტებაში უნდა ვეძიოთ.

კრიმინალისტიკის ყველა სახელმძღვანელოში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მისი ამოცანაა დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების უფრო სრულყოფილი ხერხებისა და მეთოდების შექმნა. აქედან გამომდინარე, თუ არსებობს დანაშაულის გახსნის ხერხები და მეთოდები, მაშინ, ცხადია, უნდა არსებობდეს დანაშაულის გახსნის მეთოდიკაც. საერთოდ კი, ჩვენი აზრით, თუ კრიმინალისტიკის მიზანია ხელი შეუწყოს დანაშაულის სწრაფ, სრულ გახსნასა და ამ მიზნით შექმნას დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების ხერხები და მეთოდები, მაშინ უფრო სწორი და ლოგიკური იქნებოდა ტერმინი „დანაშაულის გახსნის მეთოდიკა“ და არა „დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა“.

გამომდინარე აქედან, ჩვენ უფრო სწორად და ლოგიკურად მიგვაჩნია კრიმინალისტიკური მეცნიერების ამ მნიშვნელოვან ნაწილს გამოძიების მეთოდიკის ნაცვლად ეწოდოს „დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა“, შესაბამისი ცვლილებები შევიდეს კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო პროგრამებსა და კრიმინალისტიკის მომავალ სახელმძღვანელოებში, ხოლო იგი სრულიად ამგვარად ჩამოყალიბდეს:

დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა არის კრიმინალისტიკური მეცნიერების ის ნაწილი, რომელიც საგამოძიებო პრაქტიკის და დანაშაულთა ცალკეული სახეობის კონკრეტულ გარემოებათა სპეციფიურობის გათვალისწინებით, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლის მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციის, გამოკვლევის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების ეფექტურ გამოყენებას დანაშაულთა სრული გახსნისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო-საექსპერტო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი

ვაჟა ჯაფუვილი

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება.

სამართალდამცავი ორგანოებისა და იურიდიული სამეცნიერო დაწესებულებების მიზნების მიღწევისათვის წინა პლანზე უნდა დავაყენოთ დანაშაულთან ბრძოლის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების არსენალის გაფართოების, მათი უფრო უხვად და ეფექტიანად გამოყენების საკითხი. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უკავია სასამართლო ექსპერტიზას, რადგან ეს არის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების ძირითადი საშუალება წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის დროს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა პირდაპირ მიუთითა, რომ „ექსპერტიზის წარმოების გზით, ყველა შემთხვევაში, როდესაც სასამართლო გარჩევისას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის სპეციალურ ცოდნას, ყოველმხრივად და ობიექტურად იქნეს გამოკვლეული სისხლის სამართლის საქმის გარემოებანი[1]".

აქედან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარება უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, რადგან უშუალოდ განაპირობებს და ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტადაც მოქმედებს საქმეზე წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეფექტანობაზე.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სასამართლო ექსპერტიზის შესაძლებლობები. მაგალითად, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალურ რესპუბლიკურ სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში 1975 წელთან შედარებით 1985 წელს თითქმის ორჯერ გაიზარდა ჩატარებული ექსპერტიზების რაოდენობა. არსებითად გაფართოვდა ექსპერტიზების სახეობების რიცხვი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ლაბორატორია საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველია, რომელიც ატარებს სასამართლო სამშენებლო-ტექნიკურ, რკინიგზის ტრანსპორტზე სასამართლო საინჟინრო-ტექნიკურ და სასამართლო ფონოსკოპიურ ექსპერტიზებს.

ყოველივე ეს მოწმობს ექსპერტიზის ავტორიტეტის ამაღლებას. სასამართლო-საგამოძიებო ორგანოები ახლა უფრო ხშირად მიმართავენ სასამართლო ექსპერტიზას, უკეთ იყენებენ მის შესაძლებლობებს. ამიტომ ექსპერტიზის ჩატარების საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა სამართალდამცველი ორგანოებისა და სამეცნიერო იურიდიული დაწესებულებების შესწავლის და განზოგადების მუდმივი საგანი უნდა გახდეს.

თავისი შინაარსით და სუბიექტების შემადგენლობით ექსპერტიზის ჩატარება რთული საგამოძიებო მოქმედებაა და იგი შეიძლება დაიყოს 3 ძირითად ეტაპად: ექსპერტიზის დანიშვნა, საექსპერტო კვლევის წარმოება, ექსპერტის დასკვნის შეფასება და გამოყენება. აქ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ეტაპებს შორის არსებობს მტკიცე დიალექტიკური კავშირი.

ექსპერტიზის ჩატარების პირველ ეტაპს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან აქ დაშვებული შეცდომა, როგორც წესი, აფერხებს საექსპერტო კვლევას, იწვევს დროის გაუმართლებელ

---

[1] სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 16 მარტის დადგენილება № 1 „სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო ექსპერტიზის შესახებ", გვ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯვას, ზოგ შემთხვევაში კი შესაძლებელია მტკიცებითი ინფორმაციის გამოუსწორებელი დანაკარგები.

სამწუხაროდ, ექსპერტიზის ჩატარებისათვის მასალების მომზადებისა და მისი დანიშვნის საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლოვანებაა.

პროცესუალური კანონმდებლობით ექსპერტიზის დანიშვნის დროს დაშვებული ნაკლოვანებებისათვის გათვალისწინებულია რეგირების განსაზღვრული ფორმები. საქართველოს სსრ სსსკ 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტის თანახმად ექსპერტს უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა ექსპერტიზის დამნიშვნელი პირის მიმართ მისთვის დამატებითი მასალების წარდგენის თაობაზე, რომლებიც აუცილებელია დასკვნის მისაცემად, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილით ექსპერტს უფლება აქვს უარი თქვას დასკვნის მიცემაზე, თუ მისთვის წარდგენილი მასალები არასაკმარისია. სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო დაწესებულებებში სასამართლო ექსპერტიზების წარმოების ორგანიზაციის დებულების მე-14 და მე-17 მუხლის თანახმად ექსპერტი უფლებამოსილია შეაჩეროს საექსპერტო წარმოება ან მასალები დაუბრუნოს ექსპერტიზის დამნიშვნელ ორგანოს ექსპერტიზის წარმოების გარეშე. ამის შესაბამისად ექსპერტიზის მომზადების და დანიშვნის საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შეფასება ხდება, ეგრეთწოდებული, ფორმალური კრიტერიუმების საფუძველზე, ესე იგი, იმ მოთხოვნილებებისა და წესების გათვალისწინებით, რომლებსაც შეიცავენ ექსპერტიზის ჩატარების მარეგულირებელი საკანონმდებლო და საუწყებო ნორმები.

— ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანის და გაფორმების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დარღვევები;

— ექსპერტიზის წინაშე კითხვის არასწორი დასმა;

— საექსპერტო კვლევისათვის განკუთვნილი მასალების მომზადებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები;

— სხვა სახის ნაკლოვანებები.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების იურიდიული ბუნება ზოგიერთი კონკრეტული მაგალითის მოშველიებით.

საქართველოს სსრ სსსკ 184-ე მუხლით დადგენილია, რომ საქმეზე ექსპერტიზის ჩატარების საჭირო ცნობის შემთხვევაში, მომკვლევი ორგანო, გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო გამოიტანენ მოტივირებულ დადგენილებას (განჩინებას). აღნიშნულ წესთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ „ექსპერტის წინაშე დასმული საკითხები ფორმულირებულ უნდა იქნეს სასამართლოს განჩინებაში"[2].

ამავე დროს სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ექსპერტიზას ნიშნავენ წერილების, მომართვების და სხვა კანონით გაუთვალისწინებელი საბუთების საფუძველზე, რაც ყოვლად დაუშვებელია.

არის შემთხვევები, როდესაც საქართველოს სსრ სსსკ 110-ე მუხლის დარღვევით მოითხოვენ ექსპერტიზის ჩატარებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. იშვიათი როდია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საქართველოს სსრ სსსკ 184-ე მუხლის მოთხოვნას არღვევენ და დადგენილებაში (განჩინებაში) არ მიუთითებენ გამოსაკვლევ მასალას, ან ექსპერტის წინაშე არ სვამენ გარკვეულ კითხვებს.

საქართველოს სსრ სსსკ 70-ე მუხლის თანახმად ექსპერტიზის დანიშვნის ფაქტობრივი საფუძველია მეცნიერული, ტექნიკური ან სხვა სპეციალური ცოდნა საქმის გამოკვლევის ან სასამართლოში განხილვის დროს, ხოლო ექსპერტის დასკვნა არ შეიძლება გასცილდეს მისი სპეციალური ცოდნის ფარგლებს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის აღნიშნული დადგენილების მე-11 პუნქტში მითითებულია, რომ ექსპერტის წინაშე დასმული საკითხები და მისი დასკვნა ამ საკითხებზე არ უნდა სცილდებოდეს იმ პირის სპეციალური ცოდნის ფარგლებს, რომელსაც დავალებული აქვს ექსპერტიზის წარმოება.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონში არ არის განმარტებული ტერმინი „სპეციალური ცოდნა". ლიტერატურაში და პრაქტიკაში ამ ტერმინში იგულისხმება ცოდნა, რომელიც შეძენილია სპეციალური განათლების მიღების მეშვეობით ან პრაქტიკული მუშაობის პროცესში შეძენილი კონკრეტული სპეციალობით[3]. ექსპერტის წინაშე საკითხების ჩამოყალიბებისას მომკვლევმა პირმა, გამომძიებელმა, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ამა თუ იმ სახეობის ექსპერტიზის

---

[2] იქვე, გვ. 3.

[3] Галкин В. М., Средства доказывания в уголовном процессе, ч. 2, М., 1968, с. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგნიდან, ე. ი. ფაქტების, გარემოებების (ფაქტობრივი მონაცემების) იმ წრიდან, რომლებიც დგინდება ამ ექსპერტიზის მეშვეობით[4].

ცნობილია, რომ სამაგალითო კითხვები, რომლებიც ასახავენ განსაზღვრული სახეობის ექსპერტიზის შესაძლებლობებს, მოცემულია საუწყებო ნორმატიულ აქტებში (ინსტრუქციებში) და მეთოდურ ლიტერატურაში.

სამწუხაროდ, ექსპერტიზის დანიშვნის სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ექსპერტების წინაშე არასწორად სვამენ საკითხებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის პირდაპირი მითითების მიუხედავად, ექსპერტების წინაშე სამართლებრივი საკითხების დასმის ფაქტები ჯერ კიდევ გვხვდება პრაქტიკაში. ეს, ჩვენი აზრით, ხშირად გამოწვეულია არა გამოცდილების, არამედ მტკიცების პროცესუალური მოვალეობის ნაწილობრივ ექსპერტებზე დაკისრებით.

სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას, მაგალითად, ექსპერტების წინაშე, ასეთი საკითხების დასმა: „რა რაოდენობის თანხებია დ ა ტ ა ც ე ბ უ ლ ი სამშენებლო მასალების უკანონოდ ჩამოწერისა და ხელფასის თანხების უკანონოდ გაცემის გზით“? ან „მ ი უ ძ ღ ვ ი ს თ უ ა რ ა ბ რ ა ლ ი პ-ს 1485,3 ფან. კომბოსტოს აუთვისებლობაში“?, აგრეთვე, „ვ ი ს ი ბ რ ა ლ ი თ არის გამოწვეული 20581 კგ. კომბოსტოს ნაცვლად 16950 კგ. კომბოსტოს აღება შემოსავალში“ (ხაზგასმა ყველგან ავტ.).

ზოგიერთი გამომძიებლისა და მოსამართლის მიერ ექსპერტიზის დანიშვნის წესისა და ექსპერტიზის საგანის სუსტ ცოდნაზე მეტყველებს ექსპერტების წინაშე ისეთი საკითხების დასმა, რომლებიც საერთოდ არ მოითხოვენ მათ გადასაწყვეტად სპეციალურ ცოდნას. მაგალითად, ლაბორატორიაში შემოვიდა ერთ-ერთი სახალხო სასამართლოს განჩინება საინუინრო ექსპერტიზის დანიშვნაზე ვინმე ტ-ს სარჩელის საქმის გამო. განჩინებაში დასმული იყო კითხვა, თუ სახლის რომელი ნაწილი უკავიათ ფაქტობრივად სახლის მფლობელებს. უფრო მეტიც ერთ-ერთ საქმეზე სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზისაგან სასამართლო მოითხოვდა შოსარჩელის და მოპასუხის საცხოვრებელი ოთახების ფართობის დადგენას.

რაღა თქმა უნდა, ცხადია, რომ ზემოდ მოყვანილ შემთხვევებში ექსპერტიზის წინაშე დასმული იყო ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არ მოითხოვდა არავითარ სპეციალურ ცოდნას.

იშვიათი როდია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ექსპერტიზის დანიშვნის დროს ზოგიერთ გამომძიებელსა თუ მოსამართლეს ერთმანეთში ერევა სხვადასხვა სახის ექსპერტიზის საგანი. მაგალითად, შინაგან საქმეთა ერთ-ერთმა ქვეგანყოფილებამ ლაბორატორიას გაუგზავნა დადგენილება სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, რომელშიც ექსპერტ-ბუღალტრების წინაშე გადასაწყვეტად დასმული იყო შემდეგი კითხვები: „რას შეეძლო გამხმარი ხახვის გაფუჭება?“, „რა პირობებში უნდა ინახებოდეს გამხმარი ხახვი და იყო თუ არა შენახვის საჭირო პირობები“?, „თუ გადამუშავდა 20 ტონა ატამი, რა რაოდენობით შაქარი დასჭირდა?“ აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

სასამართლო ექსპერტიზის მომზადება არის მრავალეტაპიანი საგამოძიებო მოქმედება, რომლის დასაწყის მომენტად უნდა ჩაითვალოს გამომძიებლის გადაწყვეტილება სპეციალური ცოდნის გამოყენების აუცილებლობის თაობაზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ხდება გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს, ესე იგი, როცა გამომძიებელი საჭიროდ ჩათვლის, რომ აღმოჩენილი და ამოღებული დანაშაულის კვალი თუ დანაშაულებრივი მოქმედების რაიმე საგანი შემდგომ მოითხოვს საექსპერტო კვლევას[5].

აქედან გამომდინარე, სასურველია შედგეს ექსპერტიზის ჩატარების გეგმა, რაც უზრუნველყოფს ექსპერტისათვის წარსადგენი მასალების სისრულეს. ექსპერტიზის ჩასატარებლად გასაგზავნი მასალების სისრულე გულისხმობს არა მარტო თვით ნივთიერ მტკიცებულებებს, არამედ, ეგრეთწოდებულ, დამატებით ინფორმაციას მათ შესახებ. ასეთი ინფორმაცია კი უნდა იყოს საგამოძიებო მოქმედების ოქმებში. ამიტომ, აღნიშნული ოქმების შედგენისას დიდი მნიშვნელობა აქვს წინასწარი დათვალიერების შედეგების ზუსტ და სრულ აღწერას.

ექსპერტიზის მომზადების სტადიაში ერთ-ერთი პასუხსაგები ეტაპია შედარებითი გამოკვ-

---

[4] Шляхов А. Р., Судебная экспертиза: организация и проведение, Н., 1972, стр. 7.

[5] Судебные экспертизы (Возможности, подготовка материалов, назначение, оценка), К., РИОМВД УССР, стр. 50.

ლევისათვის ნიმუშების მიღება. საქართველოს სსრ სსსკ 186-ე მუხლით დადგენილია ნიმუშების მიღების წესი. ნიმუშების მიღების ხერხები უნდა შეესაბამებოდეს სასამართლო-საექსპერტო მეცნიერების კონკრეტული დარგის მოთხოვნებს, რაც, თავისთავად, გულისხმობს გამომძიებლის მიერ დასანიშნი სასამართლო ექსპერტიზის საგნისა და ჩატარების მეთოდიკის სამეცნიერო საფუძვლების ცოდნას.

ექსპერტიზის ჩატარებისათვის მასალების მომზადების თაობაზე ლაბორატორიამ მოამზადა და შესაბამის ორგანოებს გაუგზავნა მრავალი მეთოდური წერილი. გარდა ამისა, სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების მუშაკებთან სისტემატურად ტარდება სასწავლო-მეთოდური მუშაობა. მიუხედავად ამისა, სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, რომ მასალების შეუსრულებლად უკან დაბრუნების 87 პროცენტი გამოწვეულია სწორედ ამ მასალების სათანადო მოუმზადებლობითა და არასრულყოფილებით — ესე იგი, როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში მასალებს აკლია რაიმე საჭირო მონაცემი თუ დოკუმენტი, ან წარმოდგენილი ნიმუშები უვარგისია გამოსაკვლევ ობიექტთან შედარებისათვის. ზოგჯერ კი პირდაპირ კურიოზულ შემთხვევებსაც ვაწყდებით. მაგალითად, ლაბორატორიაში ერთ-ერთი რაიონის პროკურატურიდან შემოვიდა დადგენილება ხელწერის სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებისათვის. საექსპერტოდ წამოადგინეს რუსულ ენაზე შესრულებული ხელწერის ნიმუშები, მაშინ, როცა გამოსაკვლევი დოკუმენტი ქართულ ენაზე იყო დაწერილი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო დაწესებულებებში სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზების ჩატარების ინსტრუქციის მე-15 პუნქტის თანახმად ექსპერტიზაზე წარდგენილი დოკუმენტები ჩაკერებული და დანომრილი უნდა იყოს. სამწუხაროდ, საგამოძიებო ორგანოები, როგორც წესი, არ იცავენ აღნიშნულ მოთხოვნას და ექსპერტებს უგზავნიან გამოსაკვლევ მასალას, რომელიც ხშირად გაფანტულია საქმის ათეულ ტომში. ეს ცხადია, იწვევს ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურებას. მეორე მხრივ, ექსპერტიზაზე სისხლის სამართლის საქმის მთლიანად გაგზავნა შეუძლებელს ხდის საქმეზე სხვა საგამოძიებო მიქმედებების ჩატარებას და ფერხდება საქმის დროულად გამოძიება. სწორედ ამ მიზეზის გამო სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზების განყოფილებიდან შეუსრულებლად უკან დაბრუნდა მრავალი მასალა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დაბრუნებული საქმეების რაოდენობა არ ასახავს საბუღალტრო ექსპერტიზაზე გამოგზავნილი მოუმზადებელი მასალების რიცხვს. ასეთი მასალების მიღებისას მეტ წილ შემთხვევაში, ექსპერტები საქართველოს სსრ სსსკ 78-ე მუხლის შესაბამისად წერილობითი შუამდგომლობით მიმართავენ ექსპერტიზის დამნიშნავ ორგანოს მასალების სრულყოფილ მდგომარეობაში მოყვანის თაობაზე.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო ვერ უზრუნველყოფს საექსპერტო კვლევისათვის აუცილებელ პირობებს. მაგალითად, სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილებამ ამ მიზეზით მრავალი საქმე დააბრუნა უკან.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ექსპერტიზების დანიშვნისა და მათ ჩასატარებლად მასალების მომზადების პრაქტიკის შესწავლა და შეფასება ხდება ე. წ. ფორმალური კრიტერიუმებით, რაც ერთგვარად ზღუდავს პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზების და პირობების დადგენას. ასეთი მდგომარეობა ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ სასამართლო-საექსპერტო მოქმედების სუბიექტები (გამომძიებელი, სასამართლო, მომკვლევი პირი, ექსპერტი) მიეკუთვნებიან სხვადასხვა უწყებას და ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ ამ უწყებებს შორის შესაბამის კოორდინაციას სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების პრაქტიკის ერთობლივი შესწავლის მიზნით. ასეთი ღონისძიება კი, ერთი მხრივ, შესწავლის პროცესს უფრო მრავალმხრივს და სრულს გახდიდა, ხოლო, მეორე მხრივ, პრაქტიკის განზოგადების შედეგების საფუძველზე შესაძლებელი გახდებოდა ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება და ცხოვრებაში გა[illegible] რაც საგრძნობლად სრულყოფდა სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებას.

—•—

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულვყოთ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ხელახალი აღზრდის პრაქტიკა

ზოთა დემეტრაძე,
ქ. თბილისის კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.

მორალურად ჯანსაღი ახალგაზრდობის აღზრდა, ჭაბუკებისა და ქალიშვილების მომზადება კომუნისტური შრომისა და ცხოვრებისათვის, ყოველთვის იყო ჩვენი პარტიის უპირველესი საზრუნავი. მაგრამ მათ შორის მაინც არიან ძნელადაღსაზრდელნი, უწესრიგონი, უდისციპლინონი, სამართალდამრღვევი ყმაწვილები, რომელთა ზედამხედველობასა და აღზრდაში თვალსაჩინო როლს ასრულებენ შინაგან საქმეთა ორგანოების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორები.

როგორც წესი, უბნის ინსპექტორებს აღრიცხვაზე აჰყავთ ძნელადაღსაზრდელები, წესრიგის უხეშ დარღვევებში, ქურდობაში, ხულიგნობასა ან სხვა ანტისოციალურ ქცევებში შემჩნეული ყმაწვილები, რომელთაც პედაგოგ-ორგანიზატორებს, კომკავშირულ ორგანიზაციებს, გამოცდილ აღმზრდელებს, შეფებს ამაგრებენ. ამ გზით ისინი კიდევაც აღწევენ დამნაშავეთა ფსიქიკურ გარდაქმნას, წესიერ გზაზე დაყენებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციას პედაგოგიურად განსწავლული ისეთი ოპერატიული მუშაკი უნდა ხელმძღვანელობდეს, რომელმაც საფუძვლიანად იცის ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი, ფსიქიკური სამყარო, მისი მოთხოვნილებანი, ინტერესების სფერო, ოჯახური გარემო, ამხანაგების წრე, მიდრეკილებანი და პიროვნული თვისებები. სწორედ ასეთი კვალიფიციური მუშაკები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ ძნელადაღსაზრდელებთან პროფილაქტიკური მუშაობის სწორ ორგანიზაციაში, სამართალდარღვევათა დროულად აღკვეთაში, დანაშაულის ჩადენის მოსალოდნელი საფრთხისაგან მოზარდის „გადარჩენაში", გამოსწორებასა და ხელახალ აღზრდაში.

ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ინსპექტორის, მილიციის მაიორ კ. არბოლიშვილის შესახებ უბნის მცხოვრებნი წერენ: „თავისი საქმის ერთგულია, გამოირჩევა თავაზიანობით, ყურადღებიანობითა და გულისხმიერებით ყოველი ოჯახის მიმართ. განათლებით პედაგოგია, სწორედ ეს ეხმარება არასრულწლოვანებთან მუშაობაში".

ხობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის მასალებიდან ირკვევა, რომ ერთი წლის განმავლობაში რაიონში 20 ძნელადაღსაზრდელი იყო აყვანილი აღრიცხვაზე, მაგრამ პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების შედეგად ექვს თვეში მნიშვნელოვნად შემცირდა მოზარდების მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი. მიუხედავად ამისა, მშობელთა ერთი ნაწილი პირადი მაგალითით ცუდ გავლენას ახდენს ბავშვებზე. სოფელ ყულევის მცხოვრებმა ნ. დ.-მ სამი მცირეწლოვანი შვილი ბედის ანაბარა მიატოვა და ცხოვრების მრუდ გზას დაადგა. სოფელ მეორე ჭიხუს მცხოვრებმა ც. ქ-მ ორი შვილი უპატრონოდ დატოვა, რომელთაგან ერთი ინვალიდია, ხოლო მეორე ხელმრუდობას დაეჩვია და აღრიცხვაზეა აყვანილი. მსგავსი ამბები სხვაგანაც ხდება, რაც მილიციის ბავშვთა ოთახის ინსპექტორებისა და საზოგადოებრიობის მეტ ყურადღებას მოითხოვს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მშობლების მჭიდრო, გულითადი კავშირი მილიციის ადგილობრივ განყოფილებებთან განსაკუთრებულ როლს ასრულებს გზასაცდენილი მოზარდის გამოსწორებაში. ამის მკაფიო მაგალითია რუსთავის პროფტექსასწავლებლის მოსწავლის ვ. ხვედელიძის მშობელთა მიერ გამოჩენილი მომთხოვნელობა და ყურადღება შვილისადმი.

ვაჟა ალექსის ძე ხვედელიძე პატიოსანი მშრომელი ოჯახის შვილია. მისი მშობლები ექვს შვილს ზრდიან. ერთ საღამოს შეზარხოშებულმა ვაჟამ ფარდულისაკენ გაისეირნა, მინა შეამტვრია და ერთი ყუთი სიგარეტი „კოლხეთი“ თავის ბინაში შეიტანა.

დაგვიანებული შვილის საძებნელად გასულმა დედამ შინ დაბრუნებისთანავე მოჰკრა თვალი შვილის „ნახელავს“, ერთი შეჰკივლა და მკაცრად უთხრა ყუთი მილიციის განყოფილებაში წამოეღო. დამნაშავემ ვერ გაბედა უარის თქმა და მოპარული ყუთით გაჰყვა დედას. შვილის მომავლის გამო შიშით შეწუხებული მშობელი პასუხისმგებელ მორიგის წინ იდგა სახეშეშლილი და მოსთქვამდა, რომ ვაჟიშვილმა საქვეყნოდ მოსჭრა თავი პატიოსან ოჯახს, მიწასთან გაასწორა მშობლების სახელი, არ დაინდო და-ძმები, ახლობლები, ჩირქი მოსცხო სკოლას, ეგონა, ქვეყანას სასახელო ადამიანს უზრდიდა, მაგრამ მწარედ მოტყუებულა. სამორიგეოში ძლივს დააწყნარეს ნერვებაშლილი ქალი.

სასამართლოზე მკაცრად დაგმეს მოსწავლის საქციელი, მაგრამ გაითვალისწინეს რა დანაშაულის გულწრფელი აღიარება და ისიც, რომ ყმაწვილი პატიოსან, გამრჯე ოჯახში იზრდებოდა, სასჯელის ორი წლით გადავადება აკმარეს.

ვაჟამ უკვე დაამთავრა სასწავლებელი და პროფესიის მიხედვით მუშაობს. იგი სანიმუშო ყოფაქცევის მშრომელი ახალგაზრდაა, რომელიც შრომაში, სწავლასა და საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობაში ტოლს არავის უდებს.

როგორც ვხედავთ, დედის სამართლიანმა განაჩემა და მილიციის მუშაკთა ზრუნველობამ კეთილი ნაყოფი გამოიღო.

შვილებისადმი მშობლების მომთხოვნელობის. მილიციის ორგანოების მუშაკთა სამართლიანობისა და ჰუმანიზმის ამგვარი გაკვეთილები მოზარდთა ხნეობრივ აღზრდაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს და დამნაშავეობაში ემჩნეულ ახალგაზრდათა უმრავლესობას სწორ გზაზე აყენებს. შემოწმდა ვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ათი არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექიის საქმიანობა, სადაც 98 მაღალკვალიფიციური მუშაკი მუშაობს. მათი უმავლესობა თავის მოვალეობას კვალიფიციურად, საქმის ცოდნით, მაღალი პასუხისმგებლობითა და ბავშვებზე მზრუნველობის სულისკვეთებით ასრულებს.

მიუხედავად ამისა, ძნელადაღსაზრდელებისა და სამართალდამრღვევებისადმი გულგრილი დამოკიდებულების, უპასუხისმგებლობის გამოჩენისათვის

16 ინსპექტორს დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, ხოლო 2 მათგანი სამსახურიდან დაითხოვეს.

ბევრ სკოლაში ძნელადაღსაზრდელთა აღრიცხვა და საანკეტო ცნობები მოუგვარებელია. მათთან ინდივიდუალური მუშაობა არ ტარდება, რაც ზოგიერთ ყმაწვილს ბიძგს აძლევს დანაშაულისაკენ. სატელევიზიო გადაცემიდან, „ჩემი, შენი, ყველას საზრუნავი", ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი ნიჭიერი, მაგრამ უნებისყოფო ბიჭუნა მშობლების ყურადღების მოდუნების, ირგვლივმყოფთა გულგრილობისა და ახლობელთა უსულგულობის შედეგად ნარკომანი გახდა. ეს ამბავი პირველად უბნის ინსპექტორმა შეამჩნია და ყველაფერი გაუმხილა ყმაწვილის დედას.

მილიციის ინსპექტორმა ბევრი რამ გააკეთა ბიჭის გაჯანსაღებისა და გამოსწორებისათვის, მაგრამ ამაში მას უპირველესად თვით მოსწავლის ნებისყოფა დაეხმარა. საკუთარ თავზე გამარჯვებული ყმაწვილი და დედა ხალხის წინაშე გამოვიდნენ ტელევიზიით, მნახველსა და მსმენელს სიმართლე უამბეს. დედა, რომელმაც არ დამალა შვილის ამბავი, მილიციის მუშაკებთან ერთად გამარჯვებული გამოვიდა საშინელ სენთან ბრძოლაში.

თბილისის ოქტომბრის რაიოსაბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ და შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციამ გარკვეული მუშაობა გასწიეს ძნელადაღსაზრდელ არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ზოგიერთი ინსპექტორი ბავშვთა უზედამხედველობის წინააღმდეგ მაინც სუსტად იბრძვის.

ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე აიყვანა გ. მ. რომელიც ქმარს გაეყარა და თავის ხელობად ლოთობა და შვილების ცემა გაიხადა, მაგრამ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილება უღირსი დედის ფსიქოდისპანსერში მოთავსებისა და ბავშვების ჩვილბავშვთა სახლში გაგზავნის შესახებ დიდხანს არავის გახსენებია. მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ აღიძრა საქმე უღირსი დედისათვის შვილების ჩამორთმევისა და მათი საბავშვო სახლში გადაგზავნის შესახებ.

მილიციის ინსპექტორების, ბავშვთა ოთახების პედაგოგ-ორგანიზატორების, რაიაღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის, განათლების განყოფილებისა და სკოლის დირექტორების ხელმძღვანელობით სისტემატურად ფუნქციონირებს ბავშვთა საზაფხულო ბანაკები. თითოეულ ძნელადაღსაზრდელზე შეფად არიან მიმაგრებულნი წარმოება-ორგანიზაციის მოწინავე ადამიანები, დამრიგებლები, რომლებიც ყოველნაირად ეხმარებიან და პირადი მაგალითით ზრდიან ბავშვებს. ერთ-ერთი ასეთი შეფიდამრიგებელია სოციალისტური შრომის გმირი გიორგი კურტანიძე, რომელიც ძნელადაღსაზრდელებთან სამუშაოდ არ იშურებს დროს, ცოდნასა და ენერგიას. მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ბავშვები აქტიურად არიან ჩაბმული სპორტულ ღონისძიებებშიც. ისინი ხალისით, ინტერესით ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ძნელადაღსაზრდელებისაგან შემდგარმა ველოსიპედისტთა გუნდმა ამასწინათ რაიონულ შეჯიბრებაზე პირველი ადგილი დაიკავა. ქუჩაში ხეტიალით გატაცებული ბევრი მოზარდი ამჟამად მძლეოსნობის, ჭადრაკის, ფეხბურთის და სხვა სახის სპორტულ წრეებშია ჩაბმული.

პარტიის გლდანის რაიკომმა ამ ცოტა ხნის წინათ უჩვეულო ღონისძიე-

ბაზე მიიპატიჟა ძნელადაღსაზრდელთა მშობლები. ისინი შეხვდნენ თავიანთ შვილებს, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან და სასჯელს იხდიან. იყო მონანიებაც, ცრემლიც, დარიგებაც... ეს საღამო, ახალგაზრდობაზე ზრუნვით, გულახდილობით, ჰუმანურობითა და გულითადობით გამოირჩეოდა. შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს ესაუბრნენ ქალაქში ცხოვრების წესებზე.

წესად იქცა და თვეში ერთხელ შეფები ანგარიშით გამოდიან მშობელთა წინაშე; ძნელადაღსაზრდელთა მშობლები დახმარების მიზნით ხვდებიან შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებს; ჩამოყალიბდა საბავშვო თეატრი, რომელმაც ბევრი მოზარდი მიიზიდა; შრომის დისციპლინის, ორგანიზებულობისა და ურთიერთმომთხოვნელობის საუკეთესო მაგალითებს იძლევა ახალგაზრდობისათვის 36-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დირექცია სოციალისტური შრომის გმირის ეთერ სოლომონიას თავკაცობით.

ხშირია შემთხვევა, როცა უსაქმურები და მუქთახორები გარკვეულ გავლენას ახდენენ სუსტი ნებისყოფის მქონე ბავშვებზე, ითრევენ მათ ბოროტებასა და ავკაცობაში. ასე მაგალითად, ხობელმა უსაქმურებმა, ქურდებმა, მშობლებისაგან განებივრებულმა ყმაწვილებმა ქურდობაში ჩაითრიეს კონტროლს მოკლებული ჯ. გ. ხობში მოქმედებდა არასრულწლოვან დამნაშავეთა რამდენიმე ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ 18 წლამდე ასაკის ყმაწვილები — ნოჯიხევის პორფსასწავლებლის მოსწავლე გ. ლ., მისი თანატოლები ვ. ჭ., ლ. გ., ჭ. ვ. და სხვები. მათ გაქურდეს ხეთელ გარგანიას ბინა, სამკერვალო ატელიე, გაიტაცეს ავტომანქანა, ოჯახიც და სკოლაც სრულ გულგრილობას იჩენდნენ მათ მიმართ. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საბჭოს, სასოფლო აღმასკომს, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციას, სახალხო რაზმელებს, უწესრიგო ყმაწვილების აღზრდის მიზნით, საერთოდ მართლწესრიგის განმტკიცებისათვის თითქმის არაფერი გაუკეთებიათ.

მილიციის ადგილობრივმა ორგანოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ ყმაწვილებზე, რომლებიც არ სწავლობენ, ქუჩა-ქუჩა დაწანწალებენ, ლოთობენ და მთელ დროს ღრეობაში, უსაქმურობაში ატარებენ. შენიშნულია ისიც, რომ უსაქმურები ხშირად სარგებლობენ მშობლების გადამეტებული „მფარველობით“ და გათამამებულნი არაფრად დაგიდევენ საზოგადოებრივ აზრს, საკუთარი ავტომანქანებით დაჰქრიან აქეთ-იქით.

სწორედ ასეთი უსაქმურები ქურდობენ უმეტესად, ხულგნობენ და უხეშად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს. თბილისში, ფუნიკულიორზე მოკლეს ერევნელი სტუმარი 19 წლის სარქის ოვანესიანი. გამოძიებამ დაადგინა, რომ ერევნელი ჭაბუკი ჯერ რესტორან — „მთაწმინდაში“ აქეიფეს და შემდეგ მოკლეს 18 წლის ხიდარ ასლანოვმა, მისმა უმცროსმა ძმამ თემურმა და 110-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ზურაბ ზაზუროვმა.

გამოირკვა, რომ არც სკოლა, არც ოჯახი, არც მილიციის ინსპექტორი არაფერს აკეთებდნენ, რომ ზემოდ ჩამოთვლილი უსაქმური ყმაწვილები გონზე მოეყვანათ. არადა, ყველამ იცოდა, ისინი პატიოსან ცხოვრებას არ ეწეოდნენ. შედეგმაც არ დაიგვიანა, სამივემ საშინელი დანაშაული ჩაიდინა და ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე შეიწირა. იქნებ ეს არც მომხდარიყო, სამართლებრივ აღზრდას ჯეროვანი ყურადღება რომ დასთმობოდა, ან თავგასული მოზარდებისათვის დროზე ამოედოთ ლაგამი.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მილიციის ადგილობრივი ორგანოების ზოგიერთი მუშაკი გულგრილად ეკიდება ძნელადაღსაზრდელთა სწავლის, თავისუფალი დროის გამოყენების, საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში ჩაბმის, კლასგარეშე და სკოლის-გარეშე მუშაობაში მონაწილეობის, ოჯახურ პირობების შესწავლის საკითხებს. მილიციის უბნის ინსპექტორი კი ასეთ დროს საკმაოდ დიდი ფიგურაა, რადგან იგი არის უმაღლესი განათლების მქონე მუშაკი, დიდი უფლებებით აღჭურვილი ოფიცერი, რომელიც პასუხს აგებს მინდობილ უბანზე სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის.

არასრულწლოვან დამნაშავეებთან მუშაობაში მილიციის ორგანოებს ქმედით დახმარებას უწევენ აგრეთვე კომკავშირული საგუშაგოები და წესრიგის დამცველი რაზმები. მათ შორის მოწინავეა გლდანის რაიონის ერთ-ერთი ფაბრიკის მუშა, ტექნიკური კონტროლიორი, დისციპლინიანი, განათლებული და ჭკვიანი ახალგაზრდა კაცი გივი ხუჭუა. მან არაერთი ძნელადაღსაზრდელი ჩაბა სწავლაში და პატიოსან შრომაში.

როგორც ფაქტები ცხადყოფენ, რესპუბლიკის პარტიულმა, ადმინისტრაციულმა და განათლების ორგანოებმა საკმაო გამოცდილება დააგროვეს სოციალისტური დისციპლინის, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის მწყობრი სისტემის შესაქმნელად. მიუხედავად ამისა, ჩვენს ჯანსაღ საზოგადოებაში ჯერ კიდევ მაინც მოიძებნებიან არაკაცები, ავისმქმნელები, ახალგაზრდობის მტრები. მკვლელები და ათასი სხვა ჯურის დამნაშავენი. ეს კი ოჯახისა და სკოლის გულგრილობით, მოუწესრიგებელი გარემოს ზეგავლენით, შრომით კოლექტივებში დაშვებული შეცდომებით არის გამოწვეული. გვაქვს ფაქტები, როცა ლოთი, ინდიფერენტული, სპეკულაციით გატაცებული, უავტორიტეტო, უდისციპლინო მშობლები, პასიური, ყმაწვილების უწესო საქციელისადმი გულგრილად შემყურე ცალკეული სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები და ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთი ადგილობრივი უწყება-დაწესებულების მუშაკები ფორმალურად უდგებიან ბავშვთა უზედამხედველობას, ძნელადაღსაზრდელთა უწესრიგობას, სამართალდარღვევათა შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლას და ა. შ. არც ის არის დასამალი, რომ ლოთი, უწესო და უზნეო დედის ან მამის საავადმყოფოში დროულად გაგზავნას მილიციის მუშაკები ხშირად უვლიან გვერდს, რაც, ცხადია, ზიანს აყენებს შვილების ზნეობრივ აღზრდას.

პრესაში გამოქვეყნებული წერილებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი მასალის ანალიზმა ისიც ცხადყო, რომ ხშირად ახერხებენ განთავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას სამხედრო სამსახურიდან, ჯანმრთელი სწავლას ჩამორჩენილი, ზარმაცი, უქნარა და უწესრიგო ახალგაზრდები, რაც უბრალოდ არ ხდება. აქ თითქმის ყოველთვის ურევია ყოვლისშემძლე და გაყოყოჩებული მშობლების მფარველი ხელი, რასაც უმეტეს შემთხვევაში არასასურველი შედეგები მოსდევს.

უყურადღებობას, უპასუხისმგებლობას, მოვლენისა და სერიოზული ფაქტებისადმი ფორმალურ მიდგომას საბოლოოდ კარგი არაფერი მოაქვს. სწორედ ამიტომაა საჭირო განათლების ორგანოების, არასრულწლოვანთა კომისიების, სკოლათა ხელმძღვანელების, სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების, მილიციის ადგილობრივი ორგანოების, მშობლებისა და ფართო საზოგადოებრიობის ძალების, ენერგიისა და საქმიანობის კონცენტრაცია, რომ არც ერთი ბოზარდი არ ასცდეს სწორ გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამატებითი განმარტება

ოთარ გამყრელიძე

ჩემს პოლემიკურ წერილს, რომელიც „მაცნეში“ (ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1984, № 2) დაიბეჭდა, დოც. გ. ნაჭყებია კვლავ ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ (1985, № 2) ფურცლებზე გამოეხმაურა. მისმა საპასუხო წერილმა „მეტი ყურადღება მეცნიერების მეთოდოლოგიურ საკითხებს“ დამარწმუნა, რომ ჩემს პასუხს მთლად უკვალოდ არ ჩაუვლია. იმ ბრალდებათა ერთ ნაწილს, რომლებიც გ. ნაჭყებიამ ადრე (იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1983, № 1) წამომიყენა, ამ საპასუხო წერილში უკვე ვეღარ ვხვდებით. ავტორმა დუმილით დაამტკიცა ამ ბრალდებათა უსაფუძვლობა.

წერილის ავტორი ამჯერად მხოლოდ მეთოდოლოგიური საკითხით შემოფარგლულა. იგი ყოველნაირად ცდილობს, რომ ჩემი თვალსაზრისი მიზეზობრიობაზე როგორმე პროფ. თ. წერეთლის მოსაზრებას დაუპირისპიროს და ამ საკითხში პროფ. ა. ტრაინინის მომხრედ გამომაცხადოს. მაგრამ მას ავიწყდება, რომ მიზეზობრიობაზე ჩემი შეხედულება ჯერჯერობით არსად არ გამომითქვამს. მე იმის გარკვევა კი არ დამისახავს მიზნად, თ. წერეთლის მოსაზრებაა სწორი თუ ა. პინტკოვსკის ან ა. ტრაინინის, არამედ ვეკადე დამემტკიცებინა, რომ მართალია, ფილოსოფია ადგენს ზოგად კანონზომიერებას, რომელსაც სამართალი უნდა დაეყრდნოს, მაგრამ სამართალში მაინც შეინიშნება მიზეზობრიობის ფილოსოფიური ცნების ერთგვარი დავიწროების ტენდენცია, რადგანაც ამას მოითხოვს სამართლის დარგის სპეციფიკა, მის წინაშე მდგარი პრაქტიკული ამოცანები. თ. წერეთელმა, როგორც მე უკვე ვწერდი (იხ. „მაცნე“, გვ. 106-107), ეს სხვაგვარად დააბუთა, ხოლო ა. პინტკოვსკიმ — სხვაგვარად და ა. შ. მაგრამ, თუ რომელი მოსაზრებაა მათ შორის მისაღები და სარწმუნო, ეს საკითხის მეორე მხარეა, რაც მე ამ შემთხვევაში არ მაინტერესებდა.

სასამართლო პრაქტიკაში ამჟამად მიზეზობრიობის ფართო (ფილოსოფიური) ცნების შეზღუდვის კიდევ უფრო სხვაგვარ ცდებს ვხვდებით. მაგალითად, განაჩენებში ზოგჯერ ვკითხულობთ, რომ ესა თუ ის მოქმედება არ იყო ამა თუ იმ შედეგის „მთავარი“ ან „უშუალო“ მიზეზი და ამიტომ მიზეზობრივი კავშირი ამ მოქმედებასა და შედეგს შორის არ არსებობსო. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სამართალში შეიმჩნევა მიზეზობრიობის ფართო ცნების დავიწროებისაკენ სწრაფვა, მიუხედავად იმისა, გავიზიარებთ თუ არა **მთავარი** ან **უშუალო** მიზეზობრიობის კონცეფციას.

მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ჩემს ნაშრომში მართლა იგრძნობა ერთგვარი დაპირისპირება მიზეზობრიობის თ. წერეთელისეული თვალსაზრისის მიმართ, როგორც ამას დაჟინებით ამტკიცებს გ. ნაჭყებია. მერედა რა არის ამაში ასეთი საგანგაშო და ოდიოზური? განა თ. წერეთლის აზრს, მის დებულებას, რაც უნდა დასაბუთებულად ჩავთვალოთ ის მეცნიერულად, კანონის ძალა უნდა მიენიჭოს, ყველასათვის სავალდებულო უნდა გახდეს, ხოლო სხვა რომელიმე მეცნიერის განსხვავებული აზრი ამავე საკითხზე აუცილებლად უარსაყოფია?

ო. გამყრელიძის თვალსაზრისი თურმე პროფ. ა. ტრაინინის აზრს ემთხვევა. „მაგრამ რა ვუყოთ იმ უცილობელ ფაქტს, რომ პროფ. თ. წერეთელი პროფ. ა. ნ. ტრაინინის მოსაზრებას პრინციპულად არ ეთანხმება?“ („საბჭოთა სამართალი“, 1985, № 2, გვ. 52), კითხულობს გ. ნაჭყებია. კეთილი და პატიოსანი, რომ არ ეთანხმება. თ. წერეთელს, ცხადია, ჰქონდა საამისო საბუთი. მაგრამ მე ხომ შემიძლია შემოგიბრუნოთ სიტყვა და ასეთივე თავდაჯერებული კილოთი შეგეპასუხოთ: „მაგრამ რა ვუყოთ იმ უცილობელ ფაქტს, რომ პროფ. ა. ტრაინინი, პროფ. თ. წერეთლის მოსაზრებას პრინციპულად არ ეთანხმება?“ როგორ გავიგოთ აქედან, ვინ არის ჩვენს შორის მართალი და ვინ არის მტყუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი? განა შეიძლება საკითხის არსში გარკვევა მხოლოდ და მხოლოდ ავტორიტეტის ციტატებზე დაყრდნობით, რაც უნდა დიდი იყოს ეს ავტორიტეტი? ავტორიტეტის ციტატას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა მეცნიერულად დაასაბუთებ ამ ავტორიტეტის თვალსაზრისის სისწორეს. მაგრამ ეს უკვე პირადი რწმენის საკითხია. ერთს შეიძლება ერთი ავტორიტეტი მიაჩნდეს სწორად, მეორეს — მეორე. არავის არა აქვს უფლება, კატეგორიულად მოთხოვოს სხვას, გინდა თუ არა იმ ავტორიტეტს დაუჯერე, რომელსაც მე ვემხრობიო.

წერილის ავტორს მიაჩნია, რომ მისი და პროფ. თ. წერეთლის მოსაზრებები მიზეზობრიობის საკითხზე ერთმანეთის მსგავსია. ამიტომ, თუკი მე გ. ნაჭყებიას მოსაზრებას არ გავიზიარებ, ეს თურმე ჩემი „მასწავლებლის უნებლიე კრიტიკას წარმოადგენს“ (იქვე, გვ. 54, 57). იმის ნაცვლად, რომ საკითხის არსში სწორად გაერკვეს და თავი ისე იმართლოს, ჩვენი მოკამათე კვლავ ავტორიტეტის სახელს ამოეფარა. თანაც მე მიკიჟინებს, არ გაბედო თ. წერეთელის კრიტიკა, ის შენი მასწავლებელი იყო და ამიტომ მის „უნებლიე“ კრიტიკასაც უნდა მოერიდოო. მაგრამ, ჩემთვის რომ ეკითხა, მასწავლებლის „უნებლიე“ კრიტიკას კი არა, „ნებსითი“ კრიტიკის მაგალითებსაც დავუსახელებდი. რატომ ჰგონია ზოგიერთს, თითქოს თ. წერეთელი თავისი მოწაფეებისაგან უსიტყვო მორჩილებას, მისი შეხედულების ბრმად გაზიარებას მოითხოვდა? თ. წერეთლის, როგორც პედაგოგის, უდიდესი ღირსება სწორედ ის იყო, რომ მოწაფეებში იგი თავიდანვე აღვივებდა ლოგიკური აზროვნების უნარს, რაც მასწავლებელსა და მოწაფეს შორის აზთა სხვადასხვაობას თავისთავად გულისხმობს. გ. ნაჭყებია რომ კარგად იცნობდეს ქართველ კრიმინალისტთა ნაშრომებს, ის ამ „ნებსითი“ კრიტიკის მაგალითებს თვითონვე მონახავდა.

გ. ნაჭყებიას შეუძლია გვიპასუხოს, რომ იგი მარტო ავტორიტეტის ციტატებს როდი ეყრდნობა, არამედ მოაქვს კიდეც კონკრეტული საბუთები თავისი თვალსაზრისის სისწორის საილუსტრაციოდ. მაგალითად, იგი ამტკიცებს, თითქოს ჩემი შეხედულების მიხედვით „ფილოსოფია მსოფლმხედველობრივი, უზოგადესი და საყოველთაო მეცნიერება ვერ იქნება“ (იქვე, გვ. 53).

თუმცა სულაც არ ვცდილობ შევარყიო ფილოსოფიის „უზოგადესობის“, „საყოველთაობის“ და ა. შ. თეზისი, გ. ნაჭყებიას მაინც ვურჩევდი, ამ ზოგადი ფრაზებისათვის თავი დაენებებინა და სამართალში მიზეზობრიობის ცნების დეტალური ანალიზის საფუძველზე გამოეტანა კონკრეტული დასკვნები. ჩემს პასუხში („მაცნე“, გვ. 106-107) საილუსტრაციოდ მოვიყვანე კიდეც მიზეზობრიობის ა. პიონტკოვსკისეული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით შემთხვევით მიზეზობრიობას სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს და პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის მხოლოდ აუცილებელ მიზეზობრივ კავშირს უნდა დავეყრდნოთ. არის თუ არა ეს მიზეზობრიობის ფილოსოფიური ცნების ერთგვარი შეზღუდვის ნიმუში სისხლის სამართალში, ამ ცნების **დაკონკრეტება** სამართლის სპეციფიკური ამოცანების შესაბამისად? რასაკვირველია, არის. გ. ნაჭყებიამ კი ამ ფაქტს თავის პასუხში აშკარად გვერდი აუარა.

გარდა ამისა, ეს მაგალითი გ. ნაჭყებიას დიდ შესაძლებლობას უქმნიდა, რათა პროფ. ა. პიონტკოვსკის მომხრედ გამოვეყვანე და ამით კიდევ უფრო ნათლად გამოეკვეთა წინააღმდეგობა ჩემსა და პროფ. თ. წერეთლის თვალსაზრისებს შორის, მაგრამ მან ჩემი შეხედულება მაინცდამაინც პროფ. ა. ტრაინინისას მიამსგავსა. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ა. ტრაინინის თვალსაზრისს თითქმის არავინ ემხრობა, ხოლო ა. პიონტკოვსკის შეხედულება ამჟამად გაბატონებულად ითვლება მთელს საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში და ამის გამო მის მომხრეებთან ბრძოლა უფრო რთულია? დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რა იფიქრა გ. ნაჭყებიამ, მაგრამ ფაქტი, როგორც ამბობენ, ჯიუტი რამ არის.

გ. ნაჭყებია ზოგჯერ ცვლის დავის საგანს და ამით ცდილობს მკითხველი თავის სასარგებლოდ განაწყოს. იგი წერს, თითქოს ვამტკიცებდე, რომ სხვა მეცნიერებათა ცნებების გამოყენების დროს „ყოველი ცნება მოცემული მეცნიერების სპეციფიკის მიხედვით უნდა შეიცვალოს“ (გვ. 54). მაგრამ სიტყვები „ყოველი ცნება“ მე არ მეკუთვნის. ის თვითონ გ. ნაჭყებიამ მომაწერა. მე ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ „ყოველი ცნება“ კი არა, „ზოგიერთი ცნება“ შეიძლება შეიცვალოს. დავიმოწმებ ჩემს სიტყვებს, რომლებიც თვითონ გ. ნაჭყებიას „პასუხშია“ ციტირებული: „**ზოგჯერ** საჭირო ხდება სხვა მეცნიერებათა მიერ შემუშავებული ცნებების ერთგვარი სახეცვლილება, დაკონკრეტება, ხანაც გაფართოება, მათი გამარტივება სამართლის წინაშე მდგარი სპეციფიკური ამოცანების შესაბამისად“ (გვ. 56). ვფიქრობ, ეჭვგარეშეა, სიტყვები „**ზოგჯერ** საჭირო ხდება“ ნიშნავს, რომ „ყოველი ცნება“ კი არა, „ზოგიერთი ცნება“ შეიძლება შეეება“ შ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ნაჭყებია წერს: „მაგრამ უფრო კურიოზული ის გახლავთ, რომ ი. გამყრელიძეს დროის საკანონმდებლო რეგლამენტაცია დროის ცნების სახეცვლილებად მიიჩნია.“ თანაც მისაყვედურებს, რომ „ცნების თეორიას სათანადოდ“ არ ვიცნობ და დასძენს: „...დრო და სივრცე მატერიის მოძრაობის ფორმებია. ამიტომ დროის ცნება სრულიადაც არ დაიყვანება დროის ფიზიკურ გაგებამდე (ე. ი. საათების აღნუსხვაზე (?), როგორც ეს „გამყრელიძეს ესახება)“. „დროის ცნება ერთია, — დაასკვნის ბოლოს ავტორი, — და მისი პრაქტიკული გამოყენება ამ ცნების შეცვლა როდია“ (იქვე).

გ. ნაჭყებია, სამწუხაროდ, კამათის საგანს აქაც ცვლის და ცდილობს მკითხველს როგორმე თეორი შავად მოაჩვენოს. რა შუაშია აქ იმის მტკიცება, „დრო და სივრცე მატერიის მოძრაობის ფორმებია“ და რომ „დროის ცნება სრულიადაც არ დაიყვანება დროის ფიზიკურ გაგებამდე“?! ჩემს წერილში ლაპარაკია „დღის ხანგრძლივობის“ ცნებაზე და არა „დროის“ ფილოსოფიურ კატეგორიაზე საზოგადოდ. ეს ორი სხვადასხვა რამ არის. „დროის“ კატეგორიას ფილოსოფია შეისწავლის, „დღის ხანგრძლივობის“ ცნებას კი მეცნიერების სულ სხვა, სპეციალური დარგი განსაზღვრავს. „დღის ხანგრძლივობის“ ცნებას იმიტომ მივმართე, რათა დამემტკიცებინა, რომ სხვა მეცნიერებაში შემუშავებული ცნებები სამართალში **ზოგჯერ** იცვლება. მაგალითად, დღის ხანგრძლივობად სპეციალურ მეცნიერებაში ითვლება მზის დისკოს ზედა კიდის ამოსვლისა და ჩასვლის მომენტებს შორის გასული დროის შუალედი, რომელიც დამოკიდებულია ადგილის გეოგრაფიულ განედსა და მზის დახრილობაზე (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, „დღის ხანგრძლივობა“). მოქმედი კანონმდებლობა კი ამ ცნებას სხვაგვარად განსაზღვრავს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად სიტყვა „დღისით“ ნიშნავს დროს დილის ექვსი საათიდან საღამოს ათ საათამდე. ამის გამო ვწერდი: „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტ. 3) წერილს, რომელიც დღის ხანგრძლივობისადმია მიძღვნილი, დართული აქვს საგანგებო ცხრილი, საიდანაც ვიგებთ, რომ თბილისში ეს დრო იცვლება თვეში სამჯერ და არცერთი დღის ხანგრძლივობა არ შეადგენს თექვსმეტ საათს, მაშინ, როცა კანონმდებლის მიერ დაწესებული დრო დილის ექვი საათიდან საღამოს ათ საათამდე — ზუსტად თექვსმეტი საათი არის“ (იხ. „მაცნე“, 1984, № 2, გვ. 107).

აი, რაზე უნდა გაეცა პასუხი გ. ნაჭყებიას! მას უნდა დაემტკიცებინა, რომ სპეციალურ მეცნიერებაში შემუშავებული „დღის ხანგრძლივობის“ ცნება სამართალში არ იცვლება. ვინაიდან ამ ნათელი მაგალითის გაბათილება შეუძლებელი აღმოჩნდა, მას შეუცვლია დავის საგანი და მსჯელობა გადაუტანია დროისა და სივრცის ფილოსოფიურ პრობლემაზე, რომელსაც საერთოდ არ შეეხებივარ.

გ. ნაჭყებიამ ჩემი თვალსაზრისი დუალიზმად მონათლა, ვინაიდან ვამტკიცებ, რომ მეცნიერების ერთ დარგში შემუშავებულმა ცნებამ მეცნიერების სხვა დარგში ან სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება სახე იცვალოს. ამის გამო ვუსაყვედურე, რომ მას დუალიზმის ცნება სწორად არ ესმის. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ დუალიზმი არის ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც სინამდვილის საწყისად ორ სუბსტანციას აღიარებს: მატერიას და იდეას. ამიტომ ჩემი თვალსაზრისი დუალისტური მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუკი რომელიმე ცნებას ერთ შემთხვევაში მატერიალისტურად განვსაზღვრავდი, ხოლო მეორე შემთხვევაში — იდეალისტურად. ეს კი ჩემს მოკამათეს არ დაუმტკიცებია (იხ. „მაცნე“, გვ. 105).

ის, რომ რომელიმე მოვლენა ერთ მეცნიერებაში ფართოდ გვაქვს გაგებული, ხოლო მეცნიერების მეორე დარგში ვიწროდ, სულაც არ ნიშნავს დუალიზმს. ამიტომ გ. ნაჭყებია ამაოდ ცდილობს მკითხველს თვალი აუხვიოს და ამ გზით აიცილოს თავიდან დუალიზმის მნიშვნელობის უცოდინარობის ბრალდება. გარდა „მატერიისა და იდეის ურთიერთობის დუალისტური გადაწყვეტისა“, — იმართლებს იგი თავს, — არსებობს დუალიზმის „სხვა სახეებიც“, რომელსაც მე ვგულისხმობდიო. ავტორი წერს: „განა შესაძლებელი არ არის ფიზიკურისა და ფსიქიკურის (ე. წ. ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმის თეორია), ინტელექტისა და ნების, არსისა და ჯერარსის (კანტისა და ნეოკანტიანელების თეორია), ფაქტისა და ნორმის და ა. შ. ურთიერთობათა დუალისტური გადაწყვეტა“? (გვ. 55).

ვითომ ესაა დუალიზმის „სხვა სახეები“? დავიჯეროთ, რომ ეგრეთ წოდებული ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორია ან არსისა და ჯერარსის ურთიერთობის ი. კანტისეული მოსაზრება იგივე „მატერიისა და იდეის ურთიერთობის დუალისტური გადაწყვეტა“ არ არის, რისი უცოდინარობაც სამართლიანად ვუსაყვედურეთ გ. ნაჭყებიას?! აი, რას ვკითხულობთ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში: „დუალიზმის კლასიკური წარმომადგენელია რ. დეკარტი, რომელსაც მიაჩნდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყარო შედგება ორი სუბსტანციისაგან — აზროვნებისა (იდეალურისა) და განფენილობისაგან (მატერიალურისაგან). აქედან გამომდინარეობს მისი **ფსიქოფიზიკური (ო. გ.)** პარალელიზმის პრინციპი" (იხ. ტ. 3, „დუალიზმი"). როგორც ვხედავთ, ეგრეთ წოდებული ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორია როდი ყოფილა დუალიზმის „სხვა სახე", როგორც ამას გ. ნაჭყებია გვიმტკიცებს. ასევე ითქმის ი. კანტის თეორიაზეც და სხვ., რის გამოც აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

გ. ნაჭყებია არ ეთანხმება ჩემს შეხედულებას, რომლის მიხედვით რეციდივის სისხლისსამართლებრივი გაგება არ ემთხვევა რეციდივის კრიმინოლოგიურ გაგებას. იგი წერს: „...რეციდივის ცნება ერთია, ხოლო კრიმინოლოგია კაუზალური თვალსაზრისით მხედველობაში იღებს ნასამართლობის ფაქტს მისი გაქარწყლების ან მოხსნის მიუხედავად, მაგრამ ამით რეციდივის ცნება არ იცვლება" (გვ. 57). ცნობილია, რომ რეციდივი კრიმინოლოგიაში ფართოდ არის გაგებული. იგი მოიცავს დანაშაულის ყოველგვარ განმეორებას და ყურადღებას არ აქცევს წინა დანაშაულისათვის ნასამართლობის ფაქტს. რაც შეეხება სისხლის სამართალს, აქ რეციდივის ცნება უფრო ვიწროა და მოიცავს დანაშაულის მხოლოდ ისეთ განმეორებას, როცა მეორე დანაშაული ჩადენილია წინა დანაშაულისათვის მსჯავრდების შემდეგ (იხ. Криминология, пер. с чешского, М. 1982, С. 171-172). ამის მერე რა აზრი აქვს ავტორის მტკიცებას, თითქოს „რეციდივის ცნება არ იცვლება" და რომ ჩემი თვალსაზრისი "ეწინააღმდეგება ცნების თეორიის მოთხოვნებს"! (იქვე).

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. საქმე ის გახლავთ, რომ გ. ნაჭყებია ერთ მეტად მძიმე ბრალდებას გვიყენებს. იგი ჭეშმარიტების ობიექტური პოზიციებიდან გვედავება, თითქოს ჩემი თვალსაზრისი „მეცნიერებაში ჭეშმარიტების გაყალბებას", „თვითნებობის" და სუბიექტივიზმის" დანერგვას უწყობდეს ხელს. „ცნებაში საგნის არსება, — დასძენს იგი, — ჭეშმარიტი აზრის ფორმაშია ასახული. ამიტომ ცნება ობიექტურია, ვინაიდან ჭეშმარიტება ობიექტურია. მაგრამ თუ ცნების შინაარსი- ჭეშმარიტია, მაშინ მისი სახეცვლილება სხვა მეცნიერებაში **ჭეშმარიტების გაყალბება (ო. გ.)** გამოდის". „ვინ მოგვცა იმის უფლება, — განაგრძობს ჩვენი მოკამათე, — რომ **თვითნებურად (ო. გ.)** ხელვყოთ სხვა მეცნიერებათა ცნებები?" ან კიდევ: „ცნების შინაარსის ობიექტურობა იმის გარანტიაა, რომ სხვა მეცნიერებაში მისი სახეცვლილება მხოლოდ **სუბიექტივიზმის (ო. გ.)** პირობებშია შესაძლებელი" (გვ. 56-57).

ვერაფერს იტყვი, ბრალდება ფრიად სერიოზულია. მართლაც, როგორ შეიძლება მოხდეს, რომ მეცნიერების ერთ დარგში შემუშავებული ცნება სახეს იცვლიდეს და ისე მოქმედებდეს სამართალში! მაგრამ კაცი, რომელსაც სამართლის ბუნება ასე თუ ისე მაინც ესმის და მოქმედ კანონმდებლობასაც იცნობს, ადვილად მიხვდება, რომ საქმე მთლად ისე არ არის, როგორც ამას ჩვენი მოკამათე წარმოგვიდგენს.

გ. ნაჭყებიას მსჯელობის სრული უსაფუძვლობა აშკარა გახდება მაშინვე, როგორც კი გავიხსენებთ, რომ სამართალი აღიარებს ეგრეთწოდებულ ფიქციას, ესე იგი, ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც ის, რაც რეალურად არ არსებობს, ფაქტი არ არის, რეალურად არსებულ მოვლენას, ფაქტს უთანაბრდება. მაგალითად, ნაშვილები არ არის მშვილებლის ნაშობი, არ არის მისი ნამდვილი (ფიზიკური თვალსაზრისით) შვილი, მაგრამ თანამედროვე საოჯახო სამართალი ნაშვილებს ნამდვილ, ანუ, როგორც იტყვიან, ღვიძლ შვილს უთანაბრებს და იურიდიულად არაფრით არ განსხვავებს მისგან. ამ საკითხს რომ გ. ნაჭყებიას მიერ მომარჯვებული ჭეშმარიტების საზომით მივუდგეთ, მაშინ უარი უნდა ვთქვათ სამართალში შვილად აყვანის ინსტიტუტზე, რადგანაც იგი ჭეშმარიტებას არ შეესაბამება.

სამხედრო მეცნიერებაში **იარაღს** უწოდებენ „შეიარაღებულ ბრძოლაში მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის, მისი ტექნიკის და ნაგებობების გასანადგურებელ მოწყობილობებსა და საშუალებებს..." (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, „იარაღი"). მაშასადამე, სამხედრო მეცნიერება იარაღად თვლის ისეთ მოწყობილობას ან საშუალებას, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს „ცოცხალი ძალა, ტექნიკა ან ნაგებობა" და არა აქვს სხვაგვარი სამეურნეო დანიშნულება. საგანი, რომელსაც ეს უნარი, თვისება არ გააჩნია, იარაღად ვერ ჩაითვლება.

მაგრამ სამართალში იარაღის ცნების ეს განსაზღვრება **ყოველთვის** არ გამოდგება. მაგალითად, რევოლვერი სამხედრო თვალსაზრისით იარაღად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი ვარგისია ცოცხალი ძალის დასაზიანებლად ან გასანადგურებლად. სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით კი იარაღად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი რევოლვერიც, რომელიც უვარგისია ცოცხალი ძალის დასაზიანებლად და მხოლოდ იარაღის იმიტაციას ახდენს. მაგალითად, კაცს დამნაშავემ რევოლვერი დაუმიზნა და უბრძანა მოეხსნა ოქრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათი. შემდეგ აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში დამნაშავეს რევოლვერის მაკეტი დაუმიზნებია. როგორ უნდა განვსაზღვროთ ამ მოქმედების კვალიფიკაცია? იქნება თუ არა ეს ყაჩაღობა? ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყდება იარაღის საკითხი. თუკი რეალური მდგომარეობიდან გამოვალთ და ამ საკითხს დამნაშავის თვალთახედვით მივუდგებით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მაკეტი უვარგისი იყო სხვისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაზიანებლად და, მაშასადამე, მსხვერპლს არაფერი ემუქრებოდა. ასეთ შემთხვევაში ეს მოქმედება ყაჩაღობად ვერ დაკვალიფიცირდება. მაგრამ, თუკი საკითხს მსხვერპლის თვალთახედვით შევაფასებთ, უნდა ჩავთვალოთ, რომ თავდასხმა ხდებოდა იარაღით და მსხვერპლის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ამ შემთხვევაში ხსენებული მოქმედება ყაჩაღობად უნდა დაკვალიფიცირდეს (ცხადია, იმ პირობით, თუ დამნაშავესაც წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული, რომ ეს მაკეტი მსხვერპლისათვის ვარგის იარაღად მოეჩვენებინა). სწორედ ასე წყდება ეს საკითხი საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში. (იხ. Вопросы уголовного права и процесса в практике Верховного Суда СССР и РСФСР, 1971, с. 185).

როგორც ვხედავთ, სამხედრო მეცნიერებაში შემუშავებული იარაღის (რევოლვერის) ცნება ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს სამართლის დარგის სპეციფიკურ მოთხოვნებს და ჩვენ, სამართლის სპეციალისტები, იძულებული ვართ **ზოგჯერ** გავაფართოვოთ ეს ცნება და ვაღიაროთ ფიქცია. რევოლვერის მაკეტი, ცხადია, ფიქციაა, მაგრამ ჩვენ მას ნამდვილი რევოლვერის თვისებას მივაწერთ, ნამდვილ რევოლვერს ვუთანაბრებთ.

გ. ნაჭყებიას მიხედვით კი ისე გამოდის, თითქოს რევოლვერის ცნების ასეთი გაფართოება ჭეშმარიტების „გაყალბება“, „თვითნებობა“, „სუბიექტივიზმი“ ყოფილა. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ გ. ნაჭყებია მცდარ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დგას. როგორც ჩანს, იგი ღრმად არ იცნობს სამართლის ბუნებას. გ. ნაჭყებიას მოსაზრებას რომ გავყვეთ, მაშინ უვარგისი რევოლვერით თავდასხმა, თუ მსხვერპლს იარაღი ვარგისი ეგონა და დამნაშავესაც სურდა, რომ მსხვერპლს იგი ასეთად აღექვა, ყაჩაღობად კი არა, ძარცვად უნდა დაგვეკვალიფიცირებინა. ეს გარემოება კი შეასუსტებდა დანაშაულობასთან ბრძოლას. მსხვერპლისათვის *არავითარი მნიშვნელობა* არა აქვს იმ ფაქტს, მას ვარგისი იარაღით ესხმიან თავს თუ უვარგისით. მთავარი აქ ისაა, რომ ეს **უვარგისი** რევოლვერი **ვარგისი** აღმოჩნდა მსხვერპლის წინააღმდეგობის დაძლევისათვის, ვინაიდან მსხვერპლმა იგი შეცდომით ვარგისად აღიქვა და დამნაშავესაც ამით თავისი მიზნის მიღწევა გაუადვილდა. ასეთი შემთხვევა რომ ყაჩაღობად არ ჩავთვალოთ, მაშინ უვარგისი იარაღით თავდასხმები გამრავლდება. აი, რა შედეგი შეუძლია გამოიწვიოს პრაქტიკაში გ. ნაჭყებიას მიერ შემოთავაზებულმა მეთოდმა, რომელსაც, მისი მტკიცებით, საფუძვლად უდევს „ცნების შინაარსის ობიექტურობის“ თეზისი.

ყოველივე ამის მიზეზი კი ის არის, რომ გ. ნაჭყებია უგულვებელყოფს სამართლის ნორმატიულ ბუნებას და ნორმატივიზმი, რომელიც დამახასიათებელია ყოველი დროის და ყოველი ქვეყნის სამართლისათვის საზოგადოდ, მას გაიგივებული აქვს ცნობილი ნეოკანტიანელი იურისტის ჰ. კელზენის სამართლის ნორმატიულ მოძღვრებასთან. ჩვენმა ფილოსოფოსებმა და სამართალმცოდნეებმა კარგა ხანია, რაც აღიარეს სამართლის ნორმატიულობა და ამ საქმეში მათთვის ხელი არ შეუშლია ეგრეთწოდებულ კელზენიანობას. მაგალითად, ცნობილი საბჭოელი ფილოსოფოსი ვ. ტუგარინოვი ჯერ კიდევ 1968 წ. წერდა: «Значительная роль должна сыграть марксистская теория ценностей в юридической науке, науке почти полностью оценочной и нормативной (см. Теория ценностей в марксизме, 1968, с. 122).

აი, რას წერს ამავე საკითხზე სამართლის ზოგადი თეორიის ისეთი ცნობილი ავტორიტეტი საბჭოთა კავშირში, როგორც არის ს. ალექსეევი:

«значение нормативности среди иных свойств... является достаточным основанием для того, чтобы признать вполне оправданным принятое в нашей науке нормативное понятие права» («Социальная ценность права в советском обществе» с. 87).

მაშასადამე, სამართლის **ნორმატიული** ცნება მიღებული და აღიარებული ყოფილა საბჭოურ იურიდიულ მეცნიერებაში. რა შეიძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება ვუწოდოთ ამის შემდეგ გ. ნაჭყებიას ასეთ განცხადებას: „ო. გამყრელიძე, თავისი პოზიციიდან გამომდინარე, მკრეხელობად გამოაცხადებს ყველა იმ ნაშრომს, რომელშიც ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური ან სხვა მეცნიერებათა ცნების **ნორმატიული სახეცვლილება (ო. გ.)** პრინციპულად იქნება უარყოფილი. მაგრამ ამგვარი შრომების შეფასებაში ავტორის კომპეტენტურობის საკითხი დაე მკითხველმა გადაწყვიტოს“ (გვ. 58). თუ ავტორს აქ ისეთივე მკითხველი ჰყავს მხედველობაში, როგორიც თვითონ ბრძანდება, ცხადია, იგი ჩემი კომპეტენტურობის საკითხს ვერ გადაწყვეტს. მაგრამ, ვფიქრობ, „საბჭოთა სამართლის“ მკითხველთა უმრავლესობა მიხვდება. თუ ვის მხარეზეა სიმართლე.

კიდევ ერთ საკითხზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. ავტორი წერს: „მეცნიერების მეთოდოლოგიურ საკითხებზე კატეგორიული მსჯელობა ენციკლოპედიებიდან ამოკრეფილი ცნობების მიხედვით, როგორც ამას ო. გამყრელიძე აკეთებს, სერიოზულ მეცნიერულ საქმიანობად ვერ ჩაითვლება“ (იქვე).

ჩანს, ავტორს არ ცოდნია არც ლექსიკონის, არც ენციკლოპედიური ლიტერატურის მნიშვნელობა, ვინაიდან ამ სახის ლიტერატურაზე მითითება „სერიოზულ მეცნიერულ საქმიანობად“ არ მიაჩნია. ამიტომ იძულებული ვხდები, განვუმარტო, რომ ლექსიკონში და ენციკლოპედიაში შედის მეცნიერულად ასაგზის და ათასგზის შემოწმებული და დადგენილი ცნებები. ამის გამოა, რომ მე დუალიზმისა და სხვა ცნებათა გასარკვევად უცხო სიტყვათა ლექსიკონს და ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას მივმართე და, ვფიქრობ, არც შევმცდარვარ, როცა მათ სხვებზე მეტი ნდობა გამოვუცხადე.

* * *

რედაქციისაგან: ჩვენი ჟურნალის 1981 წლის მეექვსე ნომერში, რუბრიკით „ჩვენი სადისკუსიო კლუბი“, დაიბეჭდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, ადვოკატ ა. მიქაძის წერილი „არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნება საბჭოთა სისხლის სამართალში“. სტატიამ დიდი ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ხოლო 1982 წლის მეორე ნომერში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ო. გამყრელიძის კრიტიკული გამოხმაურება „არის თუ არა დავის საფუძველი“. ამის შემდეგ პოლემიკაში ჩაერთო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი გ. ნაჭყებია. იგი არ დაეთანხმა ო. გამყრელიძის მოსაზრებებს და 1983 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა მისი წერილი „დავის საფუძველი არის“. ამის შემდეგ კამათმა „მაცნეს“ (ეკონომიკისა და სამართლის სერია) ფურცლებზე გადაინაცვლა და ამ ჟურნალის 1984 წლის მეორე ნომერში დაიბეჭდა ო. გამყრელიძის პასუხი „მეცნიერული სიმართლისათვის“. „მაცნეში“ გამოქვეყნებულ წერილს მალევე უპასუხა ჟურნალმა „საბჭოთა სამართალმა“ და 1985 წლის მეორე ნომერში კვლავ გამოქვეყნდა გ. ნაჭყებიას ახალი პოლემიკური სტატია „მეტი ყურადღება მეცნიერების მეთოდოლოგიურ საკითხებს“.

მეცნიერულმა დავამ საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო, თუმცა, სხვადასხვა მიზეზების გამო ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე ო. გამყრელიძის პასუხი აღარ დაიბეჭდილა.

რედაქციას მიაჩნია, რომ კეთილსინდისიერი დავისა და პროფესიული კამათის გარეშე მართლაც ვერ იარსებებს ნამდვილი მეცნიერება, მაგრამ ასეთ დროს მთავარია არ პირადი ამბიციები, არამედ, საზოგადოდ, მეცნიერების შემდგომი განვითარების ამოცანები, მისი ხვალინდელი დღე. ამ აზრითა და მიზნით გაჩაღებულ პოლემიკას ჟურნალ „საბჭოთა სამართალი“ კვლავაც დაუთმობს ადგილს თავის ფურცლებზე, რადგან სწორედ კამათში იბადება ჭეშმარიტება. ქართული იურიდიული მეცნიერების წინსვლისა და განვითარებისათვის კი მართლაც საჭიროა ასეთი მაღალი დონისა და რანგის დისკუსიები.

ა. მიქაძის წერილში წამოჭრილი საკითხები, რომლებმაც აზრთა პრინციპული სხვადასხვაობა გამოიწვია, მართლაც საინტერესოა და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით პასუხის დაბეჭდვა, რომელიც ო. გამყრელიძემ მოამზადა. პირუთვნელი და კეთილსინდისიერი მკითხველი თვითონ უკეთ გაერკვევა ჭეშმარიტებაში.

ამ წერილით რედაქცია ამთავრებს დისკუსიას აღნიშნულ საკითხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის ნდობა



„როგორი უნდა იყოს სახალხო მოსამართლე?"

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ბევრს ალბათ ოდესღაც საქმედ მიაჩნია: „რა თქმა უნდა, კანონიერების ზუსტად დამცველი", იტყვიან ერთნი; „პატიოსანი და კარგი იურისტი", დაუმატებენ სხვები და ასე დაუსრულებლად. დიახ, ბევრის, მეტად ბევრის მომცველია სახალხო მოსამართლის პიროვნების მასშტაბები და, როგორადაც არ უნდა ვეცადოთ, სრულყოფილად, ამომწურავად ვერ დავხატავთ საბჭოთა სახალხო მოსამართლის პორტრეტს...

მაგალითად მ. კალინინი წერდა, რომ „მოსამართლე უნდა იყოს ადამიანი, რომელმაც თავისი პირადი საქციელით, საქმისადმი დამოკიდებულებით დაიმსახურა ხალხის ნდობა და ავტორიტეტი, აქვს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცდილება, შეუძლია გაერკვეს ადამიანებში და არის კულტურული ადამიანი". როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკი არ არის კანონიერების ზუსტად დაცვაზე და მაღალ პროფესიულ დონეზე, რადგან ყოველივე ეს, თავისთავად, იგულისხმება. მთავარია, გაამართლო ხალხის ნდობა და მთელი შენი პირადი საქციელით, მაღალი კულტურითა და კაცთმოყვარეობით იყო ჭეშმარიტად სამაგალითო. სწორედ ამიტომ მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, რომ „სასამართლო არის დისციპლინის აღზრდის იარაღი".

ხალხის ნდობის დამსახურება და ამ ნდობის გამართლება მართლაც რომ ყოველმხრივ გამორჩეულ ადამიანთა ხვედრია. ასეთები კი ჩვენს საზოგადოებაში, საბედნიეროდ, ბევრნი არიან და მათ შორისაა მცხეთის რაიონის სახალხო მოსამართლე შოთა კალმახელიძეც...

1952 წლიდან 1976 წლამდე რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში იმუშავა სხვადასხვა თანამდებობაზე, თავიდან კი რაიონის პროკურორის თანაშემწეობით დაიწყო. ეს ის წლებია, როცა თეორიული ცოდნით აღჭურვილი სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტი გზას იკვლევს პრაქტიკული საქმიანობის რთულ და საინტერესო სამყაროში. როცა საკმაო გამოცდილება დაუგროვდა, რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორად აწინაურებენ. შემდეგ, კარგა ხანს, ზესტაფონის რაიონის პროკურორად მუშაობდა. წლები წლებს მისდევდა და შოთა კალმახელიძე სულ უფრო იხვეწებოდა როგორც იურისტი და მოქალაქე. ეს კი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და 1975 წელს მცხეთის რაიონის მშრომელებმა ერთხმად აირჩიეს სახალხო მოსამართლედ.

— პირველი დღე არასოდეს დამავიწყდება, — იგონებს შოთა კალმახელიძე, — ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომელსაც სიტყვებით ოდესღაც ვერ ასახავ... გამოხვიდე რესპუბლიკის სახელით და გადაწყვიტო ადამიანის ბედი, ამაზე მეტი პასუხისმგებლობა რაღა უნდა იყოს, ვფიქრობდი და ვცდილობდი ძალა მომეკრიბა. მიუხედავად პროკურატურის ორგანოებში მიღებული დიდი გამოცდილებისა, პირველ სასამართლო პროცესზე ისეთი მღელვარება დამეუფლა, რომ კინაღამ სულ დავიბენი, მერე, როგორც იქნა მოვძებნე ჩემი თავი და ყველაფერი თავისი გზით წარიმართა...

და, როგორც ჩანს, ღირსეული და მართალი გზით, რადგან ხუთი წლის შემდეგ მას ხელმეორედ უცხადებენ ასეთ მაღალ ნდობას. უკვე მთელი ათი წელია იგი ღირსეულად ატარებს სახალხო მოსამართლის მძიმე, პასუხსაგებ და უაღრესად საპატიო ტვირთს. ამ ხნის მანძილზე მრავალი გამარჯვება იზეიმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგადაშიგ მარცხით გამოწვეული სიმწარეც იგემა, მაგრამ თავი მაინც არასოდეს და არაფერში შეურცხვენია, რისთვისაც იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

— ამ ხნის მანძილზე გამოტანილი განაჩენებისა თუ გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობის მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილი შეიცვალა ან გაუქმდა და ცხადია, რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ ჭეშმარიტება დროულად დაადგინა, მაგრამ თითოეულ ასეთ შემთხვევას საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებ. გულწრფელად ამბობს იგი და გვჯერა, რომ იმ ერთი-ორი შეცდომით დიდი გაკვეთილი მიუღია შოთა კალმახელიძეს, გაკვეთილი, რომელიც შტკიცე და საიმედო საფუძველია უხარვეზო საქმიანობისათვის.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ ახალი გრანდიოზული ამოცანები დააყენა საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე. კერძოდ, თავიდან უნდა მოვიშოროთ საქმისადმი ძველი ყავლგასული მიდგომა, უნდა ვიაზროვნოთ ახლებურად, ჩვენი საზოგადოების დაჩქარებული განვითარების შესაბამისად. გახსოვთ ალბათ, ყრილობაზე ითქვა: „კომუნისტებს ყოველთვის და ყველა გარემოებაში სჭირდებათ სიმართლე".

— დიახ სიმართლე, — გაიმეორა შოთა კალმახელიძემ, — მთავარია სიმართლე, რადგან ვის მხარესაც სიმართლეა, ის მუდამ გაიმარჯვებს... უკანასკნელ ხანს ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა წაყრუებას, მოვლენებისადმი არარეალურ მიდგომას. შეიქმნა გულახდილობის, უშუალობისა და საჭაროობის ატმოსფერო. ეს ძალიან გვეხმარება მუშაობაში... შეუძლებელია აქ არ გავიხსენოთ მიმდინარე წლის 18 სექტემბერს კრასნოდარელ მშრომელებთან საუბრის დროს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ წარმოთქმული უაღრესად მართალი სიტყვები. „ბოლოს და ბოლოს უნდა გაიმარჯვოს სოციალისტურმა კანონიერებამ. თანაც ყველასათვის ერთი კანონი უნდა იყოს, ერთი დისციპლინა, ყველასათვის ერთი მორალი. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთებიც, რომლებიც სხვას სოციალისტურ მორალს უქადაგებენ, თვითონ კი სუროგატს სჯერდებიან. ასე არ გამოვა, ეს საქვეყნოდ უნდა ითქვას".

— სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ აქაც ზოგიერთმა მოსამართლემ აბუჩად აიგდო ხალხის ნდობა, გაყოყოჩდა და გამოუსწორებელი დანაშაული ჩაიდინა, ამხილეს და საკადრისადაც დასაჯეს... მაგრამ აქ განა შეიძლება წერტილის დასმა — მართლმსაჯულების განმხორციელებელი განსასჯელის სკამზე — ამაზე ფიქრიც კი შემაზრზენია... რამდენი დრო და ენერგია სჭირდება მათი უმსგავსო საქციელით რწმენაშერყეული ადამიანების კვლავ ჩვენსკენ შემობრუნებას, ცხადია, ბევრი. ერთი სიტყვით, ასეთი შემთხვევებით გამოწვეულ ზიანს ვერ აღნუსხავ... — სიტყვები აღარ ჰყოფნის შოთა კალმახელიძეს.

— წელს თქვენ ექვსი ათეული წელი გაასრულეთ და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მუშაობისათვის ეს საიუბილეო თარიღი რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ საპატიო სიგელით მოგილოცათ...

— დიახ, უკან დარჩა ჩემი ცხოვრების 60 წელი... ზოგჯერ არც კი მჯერა, ისე უცებ გაირბინეს წლებმა, მაგრამ რას იზამ, დროს ვერ შეაჩერებ... ჯილდო კი, თავისთავად ჩემი მოკრძალებული წვლილის დაფასება და აღიარებაა, ამავე დროს იგი, ცხადია, სულ უფრო მეტს მავალებს და მეც ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა კვლავაც მთელი არსებით ვემსახურო საბჭოთა მართლმსაჯულებას და ბოლომდე გავამართლო დაკისრებული მოვალეობა...

მრავალრიცხოვანი წერილების სახელით ჩვენი უურნალის რედაქციაც გულწრფელად ულოცავს იუბილარს დაბადების 60 წლის თავს იმ ღრმა რწმენით, რომ მუდამ მოწინწებითა და თვალის ჩინივით გაუფრთხილებლობა ამ ქვეყნად ყველაზე მაღალ ჯილდოს — ხალხის ნდობას.

გელა გურული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალეობის მაღალი გრძნობით

მასთან შეხვედრა დიდხანს ვერ შევძელი. ბოლოს, როგორც იქნა, „მოვიხელთე" და პაემანიც დავუნიშნე...

— როგორც ჩანს, თქვენი „დაჭერა" გაცილებით რთული ყოფილა, ვიდრე იმ ნაძირალებისა, ბევრი რომ გაგებიათ მახეში, — ვეუბნები თბილისის შინაგან საქმეთა პირველი მაისის რაიგანყოფილების სისხლის სამართლს სამძებრო ქვეგანყოფილების უფროს ოპერრწმუნებულს, მილიციის კაპიტანს თეიმურაზ მღებრიშვილს. ეღიმება... ახლა მას ისეთი სანდომიანი, მშვიდი და უწყინარი გამოხედვა აქვს, ერთ წამს, ეჰვიც კი შემეპარა, ყველაფერი ის, რაც ამასზე უკვე ვიცოდი, ნუთუ მართალია-მეთქი. ამ კაცის საქმიანობაზე კი მართლაც ბევრი რამ გამიგია მისი კოლეგების ნაამბობიდან, რესპუბლიკის პერიოდული პრესიდან...

— რა ვქნა, ასეთია ჩემი სამსახურის სპეციფიკა: კაბინეტში ან შინ არავინ მომაკითხავს: დანაშაული ჩავიდინე და დამაკავეთო, — ხუმრობს თეიმურაზი. შემდეგ კი ჩაფიქრდა და უკვე სრულიად სერიოზულად დასძინა: — ჰოდა, მეც დღენიადაგ დავეძებ ბოროტმოქმედ ადამიანებს, რათა დროზე ჩამოვაცილოთ ისინი საზოგადოებას ან, ბედნიერ შემთხვევაში, სწორ გზაზე დავაყენოთ...

თეიმურაზი თბილისური აქცენტით საუბრობს. „ნაღდი თბილისელია", გავიფიქრე ჩემუნებურად და მართლაც, ვერაზე დაბადებულ იქვე გაზრდილა და ახლაც იქ ცხოვრობს.

ჩემს ტრადიციულ კითხვაზე თუ რატომ დაიწყო მილიციაში სამსახური, ერთი წამითაც კი არ შეყოვნებულა, ჩემი თბილისის სიყვარულითო, მიპასუხა მან და აქვს კიდეც ამის თქმის უფლება, რადგან მისი მდიდარი შრომითი ბიოგრაფია დაკავშირებულია მშობლიურ დედაქალაქში მართლწესრიგის განმტკიცების საპატიო საქმესთან.

— სიტყვამ მოიტანა და ამ უკანასკნელ ხანს სერიოზულად დაისვა საკითხი თბილისის შინაგან საქმეთა ორგანოების უმეტესად თბილისელებით დაკომპლექტების თაობაზე. ამის შესახებ სატელევიზიო ინტერვიუში ილაპარაკა პატივცემულმა მინისტრმა შოთა გორგოძემ, ამას წინათ კი გაზეთ „თბილისისათვის" მიცემულ ინტერვიუში თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა ნუგზარ ქავთარაძემ განაცხადა, რომ ამ მიმართებით უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები. თქვენ რას იტყოდით ამ ღონისძიებაზე?

— ჩემი აზრით, ეს პროცესი უფრო ადრეც უნდა დაწყებულიყო. მიმაჩნია, რომ ისეთ უზარმაზარ და თანამედროვე ქალაქს, როგორიც თბილისია, პერიფერიებიდან ჩამოსულები იოლად როდი უღებენ ალღოს... თბილისელი კაცი კი აქ ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი — წყალში.

...ქალაქის ერთ-ერთ კაფესთან მანქანა იდგა. შიგ საეჭვო პირები ისხდნენ. თეიმურაზს არ გამოპარვია, რომ მათ შორის იყო ერთი საშიში რეციდივისტი, რომელიც ადმინისტრაციული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ჩეკისტის დანახვისთანავე მანქანა ადგილიდან მოსწყვიტეს და მთელი სიჩქარით გაქანდნენ. თეიმურაზიც კვალში ჩაუდგა. უცებ მანქანა გაჩერდა, რეციდივისტი გადმოხტა, სადარბაზოში შევარდა და მიმალვა სცადა. აღარც თეიმურაზს დაუყოვნებია და თან მიჰყვა. ხაფანგში მოქცეულმა დამნაშავემ პისტოლეტი დააძრო, დაუმიზნა მდევარს და სასხლეტსაც გამოჰკრა თითი, მაგრამ, საბედნიეროდ, უმტყუნა... დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, უკვე „ტექნიკის" საქმე იყო. საშიშ რეციდივისტს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

შინაგან საქმეთა ორგანოებში თითქმის ორი ათეული წლის მუშაობის მანძილზე თეიმურაზ მღებრიშვილს ზემოთ მოთხრობილი ამბის მსგავსი შემთხვევები მრავლად ჰქონია და ვინ იცის, რამდენჯერ მდგარა იგი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე, მაგრამ ყოველთვის პირნათლად აღუსრულებია თავისი პროფესიული მოვალეობა.

— რას ფიქრობთ, როცა კბილებამდე შეიარაღებული რეციდივისტის წინ აღმოჩნდებით ხოლმე — ვკითხე და ენაზე ვიკბინე, რადგან წამსვე მივხვდი ამ კითხვის უადგილობას.

— ეჰ, ფიქრის დრო სად არის, როცა ხელთ მხოლოდ წამები გაქვს, ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯი და გათავდა... ზოგჯერ, უბრალოდ, ბედიც მწყალობს ხოლმე — გამომიყვანა მდგომარეობიდან თეიმურაზმა.

— ხელი თუ მოგცარვიათ რეციდივისტებთან ორთაბრძოლაში...

— ხანდახან ასეც ხდება, რას იზამ, არც ეგ ხორცმეტები სხედან გულხელდაკრეფილი, სულ უფრო ხვეწავენ თავიანთი ბნელი საქმიანობის მეთოდებს... მაგალითად, ამას წინათ, მანქანით დავედევნე საეჭვო პირებს, დიდხანს მაწვალეს, არ მნებდებოდნენ, ბოლოს ერთ ვიწრო ქუჩაზე გასწრება ვცადე, ვიფიქრე, მანქანით წინ გადავეღობები და სადღა გამექცევიან-მეთქი, მაგრამ სწორედ გასწრების მომენტში დამეჯახნენ და გადამაბრუნეს, ბეწვზე გადავრჩი. მართალია, აქ გამექცნენ, მაგრამ მერე მაინც ყველა გავაბით მახეში... — კმაყოფილებით დასძინა თეიმურაზმა.

ვუსმენ ამ კაცს და ახლა უკვე ცხადად ვგრძნობ მის დაუოკებელ ენერგიას, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და თავდადებას, ფიზიკურ სიმხნევესა და მაღალ პროფესიულ ოსტატობას.

— თუ არ ვცდები, 42 წლის ბრძანდებით, წლები თავისას მოითხოვენ და... ხშირად ხომ ხელჩართული ბრძოლაც გიხდებათ? — შევეპარე სიტყვა.

— არა, ჯერ კიდევ მომდევს ახალგაზრდული ძალა, ადრე სამბოს ვჭიდაობდი, სამხედროში საპრიზო ადგილებზეც გავდიოდი, — ისეთი მგზნებარებით მიპასუხა, რომ მივხვდი, ჯერ კიდევ კარგა ხანს არ აპირებს დამნაშავეებთან ბრძოლის ასპარეზის დატოვებას.

სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის საუკეთესო მუშაკს ოჯახიც სანიმუშო აქვს — ქალ-ვაჟს ზრდის ქვეყნის საკეთილდღეოდ. ეამაყება, რომ მისი 15 წლის ვაჟი პერსპექტიული მოკრივეა — წელს იუნიორთა საკავშირო შეჯიბრებაზე პირველი ადგილი დაისაკუთრა.

საკავშირო და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრების მადლობები, „წარჩინებული მილიციელის“ წოდება, ხალხისა და თანამოსაქმეთა პატივისცემა და სიყვარული — ყოველივე ეს მოპოვებულია წლების მანძილზე ვაჟკაცური და თავდადებული შრომით.

აი, ასეთი ხელხვავიანი შეხვდა თეიმურაზ მღებრიშვილი საბჭოთა მილიციის მორიგ დღესასწაულს... მაგრამ მას უკვე გაკეთებულით თვითდამშვიდება არ სჩვევია და მოწოდებულია, რომ კვლავაც უკომპრომისო იქნება თითოეული დამნაშავის მიმართ, რათა მისი საყვარელი ქალაქის მშრომელები ყოველთვის მშვიდად გრძნობდნენ თავს.

ბელა ბერძენიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985
წლის 30 აგვისტოს № 572 დადგენილებით

საცხოვრებელი სადგომების გაცვლის წესები

1. ეს წესები განსაზღვრავენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში, აგრეთვე პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაცვლის წესს.

2. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს უფლება აქვს მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრთა, მათ შორის დროებით სხვაგან მყოფ წევრთა (საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 69-ე და 71-ე მუხლები) წერილობითი თანხმობით გაუცვალოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომი სხვა დამქირავებელს ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს, მათ შორის სხვა დასახლებულ პუნქტში მცხოვრებთაც.

დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვან წევრს უფლება აქვს დამქირავებლის და ოჯახის დანარჩენ წევრთა (მათ შორის დროებით სხვაგან მყოფ წევრთა) წერილობითი თანხმობით გაუცვალოს მისი წილი საცხოვრებელი ფართობი სხვა პირს იმ პირობით, თუ გაცვლის წესით ამ სადგომში იგი ჩასახლდება როგორც დამქირავებლის ოჯახის წევრი (მეუღლე, პირდაპირი აღმავალი ან დაღმავალი ხაზით ნათესავი, და, ძმა).

თუ ოჯახის წევრები ვერ შეთანხმდნენ გაცვლის შესახებ, ნებისმიერ მათგანს უფლება აქვს სასამართლო წესით მოითხოვოს დაკავებული სადგომის იძულებითი გაცვლა სადგომებზე სხვადასხვა სახლებში (ბინებში). ამასთან გაითვალისწინება გასაცვლელ სადგომში მცხოვრებ პირთა ყურადსაღები მოსაზრებანი და ინტერესები:

3. საცხოვრებელი სადგომების გაცვლას (მიუხედავად მათი კუთვნილებისა) აფორმებს საცხოვრებელი სადგომების გაცვლის ბიურო, ხოლო მისი არარსებობისას — სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი მას შემდეგ, რაც განცხადებას გაცვლის შესახებ წინასწარ განიხილავს სახალხო დეპუტატთა რაიონული, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომთან არსებული საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისია.

გაცვლაზე თანხმობის უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილება ძალაშია 6 თვის განმავლობაში.

4. სამეურვეო პირთა მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომების გასაცვლელად საჭიროა შესაბამისი სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს წერილობითი თანხმობა.

5. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს უფლება აქვს მასთან ერთად მცხოვრებ ისი ოჯახის წევრთა წერილობითი თანხმობით გაცვალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული, ქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომის ნებადართვით მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი სხვა საცხოვრებელ სადგომზე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში, აგრეთვე სხვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში, რომლებიც მდებარეობენ როგორც იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც იგი ცხოვრობს, ისევე სხვა დასახლებულ პუნქტებში, იმ პირობით, თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში ჩასასახლებელი პირი მიღებულ იქნება კოოპერატივის წევრად საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების მოთხოვნების დაცვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოოპერატივის სახლში ჩასასახლებელი პირის კოოპერატივის წევრად მიღებაზე საერთო კრების უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

კოოპერატივის წევრს უფლება აქვს ნება დართოს თავისი ოჯახის წევრს გაუცვალოს მისი წილი საცხოვრებელი ფართობი სხვა პირს (დამქირავებელს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში, ანდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს) იმ პირობით, თუ გაცვლის წესით მოქალაქე ჩასახლდება როგორც კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრი (მეუღლე, პირდაპირი აღმავალი ან დაღმავალი ხაზით ნათესავი, და, ძმა).

კოოპერატივის წევრად შემსვლელი პირის მიერ შესატანი პაის ოდენობა კოოპერატივიდან გამსვლელი პირისათვის მისაცემ თანხას უნდა უდრიდეს.

თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში საცხოვრებელ ფართობს ერთი და იგივე კოოპერატივის წევრები ცვლიან, საპაიო დანაზოგის თანაბარი თანხები ურთიერთგადაეცემათ.

საპაიო დანაზოგის სხვაობა უნდა შეიტანოს შესაბამის კოოპერატივში ახლად შემსვლელ ხოლო გამსვლელმა უნდა მიიღოს ამ კოოპერატივისაგან.

კოოპერატივის წევრს, რომელიც გადის კოოპერატივიდან, უბრუნდება პაის ღირებ ლება. კოოპერატივიდან გამსვლელ წევრს პაის ღირებულება უბრუნდება კოოპერატივში ა ლად მიღებული წევრის მიერ პაის შეტანის შემდეგ.

პაი არ უბრუნდება, თუ გაცვლის წესით კოოპერატივიდან გამსვლელ წევრს საცხოვრ ბელი ფართობი კოოპერატივის სახლში მიეცა პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქ კუთვნილი აღებული სახლის ნაცვლად, სადაც კოოპერატივის წევრი ცხოვრობდა როგორ დამქირავებელი.

თუ კოოპერატივის წევრი და მისი ოჯახის წევრები ვერ შეთანხმდნენ გაცვლის შესახ კოოპერატივის წევრს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს, რომელსაც აქვს უფლება საპაიო დ ნაზოგის ნაწილზე, შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს დაკავებული სადგომის იძულ ბითი გაცვლა სადგომებზე სხვადასხვა სახლებში (ბინებში).

6. პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილ სახლში საცხოვრებელი სადგომ დამქირავებელს უფლება აქვს სახლის მესაკუთრის თანხმობით გაცვალოს მის მიერ დაკ ვებული საცხოვრებელი სადგომი ამ სახლში, ანდა პირადი საკუთრების უფლებით მოქალ ქის კუთვნილ სხვა სახლში სხვა დამქირავებლის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომ ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების ურთიერთგად ცემით.

საცხოვრებელი სადგომის გასაცვლელად საჭიროა დამქირავებელთან ერთად მცხოვრ მისი ოჯახის წევრთა, მათ შორის დროებით სხვაგან მყოფ წევრთა (რომელთაც უნარჩუნდ ბათ უფლება საცხოვრებელ ფართობზე) წერილობითი თანხმობა.

მესაკუთრის უარი საცხოვრებელი სადგომების გაცვლის თანხმობაზე დამქირავებელ არ შეუძლია გაასაჩივროს სასამართლო წესით.

დამქირავებლის ოჯახის წევრის უარი საცხოვრებელი სადგომის გაცვლაზე მესაკუთ თანხმობის შემთხვევაში, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

7. გაცვლა დაიშვება ორ, სამ და მეტ დამქირავებელს შორის, რომლებიც ცხოვრობენ რ გორც ერთ სახლში, ისევე სხვადასხვა სახლებში, როგორც ერთ ქალაქში, ისევე სხვად ქალაქებში, მუშათა, საკურორტო, სააგარაკო დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებ

8. გაცვლის საგანი შეიძლება იყოს საცხოვრებელი სადგომი, რომელიც შედგება ბ საგან ანდა ერთი ან რამდენიმე ოთახისაგან, რომლებითაც სარგებლობდა დამქირავებელ ცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებით სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ბინაო ფონდის, ანდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში.

საერთო სარგებლობის ადგილებში ცალკე გასასვლელიანი ოთახის გაცვლა არ შეიძ დანარჩენი ოთახების დამქირავებელთა წერილობითი თანხმობის გარეშე, თუ ასეთი გ ლის შედეგად უარესდება ამ ოთახების დამქირავებელთა ინტერესები (გაცვლა მრავალ ლიან ოჯახთან, რის შედეგადაც თითოეულ სულზე მოდის 9 კვადრატულ მეტრზე ნაკ ან პირებთან, რომლებთანაც ერთად ცხოვრება ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო ბინაში შეუძლებელია).

დამხმარე სათავსოები (სამზარეულო, დერეფანი, საკუჭნაო და სხვა), თუნდაც საც რებლად გადაკეთებული, არ შეიძლება იყოს გაცვლის საგანი.

9. საცხოვრებელი სადგომების გაცვლის უფლება არა აქვთ ქვემოქირავნეებსა და ფ

ებითს მდგმურებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში და დამქირავებლებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში.

10. საცხოვრებელი სადგომების გაცვლა დაიშვება:

ა) საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახლებში — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით;

ბ) საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში — შესაბამისი ორგანიზაციის ორგანოსა და მისი პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით;

გ) კოლმეურნეობების კუთვნილ სახლებში — კოლმეურნეობის გამგეობისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით;

დ) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში — სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ნებართვით, იმ პირობით, თუ არსებობს საერთო კრების ნებართვა საცხოვრებელი სადგომის გამცვლელი პირის კოოპერატივის წევრად მიღების შესახებ;

ე) პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილ სახლებში — სახლის მესაკუთრის წერილობითი თანხმობით.

უარი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახლებში საცხოვრებელი სადგომის გაცვლის გაფორმებაზე, უარი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის გაცვლის თანხმობაზე, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის უარი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში საცხოვრებელი სადგომის გაცვლის ნებართვაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

11. რესპუბლიკის ფარგლებში გაცვლისას, თუ ერთ-ერთი გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომი ქ. თბილისში მდებარეობს, გაცვლას აფორმებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

12. თუ საცხოვრებელი სადგომები ერთი რაიონის ფარგლებში მდებარეობს, გაცვლა ფორმდება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

13. რესპუბლიკის ერთი ქალაქის ფარგლებში გაცვლისას გაცვლა ფორმდება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ან საცხოვრებელი სადგომების გაცვლის ბიუროს (თუ იგი არსებობს) შესაბამისი გადაწყვეტილებით.

14. თუ ერთ-ერთი გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომი საკურორტო ადგილზე მდებარეობს, გაცვლა ფორმდება საკურორტო ადგილის სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, გარდა ქ. თბილისთან გაცვლისა.

15. თუ საცხოვრებელი სადგომები რესპუბლიკის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში მდებარეობს, გაცვლას აფორმებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს ერთ-ერთი აღმასკომი გაცვლაში მონაწილე მხარეთა არჩევით.

16. თუ გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომები ქ. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში მდებარეობს, გაცვლას აფორმებენ აღნიშნული ქალაქების შესაბამისი ორგანოები.

17. საცხოვრებელი სადგომების გაცვლის მომსახურებას ანაზღაურებენ მხარეები გასაცვლელი სადგომების ადგილსამყოფელზე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ დაწესებული ტარიფების (ფასების) მიხედვით.

18. გაცვლის ნებართვის მისაღებად საცხოვრებელი სადგომის გაცვლაში მონაწილე მოქალაქეებს შეაქვთ ამის შესახებ განცხადება (დანართი № 1) სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში. განცხადებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

ა) ამ წესების მე-10 პუნქტის „ა"-„დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი ნებართვა გაცვლაზე;

ბ) საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება (საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლებში — საცხოვრებელი სადგომის ორდერი);

გ) ამონაწერი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილებიდან კოოპერატივის წევრისათვის საცხოვრებელი სადგომის გაცვლის ნებართვის შესახებ და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საცხოვრებელ სადგომში ჩასასახლებელი პირის კოოპერატივის წევრად მიღების თანხმობიდან;

დ) გეგმა ბინისა, რომელშიც მდებარეობს გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომი, დამოწმებული საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის მიერ, ხოლო მისი არარსებობისას — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის თავმჯდომარის მიერ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის ცნობა, ხოლო მისი არარსებობისას — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ცნობა გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომის მდგომარეობისა და ოჯახის შემადგენლობის შესახებ დროებით სხვაგან მყოფთა გათვალისწინებით.

საჭიროების კვალობაზე განცხადებას თან დაერთვის სხვა დოკუმენტებიც. საჭიროების შემთხვევაში გამცვლელ მხარეთა საბინაო პირობებს ამოწმებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის საცხოვრებელი სადგომების გაცვლის ბიუროები ან ის საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, რომელთა სახლებშიც მდებარეობს გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომები.

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილ და ერთი დასახლებული პუნქტის ფარგლებში მდებარე სახლებში საცხოვრებელი სადგომების დამქირავებელთა შორის გაცვლა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში არ ფორმდება და საცხოვრებელი სადგომის გაცვლის ორდერი ამ შემთხვევებში არ გაიცემა, ხოლო სხვა ქალაქში გაცვლისას საჭიროა სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თანხმობა.

19. საცხოვრებელი სადგომების გაცვლა არ დაიშვება:

ა) თუ დამქირავებლის მიმართ აღძრულია სარჩელი საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ან შეცვლის, ანდა ორდერის ბათილად ცნობის შესახებ;

ბ) თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის მიმართ აღიძრა კოოპერატივიდან გარიცხვის საკითხი;

გ) თუ გაცვლა ანგარებითი ან ფიქციური ხასიათისაა;

დ) თუ გაცვლასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მხარის საბინაო პირობები არსებითად გაუარესდება, რის შედეგადაც იგი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელი გახდება;

ე) თუ ერთ-ერთი გასაცვლელი სადგომი მდებარეობს იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სახლში, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეტანილია სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სიაში, რომელთა სახლებიდან შეიძლება სასამართლო წესით მუშა-მოსამსახურეთა (მათთან ერთად მცხოვრები პირებითურთ) გამოსახლება, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან არასაპატიო მიზეზით საკუთარი სურვილის საფუძველზე ან შრომის დისციპლინის დარღვევის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით. მოქალაქეებს, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა სხვა საფუძვლების გამო, აგრეთვე მიიღეს სადგომი შრომით ურთიერთობასთან დაუკავშირებლად, უფლება აქვთ მოახდინონ გაცვლა საერთო საფუძველზე;

ვ) თუ სახლს (საცხოვრებელ სადგომს) ემუქრება ჩამოქცევის საფრთხე, ანდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით სახლი მიჩნეულია ავარიულად, ასაღებია ან გადასაკეთებელი სხვა მიზნით გამოსაყენებლად, ან კაპიტალურად არის შესაკეთებელი საცხოვრებელი სადგომების გადაკეთებითა და გადაგეგმარებით, ანდა გადაიცემა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის;

ზ) თუ საცხოვრებელი სადგომი სამსახურებრივია ან საერთო საცხოვრებელში მდებარეობს;

თ) თუ საცხოვრებელი სადგომი გამოუსადეგარია საცხოვრებლად (სარდაფი, ნახევარსარდაფი და სხვ.);

ი) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საბინაო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომების უთანაბრობის (სხვადასხვა საცხოვრებელი ფართობის არსებობა და ა. შ.) ერთი ფაქტი, თუ ჩადენილი არაა სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, არ შეიძლება ჩაითვალოს გაცვლის ანგარებითად ან ფიქციურად ცნობის და მისი აკრძალვის საფუძვლად.

20. გაცვლა ფიქციურად ითვლება, თუ გაცვლის სახით ერთ-ერთი მხარე თმობს საცხოვრებელ სადგომს ისე, რომ რეალურად არ სარგებლობს გაცვლის შედეგად მიღებული სადგომით.

გაცვლა ანგარებითად ითვლება, თუ გაცვლაში მონაწილე თუნდაც ერთი მხარე იღებს გასამრჯელოს საცხოვრებელი სადგომის დათმობისათვის.

21. თუ გაცვლა მოხდა ამ წესების მე-19 პუნქტით გათვალისწინებულ პირობებში, იგი ბათილად მიიჩნევა.

22. გაცვლა შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი აგრეთვე იმ საფუძვლებით, რომლებიც დადგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით გარიგების ბათილად ცნობისათვის.

გაცვლის ბათილად ცნობა ხდება სასამართლო წესით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე სხვა დაინტერესებული პირების სარჩელით.

გაცვლის ორდერი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი სასამართლო წესით, თუ გასაცვლელ სადგომში გაცვლის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში გამოვლინდება არსებითი დეფექტები, რომელთა დადგენა შეუძლებელი იყო სადგომის ჩვეულებრივი წესით დათვალიერებისას.

23. საცხოვრებელი სადგომების გაცვლის ბათილად ცნობის შემთხვევაში მხარეები უნდა გადასახლდნენ წინათ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომებში;

იმ შემთხვევაში, როდესაც გაცვლა ბათილად არის ცნობილი ერთ-ერთი მხარის არამართლზომიერი მოქმედების გამო, ბრალეული მოვალეა აუნაზღაუროს მეორე მხარეს გაცვლის შედეგად მიყენებული ზარალი (ნივთების გადაზიდვის, სადგომების რემონტის ღირებულება და ა.შ.).

გაცვლის დროს ერთი მხარის მიერ უსაფუძვლოდ მიღებული თანხა, ქონება ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავალში.

24. საცხოვრებელი სადგომები გაცვლილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც გაცვლის ბიურო სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე გამცვლელ მხარეებს მისცემს გაცვლის ორდერებს, ხოლო დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ არის საცხოვრებელი სადგომების გაცვლის ბიუროები, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები (დანართი № 2) გაცვლის ორდერში ჩაიწერება ყველა პირი, რომელთაც აქვთ საცხოვრებელი სადგომით მუდმივი სარგებლობის უფლება, და გაიცემა მას შემდეგ, რაც გაცვლაში მონაწილე მხარეები წარადგენენ შესაბამის ცნობებს მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომებში წინათ მცხოვრები და ჩაწერილი ყველა პირის ამოწერის შესახებ, ამასთან გაცვლის ბიურო გამცვლელ მხარეებს აძლევს ცნობას მათ მიერ წინათ დაკავებული საცხოვრებელი სადგომებიდან ამოსაწერად გაცვლის თარბაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

25. ორდერები ერთდროულად უნდა მიიღონ გამცვლელმა მხარეებმა გაცვლის თარბაზე გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან 15 დღის ვადაში, ხოლო სხვა ქალაქებში გაცვლისას — ერთი თვის ვადაში.

თუ გამცვლელ მხარეებს არასაპატიო მიზეზით არ მიუღიათ ზემოაღნიშნულ ვადაში ორდერები, გაცვლის ნებართვა ძალას კარგავს.

26. გაცვლაში მონაწილე მხარეები მოვალენი არიან ფაქტიურად გადასახლებამდე ჩააბარონ შესაბამის საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს, ხოლო მათი არარსებობისას — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, კოლმეურნეობის გამგეობას ხელწერით სათანადო ორდერები, რომლებიც ერთადერთი საფუძველია გაცვლის შედეგად მიღებულ საცხოვრებელ სადგომებში ჩასასახლებლად და საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების დასადებად.

27. ორდერების მიღებამდე ჩასახლებული მოქალაქენი ჩაითვლებიან ისეთ პირებად, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი სადგომი, და საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 110-ე მუხლის შესაბამისად გამოსახლებულ უნდა იქნენ მათ მიერ დაკავებული სადგომებიდან ადმინისტრაციული წესით.

28. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ქვემოქირავნენი და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლებში დამქირავებლები, რომლებიც გასაცვლელ სადგომებში ცხოვრობენ, შეიძლება გამოსახლებულ იქნენ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 90-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

29. თუ გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომი განლაგებულია სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სახლში, მაშინ გაცვლა ხდება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის საბინაო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელი სადგომების გაცვლის სასამართლო პრაქტიკა

ლამარა ჩოგოლაშვილი,
ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

საცხოვრებელი სადგომების გაცვლის ურთიერთობები მოწესრიგებულია საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებით, საქართველოს სსრ საბინაო კოდექსით და საქართველოს სსრ საცხოვრებელი სადგომების გაცვლის წესებით, რომელიც 1985 წლის 30 აგვისტოს დაამტკიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ. ამის შემდეგ არსებითი ცვლილებები შევიდა საცხოვრებელი სადგომების გაცვლის წესებში, ახლებურად ჩამოყალიბდა იგი და საბოლოოდ დასრულებული სახე მიიღო. თუმცა, გაცვლის ყველა სირთულისა და ცხოვრებაში წამოჭრილი შემთხვევების გათვალისწინება, მათი რეგლამენტაცია, თითქმის შეუძლებელია. როგორც საქმეთა განხილვის პრაქტიკა გვიჩვენებს, კანონის ნორმაც ყოველთვის არ არის სწორად გაგებული და სასამართლოები ამიტომ უშვებენ შეცდომებს მისი გამოყენების დროს.

პრაქტიკაში გამოხატულება ვერ ჰპოვა იმ სიახლემ, რომლის თანახმადაც საცხოვრებელი სადგომის გაცვლისას დამქირავებლის ოჯახის ყველა წევრის თანხმობაა საჭირო, ნაცვლად სრულწლოვანი წევრებისა, რასაც ითვალისწინებდა ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 319-ე მუხლი. ამ ერთმანეთისაგან განსხვავებული მოთხოვნის დროს საჭიროა სხვადასხვა მოქმედების ჩატარება ოჯახის წევრის თანხმობის გამოსახატავად. თუ აქამდე, ყველა არასრულწლოვანის მაგიერ გარიგებას სდებდა მშობელი, მშვილებელი, მეურვე ან მზრუნველი, ახლა გამოყენებული უნდა იყოს არასრულწლოვანის ქმედუნარიანობის შესახებ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-13 და მე-14 მუხლებით დადგენილი დიფერენციაცია. თხუთმეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანის მაგიერ გარიგებას სდებს მისი მშობელი, მშვილებელი ან მეურვე და მაშასადამე, მისი თანხმობა საჭირო არ არის, ხოლო თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანი თვითონ მონაწილეობს გარიგების დადებაში, მხოლოდ მშობლის, მშვილებლის ან მზრუნველის თანხმობით. მაშასადამე, იმისათვის, რომ დაიდოს საცხოვრებელი სადგომის გაცვლის ხელშეკრულება, ოჯახის სრულწლოვანი წევრების გარდ საჭიროა აგრეთვე თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანის წერილობითი თანხმობა, მისი მეურვის, მშვილებლის ან მზრუნველის თანხმობასთან ერთად. ვფიქრობთ, რომ ეს აუცილებელი მოთხოვნა უნდა გატარდეს პრაქტიკაში, თორემ იგი შეიძლება მომავალში გაცვლის შედავების საფუძველი გახდეს.

როცა ვლაპარაკობთ ოჯახის წევრების წერილობით თანხმობაზე, უნდა გავითვალისწინოთ „სასამართლოების მიერ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენების პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1982 წლის 9 დეკემბრის დადგენილების მე-14 პუნქტის მითითება. თუ ოჯახის რომელიმე წევრის წერილობითი დანხმობა არ არსებობს და ამ მოტივით გაცვლის ბათილად ცნობაზე სარჩელის განხილვის დროს დაინტერესებული მხარე ამტკიცებს თითქოს ოჯახის ამ წევრს თავისი მოქმედებით ჰქონდა გამოთქმული გასაცვლელ სადგომში გადასვლის თანხმობა, დასახელებული დადგენილების თანახმად სარჩელი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება, თუ ამ გარემოებას სასამართლო უდავოდ დადასტურებულად მიიჩნევს. საბინაო საკითხებზე ადრე მოქმედი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება არ ითვალისწინებდა ამ წესს საცხოვრებელი სადგომების გაცვლის დროს. თუ დადებითად გადაწყდება იგი, ცხადია, გაადვილდება ბრძოლა ისეთ შემთხვევებთან, როდესაც მოქალაქე მართალია გამოხატავს გაცვლის თანხმობას, მაგრამ შემდეგ უარს ამბობს მასზე.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ოჯახის წევრის თანხმობა გაცვლაზე შეიძლება გამოიხატოს: ამოსაწერად პასპორტის წარდგენაში, გასაცვლელ ბინაში ფაქტიურად საცხოვრებლად გადასვლაში, ჩაწერაში და სხვ.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 77-ე მუხლმა დაუშვა ე. წ. წილობრივი გაცვლა, რასაც ადრე მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობდა. „დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვან წევრს უფლება აქვს დამქირავებლის და ოჯახის სხვა წევრების (მათ შორის დროებით სხვაგან მყოფ წევრთა) წერილობითი თანხმობით მისი წილი საცხოვრებელი ფართობი გაუცვალოს სხვა პირს იმ პირობით, თუ გაცვლის წესით ამ სადგომში იგი ჩასახლდება როგორც დამქირავებლის ოჯახის წევრი (მეუღლე, აღმავალი ან დაღმავალი ხაზით ნათესავი, და, ძმა)". რსფსრ საბინაო კოდექსისაგან განსხვავებით, რომელიც საკმარისად მიიჩნევს გადმომსვლელი პირის ოჯახის წევრად შემოსახლებას, ჩვენი რესპუბლიკის კოდექსი ზღუდავს ასეთ გაცვლას. ნათესაობის მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი პირები შეიძლება შესახლდნენ წილობრივი გაცვლის წესით და აღნიშნული მუხლის გავრცობითი განმარტება არ დაიშვება. პრაქტიკაში ხშირად აყენებენ ამ წესით დეიდასთან, ძმისშვილთან, დისშვილთან ე. ი. გვერდითი და არაპირდაპირი შტოს ნათესავებთან შესახლებას, რაც ცხადია, დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

მართალია კანონმა დაუშვა წილობრივი გაცვლა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლომ არ უნდა შეამოწმოს მხარეების მიერ წამოყენებული არგუმენტები გაცვლის აუცილებლობის შესახებ, არ გაითვალისწინოს ის შეზღუდვები, რაც კანონის სხვა ნორმით არის დაწესებული. გაცვლა ფიქტიურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს, გაცვლის შედეგად არ უნდა გაუარესდეს მხარეთა საბინაო პირობები, გაცვლის შედეგად პირი არ შეიძლება იყოს ცნობილი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქედ და რაც მთავარია, ამის შედეგად არ უნდა შეილახოს საერთო სათავსოებით მოსარგებლე მეზობლების უფლებები და სხვ.

პრაქტიკაში სადაოა საკითხი იმის შესახებ, რომ წილობრივი გაცვლის შედეგად შემოსული პირი დამქირავებელთან უნდა იყოს კოდექსში ჩამოთვლილ ნათესაურ კავშირში თუ, საკმარისია ეს ნათესაობა მისი ოჯახის რომელიმე წევრთან (ვთქვათ, დამქირავებლის მეუღლის მშობლები, და, ძმა და სხვა.). მუხლის დისპოზიცია გარკვეულად მიუთითებს დამქირავებელზე, მაგრამ პრაქტიკა მტკიცედ იცავს იმ აზრს, რომ კანონის დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს თუ შემოსული პირი კოდექსში ჩამოთვლილ ნათესაურ ურთიერთობაშია დამქირავებლის ოჯახის რომელიმე წევრთან და დამქირავებელიც ოჯახის სხვა წევრებთან ერთად თანახმაა გაცვლაზე.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების 32-ე პუნქტმა წილობრივი გაცვლა დაუშვა აგრეთვე კოოპერატიული სახლებისთვისაც. მაგრამ აქ, რამდენადმე სხვაგვარად არის გადაწყვეტილი ეს საკითხი. სახელდობრ, კოოპერატივის წევრი უფლებამოსილია ნება დართოს თავისი ოჯახის წევრს გაუცვალოს მისი წილხვედრი ფართობი სხვა პირს, თუ ეს პირი ჩასახლდება როგორც კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრი (მეუღლე, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ხაზით ნათესავი, და, ძმა). როგორც ვხედავთ, აქ განსხვავებით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის საცხოვრებელი სახლებისა, არ მოითხოვება კოოპერატივის წევრის ოჯახის სხვა წევრების (მათ შორის დროებით სხვაგან მყოფ წევრთა) წერილობითი თანხმობა. ეს არსებითი ხასიათის გარემოებაა, რამაც პრაქტიკაში არ შეიძლება გაუგებრობა არ გამოიწვიოს.

საბინაო კოდექსის 129-ე მუხლი მოითხოვს ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ნებართვას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში გაცვლის დროს. არც კანონში და არც გაცვლის წესებში მითითებული არ არის, თუ როგორ შეიძლება გამოიხატოს ეს ნებართვა. პრაქტიკულად აღმასკომები ნებართვას აფორმებენ ერთპიროვნულად, (გაცვლის შესახებ განცხადების მეორე მხარეზე აღმასკომის წარმომადგენლის ხელმოწერა დამოწმებულია ბეჭდით) ხოლო უარის თქმის დროს აღმასკომს გამოაქვს გადაწყვეტილება. ვფიქრობთ, თუ გაცვლაზე უარი აღმასკომის სხდომაზე განიხილება, მით უფრო უნდა განიხილებოდეს გაცვლაზე ნებართვის საკითხი, რადგან ფაქტიურად სწორედ ამ დროს წყდება გაცვლის ბედი.

საგულისხმოა, რომ არც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებმა და არც შემდგომ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსმა არ მოიხსენიეს ინდივიდუალური ფონდის სახლებში გაცვლის დროს მესაკუთრის თანხმობის საკითხი. როგორც ვიცით, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 319-ე მუხლი არა თუ მესაკუთრის თანხმობას მიიჩნევდა აუცილებლად, არამედ ეს უარი სასამართლო წესითაც არ გასაჩივრდებოდა. საცხოვრებელი სადგომების გაცვლის ახალი წესების მე-10 პუნქტმა, მართალია გაითვალისწინა მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში გაცვლის დროს სახლის მესაკუთრის წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილობითი თანხმობის აუცილებლობა. მაგრამ საკითხი, შეიძლება თუ არა ამ თანხმობაზე უარის თქმა სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს, ნორმატიული აქტის გადაწყვეტის გარეშე დარჩა.

მართალია, მესაკუთრის თანხმობის გარეშე გაცვლის ნებართვის მიცემა არსებითად შეზღუდავდა სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებულ პირადი საკუთრების უფლებას, მაგრამ ისიც სავარაუდოა, რომ თუ კანონმა არ გაითვალისწინა (უფრო სწორად ამოიღო) გაცვლის თანხმობაზე უარის თქმის სასამართლო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა, ალბათ სასამართლო ვალდებულია მიიღოს ასეთი საქმე წარმოებაში, რადგან ამჟამად არ არსებობს ამისი ამკრძალავი ნორმა. ისიც უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც ახალი საბინაო კანონმდებლობით აიკრძალა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ბინების გაცვლა პირადი საკუთრების სახლში მცხოვრებ დამქირავებლებთან, მკვეთრად შემცირდა ამ სახლებში ბინების გაცვლის შემთხვევები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1985 წლის 30 აგვისტოს დამტკიცებულმა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებამ (32-ე პუნქტი) შემოიღო სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებული სიახლე, რომლის თანახმად, კოოპერატივის საერთო კრების უარი, მიიღოს კოოპერატივის წევრად გამცვლელი პირი, ექვემდებარება სასამართლო წესით გასაჩივრებას. ამით თავიდან იქნება აცილებული შემთხვევა, როდესაც კოოპერატივი ხანდაზმულ პირს არ აძლევდა გაცვლის ნებას იმ მოტივით, რომ თვითონ გამოიყენებდა ბინას თავისი წევრების გასაფართოებლად. ამით კი ილახებოდა მოქალაქეზე მინიჭებული საცხოვრებელი სადგომის გაცვლის უფლება.

სასამართლო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება აგრეთვე ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის უარი, რომელიც არ ამტკიცებს საერთო კრების დადგენილებას, გამცვლელი პირის კოოპერატივის წევრად მიღების შესახებ.

საკანონმდებლო წესით პირველად იქნა შემოღებული საცხოვრებელი სადგომის იძულებითი გაცვლის ინსტიტუტი, რომელსაც მანამდე სასამართლო პრაქტიკა აწესრიგებდა და ხშირად იწვევდა გაუგებრობას, არაერთგვაროვნებას საქმეთა განხილვის დროს. საბინაო კოდექსის 78-ე მუხლით, თუ ოჯახის წევრები ვერ შეთანხმდნენ გაცვლაზე, ამ პირთაგან ნებისმიერს უფლება აქვს სასამართლო წესით მოითხოვოს დაკავებული სადგომის იძულებითი გაცვლა სადგომებზე სხვადასხვა სახლებში (ბინებში). ამასთან გაითვალისწინება გასაცვლელ სადგომში მცხოვრებ პირთა ყურადსაღები მოსაზრებანი და ინტერესები.

იძულებითი გაცვლა სამოქალაქო საქმეთა ურთთულესი უბანია, იგი უმწვავესი კონფლიქტებით მიმდინარეობს და საქმეთა რაოდენობაც ძალიან ბევრია. მდგომარეობას უფრო ის ართულებს, რომ სასამართლოებს უჭირთ ოჯახის წევრთა შეუთანხმებლობის გამო საცხოვრებელი სადგომის გაცვლის გამიჯვნა საფუძვლების 38-ე მუხლის მეორე ნაწილით და საბინაო კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული იძულებითი გაცვლისაგან სოციალისტური თანაცხოვრების წესების დარღვევის მოტივით. იძულებითი გაცვლა ორივე შემთხვევას მოიცავს და დავის გადაწყვეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კანონმდებლის აზრის სწორად გაგებას.

პირველ შემთხვევაში საჭირო არ არის მეორე მხარის ბრალეული მოქმედების მოტივი: მათი ერთად ცხოვრების შეუძლებლობის მტკიცება. აქ ერთად ცხოვრება შეუძლებელი ხდება რაიმე ობიექტური მიზეზების გამო, რაც არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს მოპასუხეს. სამწუხაროდ, სულით ავადმყოფობა, ყოფილი მეუღლეების ერთად ცხოვრების შეუძლებლობა ახალგაზრდა ოჯახის სურვილი — იცხოვროს ცალკე და სხვა მრავალი, როდესაც რაღაც მიზეზი ერთად ცოვრება უხერხული აღმოჩნდება.

მეორე შემთხვევაში დადგენილი უნდა იყოს სხვა სადგომში გადასახლებული პირის ბრალეულობა, ანტისაზოგადოებრივი მოქმედება, რაც შეიძლება გამოიხატოს არა მარტო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის წესების უგულებელყოფაში, არამედ ქცევის ზნეობრივ ნორმების დარღვევაში. ამ შემთხვევაში იძულებით გაცვლას სანქციის ხასიათი აქვს, რაც გამოიყენება სამართალდამრღვევი პირის მიმართ. აქ გათვალისწინებული არ არის პირის პრეტენზიები საცხოვრებელი სადგომის, ადგილმდებარეობის და სხვათა შესახებ. თუ სადგომი მდებარეობს იმავე დასახლებულ პუნქტში, ვარგისია საცხოვრებლად და ჯანმრთელობის მდგომარეობით მოპასუხეს შეუძლია იქ ცხოვრება, დასაშვებია მისი საბინაო პირობების გაუარესებაც კი[1] 78-ე მუხლით იძულებითი გაცვლა კი ეურდნობა ფართობზე ოჯახის ყველა წევრ

[1] Бюллетень Верховного Суда СССР, № 1, 1984 г., стр. 38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანასწორობის პრინციპს და სასამართლო ვალდებულია მხედველობაში მიიღოს იქ მცხოვრებ პირთა ყურადსაღები მოსაზრებანი და ინტერესები.

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვაში, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენების თაობაზე, განმარტებულია, რომ მოქალაქეთა უფლებების შელახვა შეიძლება გამოიხატოს გაცვლის შედეგად არა მარტო მცირე ფართობის ან უხარისხო საცხოვრებელი ფართობის მიცემაში, არამედ სხვა შემთხვევაშიც. მაგალითად, როდესაც ხანდაზმული ადამიანი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ერთ რაიონში ცხოვრობდა, იძულებულია გადავიდეს მისთვის უცხო, ახალ რაიონში, სამუშაო ან სწავლის ადგილიდან დაშორებული საცხოვრებელი სადგომის შეთავაზების დროს და სხვ.[2]

საბინაო კოდექსის 109-ე მუხლით იძულებითი გაცვლის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს არა სოციალისტური თანაცხოვრების წესების ყველანაირი დარღვევა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც შეუძლებელს ხდის ერთ სახლში ან ერთ ბინაში ერთად ცხოვრების შესაძლებლობას. ამასთან, უნდა იყოს აგრეთვე მოპასუხის მიმართ ადრე გაფრთხილებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების გამოყენების ფაქტი, რომელიც უშედეგო აღმოჩნდა. საკითხი დაისვა ასე: საჭიროა მოპასუხის მიმართ გამოყენებული იყოს ორივე ღონისძიება, ერთად — გაფრთხილებაც და საზოგადოებრივი ზემოქმედებაც, თუ საკმარისია ერთ-ერთი ფაქტი? ვფიქრობთ, მილიციის ან სხვა ორგანოს მიერ ჩამორთმეული გაფრთხილების ხელწერილი იმის საკმაო საფუძველი უნდა იყოს, რომ დადგეს ამ მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ანუ როგორც ხდება ეს საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიებების გატარების დროს (ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამხანაგური სასამართლო, სახლის კომიტეტი და სხვ.).

როგორც აღვნიშნეთ, არ შეიძლება იძულებითი გაცვლის გამო გასახლებული იყვნენ ფსიქიურად დაავადებული პირი და მისი ოჯახის წევრები, რადგან ასეთი პირის ავადმყოფობით გამოწვეული ქმედება არ ექვემდებარება ზედამხედველობას. ამ პირის და მასზე მეთვალყურე ოჯახის წევრების ბრალეულობა კი შეიძლება საერთოდ გამოირიცხოს. გარდა ამისა, ასეთ პირთა ერთად ცხოვრების შეუძლებლობის დროს მოსალოდნელია დადგეს სამკურნალო დაწესებულებაში მისი მოთავსების საკითხი, რადგან მას ავადმყოფობის გამო შეუძლია კონფლიქტური სიტუაციები შეექმნას ყველგან, სადაც კი გასახლდება იგი.

სხვა მდგომარეობაა, როდესაც ერთად ცხოვრების ხელშემშლელია არასრულწლოვანი, რომელიც ნორმალური ფსიქიკისაა და სწორი მეთვალყურეობის პირობებში ექვემდებარება იდეც აღზრდას. ასეთ დროს საქმე გვაქვს მშობლების, მშვილებლების ან მასზე ზედამხედველი ოჯახის სხვა წევრების ბრალთან, მით უფრო, თუ ისინი ხელს უწყობენ ასეთი ქმედების ადენას. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმას, ვინც თვლის, რომ ერთად ცხოვრების შეუძლებლობის მოტივით არ შეიძლება იძულებითი გაცვლით გასახლებული იყოს არასრულწლოვანის ოჯახი, თუ ისინი თვითონ არ ქმნიან ერთად ცხოვრების შესაძლებლობას.[3]

საბინაო კოდექსის 78-ე მუხლით იძულებითი გაცვლის აუცილებელი პირობაა, რომ დაავებული სადგომი იცვლებოდეს სადგომებზე სხვადასხვა სახლებში (ბინებში) და მაშასადამე ესაძლებელი არ იყოს დაკავებული ბინის კვლავ შენარჩუნება. პრაქტიკაში დაისვა საკითხი ქვს თუ არა უფლება დამქირავებელს ან ოჯახის წევრს თვითონ დარჩეს დაკავებულ სადომში და მოპასუხე იძულებით გაიყვანოს სხვა საცხოვრებელ სადგომში?

არც აღნიშნული მუხლის დისპოზიცია და არც საბინაო კანონმდებლობის რომელიმე ორმა არ ითვალისწინებს ასეთი გაცვლის შესაძლებლობას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ციალისტური წესების სისტემატური დარღვევის ე. ი. ბრალეული მოქმედების გამო, გასახლების ნაცვლად მოქალაქემ აუცილებლად უნდა გადაცვალოს დაკავებული სადგომი სხვა ცხოვრებელ სადგომზე (საბინაო კოდექსის 109-ე მუხლი) ან მიიღოს საერთო ფართობში ვისი წილის შესაბამისი ფართობის საცხოვრებელი სადგომი.

პრაქტიკაში მწვავედ დგას იძულებითი გაცვლის ისეთი საკითხი, როდესაც ერთიანი ბინისა ასეუოფილია ოჯახის წევრებს შორის და ახლა ერთ-ერთი თხოულობს მთელი საცხოვრებელი სადგომის გაცვლას სადგომებზე სხვადასხვა სახლებში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო მტკიცედ დგას იმ პოზიციაზე, რომ თუ საცხოვრებინის გაუოფის შემდეგ ოჯახის ყოფილ წევრებთან დაიდო ქირავნობის დამოუკიდებე-

---

[2] იქვე.

[3] «Советская Юстиция», № 22, 1984, с. 5—6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ხელშეკრულება, თითოეული მათგანი უფლებამოსილია გაცვალოს თავის სარგებლობაში არსებული სადგომი და არა მთლიანი ბინა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ერთ-ერთი კონკრეტული საქმის განხილვის დროს დასაშვებად ჩათვალა ყოფილი ოჯახის წევრებს შორის ერთდროულად გაყოფისა და იძულებითი გაცვლის სარჩელების განხილვა-დაკმაყოფილება გაყოფაზე უარის თქმის პირობით, ამასთან, ყოფილი რძლის სარჩელი დედამთილისა და ყოფილი მეუღლის იძულებით ჩასახლებაზე მისი მშობლების ოროთახიან ბინაში და მასთან და შვილთან მშობლების ჩასახლებაზე დედამთილის სახელზე რიცხულ სამოთახიან ბინაში, პლენუმმა მხოლოდ ვარიანტის შეუსაბამისობის მოტივით გააუქმა, რადგან აქ ძლიერ ილახებოდა მოპასუხეთა ინტერესები. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ პრაქტიკა შეიცვალა და გასაცვლელი მთელი ბინის დაშლის გარეშე შეიძლება გაიყვანო ოჯახის ყოფილი წევრი სხვა საცხოვრებელ სადგომში ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ინტერესები.[4]

საგულისხმოა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 26 დეკემბრის განმარტება, რომ ოჯახის წევრთა შეუთანხმებლობა იძულებითი გაცვლის დროს და ოჯახის წევრის უარი საერთო სათავსოებიან საცხოვრებელ სადგომში გადასვლის შემოთავაზებისას, არ უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგან ოჯახის დაშლით გამოწვეული გაცვლის დროს გამოყოფილი ოჯახი აღარ სარგებლობს ცალკე ბინით.

დაისვა საკითხი შეიძლება თუ არა იძულებითი გაცვლის წესით მოპასუხეს შევთავაზოთ საცხოვრებელი სადგომი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში. უნდა დავეთანხმოთ ავტორს, რომელიც ასეთ გაცვლას არასწორად მიიჩნევს.[5] მართლაც, ასეთი გაცვლა შეუთავსებელი იქნებოდა კოოპერატივის პრინციპებთან, რომელიც გაწევრიანებას უშვებს მხოლოდ მოქალაქის თანხმობით, ხოლო გაცვლა არ დაიშვება წინასწარ მისი კოოპერატივის წევრად მიღებაზე თანხმობის გარეშე.

საკანონმდებლო წესით პირველად იქნა დადგენილი, რომ თუ გაცვლის შედეგად ისე გაუარესდება ერთ-ერთი მხარის საბინაო პირობები, რომ იგი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელი გახდება, გაცვლა არ დაიშვება. აქ იგულისხმება მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის ნორმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თუ მოქალაქეს უკვე უჭირავს ნაკლები ფართობი და ისედაც ექვემდებარება აღრიცხვაზე აყვანას, უარი ეთქვას მას გაცვლაზე.

სასამართლოები ხშირად უშვებენ შეცდომას საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 77-ე მუხლისა და 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამიჯვნის დროს. პირველ შემთხვევაში საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა სახლებში გაცვლის დროს კანონი აუცილებელ პირობად თვლის მათ თანხმობას გაცვლაზე და ამ წესის გარეშე მოხდენილი გაცვლა ბათილად უნდა იყოს ცნობილი. ამასთან გაცვლის თანხმობაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, ეს საერთო წესია. რაც შეეხება 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის, მის თანახმად, საცხოვრებელი სადგომის გაცვლა არ დაიშვება, თუ ერთ-ერთი გასაცვლელი სადგომთაგანი მოთავსებულია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სახლში, რომელიც შეტანილია სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სიაში, რომელთა სახლებიდან შეიძლება სასამართლო წესით მუშა-მოსამსახურეთა (მათთან ერთად მცხოვრებ პირებითურთ) გამოსახლება, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან არასაპატიო მიზეზით საკუთარი სურვილის საფუძველზე ან შრომის დასციპლინის დარღვევის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით. მაშასადამე, კანონის ეს ნორმა უპირობო ხასიათისაა და კრძალავს გაცვლას მაშინაც თუ ხელმძღვანელმა უწყების ინტერესების საწინააღმდეგოდ მაინც დართო ნება. ასეთ დროს გაცვლა დაუშვებელია და სასამართლომ კერძო განჩინება უნდა გამოიტანოს ადმინისტრაციის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაზე.

საბინაო კოდექსის მე-80-ე მუხლის თანახმად, შეთანხმება საცხოვრებელი სადგომების გაცვლის შესახებ ძალაში შედის ორდერების მიღების მომენტიდან. პრაქტიკაში დაისვა საკითხი: ჩაითვლება თუ არა გაცვლა დადებულად სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მაგრამ ორდერების გაცემამდე?

უნდა დავეთანხმოთ რსფსრ უმაღლეს სასამართლოს პოზიციას, რომელსაც მიაჩნია, რომ კოდექსის მოთხოვნა ორდერების გაცემის მომენტიდან გაცვლის ძალაში შესვლის შესახებ

---

[4] Бюллетень Верховного Суда СССР, № 1, 1986 г., стр. 20.

[5] П. Дятлов. «Обмен жилого помещения по решению суда». «Соцзаконность», № 11, 1979 г., стр. 33.

ებება იმ შემთხვევებს, როდესაც ასეთ გაცვლას მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე ახ-
დენენ აღმასკომები. სასამართლოს გადაწყვეტილებით ნებადართულ გაცვლას ეს არ ეხება,
რადგან ამ დროს გაცვლის საკითხს წყვეტს სასამართლო, ხოლო აღმასკომი მხოლოდ ასრუ-
ლებს სასამართლოს გადაწყვეტილებას. როგორც წესი კი, სასამართლოს გადაწყვეტილება
სავალდებულოა ყველა ორგანოსათვის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.[6]

საბინაო კოდექსის 81-ე მუხლით საცხოვრებელი სადგომების გაცვლა სასამართლო წე-
სით შეიძლება ბათილად იყოს ცნობილი ორ შემთხვევაში: თუ გაცვლა მოხდა ამ კოდექსის
79-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებში ან იმ საფუძვლებით, რომლებიც დადგენილია
საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით გარიგების ბათილად ცნობის დროს.
ამავე კოდექსის 82-ე მუხლი ადგენს გაცვლის ბათილად ცნობის შედეგებს, რის დროსაც
მხარეები უნდა გადასახლდნენ ადრე დაკავებულ სადგომში. ამ მუხლის შინაარსიდან გამომ-
დინარე წინათ დაკავებულ სადგომებში გადასახლების ამ საერთო წესიდან გამონაკლისი არ
არის დადგენილი. ფიქტიური გაცვლის დროს, როდესაც გამოშელავნდება არაკეთილსინ-
დისიერი მხარის განზრახვა, იგივე შედეგი დგება, რაც საბინაო კოდექსის 79-ე მუხლშია ჩა-
მოთვლილი. ეს კი აფერხებს ფიქტიურ გაცვლებთან ბრძოლას.

პრაქტიკაში სადაო გახდა შემდეგი საკითხი. რამოდენიმენაირი გაცვლის დროს, თუ ერ-
თი რგოლი აღმოჩნდა ფიქტიური, როგორ უნდა გადაწყდეს დავა. ასეთ დროს მთლიანი გაცვ-
ლა უნდა იქნეს ბათილად ცნობილი თუ მხოლოდ ის ერთი რგოლი, რომელიც ფიქტიური გა-
მოდგა. ამ საკითხს სასამართლოები სულ სხვადასხვაგვარად წყვეტდნენ. საქართველოს სსრ
სამოქალაქო სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, გარიგების ნაწილის ბათილობა
არ გამოიწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიძლება
ვივარაუდოთ, რომ გარიგება დაიდებოდა მის გარეშეც. საცხოვრებელი სადგომების გაცვლის
ხელშეკრულებაში ორი და მეტი რგოლი მონაწილეობს და ასეთი ვარაუდი არ შეიძლება
არსებობდეს, ვინაიდან თვით გაცვლა ნიშნავს, რომ გარიგების არსი ამ ურთიერთკავშირში
გამოიხატება და მაშასადამე, ნაწილის ბათილობა არ დაიშვება. ამჟამად, როდესაც საბინაო
კოდექსმა ბათილობის შემთხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა დაადგინა ყველა
მონაწილისათვის, პრაქტიკა (როდესაც ბათილად მხოლოდ ფიქტიური რგოლი მიიჩნეოდა
და სხვა მონაწილეები რჩებოდნენ გაცვლით მიღებულ საცხოვრებელ სადგომში) ეწინააღმ-
დეგება კანონს.

იძულებითი გაცვლის დროს სასამართლოები ხშირად მოითხოვენ მხარეთა მიმართვას
ინასწარ გაცვლის ბიუროზე. ეს სწორი არ არის, რადგან გაცვლის ბიურო მხოლოდ ნება-
ოფლობითი გაცვლის საკითხს წყვეტს.

სასამართლოები შეცდომას უშვებენ აგრეთვე ამ დავების განსჯადობის განსაზღვრის
როსაც. მათ შეცდომით მიაჩნიათ, რომ თუ საქმეში მონაწილეობს გაცვლის ბიურო (თუნდაც
სარჩელედ) დავა განხილული უნდა იყოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. სამოქალაქო
მართლის საპროცესო კოდექსის 123-ე მუხლის თანახმად სარჩელი წარედგინება სასამართ-
ოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული პირის ორგანოს სამყოფელი ად-
ლის მიხედვით. რაიმე განსაკუთრებული განსჯადობა ამ დავათა მიმართ კანონით დაწესე-
ული არ არის. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეში რამდენიმე მოპასუხე მონაწილეობს და
მასადამე, საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ამავე კოდექსის 124-ე მუხლით სასა-
თლოს არჩევის უფლება უპირველესად მოსარჩელეს აქვს.

Бюллетень Верховного Суда РСФСР, № 9, 1985 г., стр. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერთა შემოქმედებითი თანამშრომლობის თვალსაჩინო შედეგი

1982 წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ინიციატივითა და თაოსნობით თბილისში გაიმართა საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის მეცნიერ იურისტთა II კოლოკვიუმი, რომელიც სისხლის სამართლის პრობლემებს მიეძღვნა. აქ მხარეთა შეთანხმებით გადაწყდა, რომ ცალკე კრებულად დასტამბულიყო კოლოკვიუმის მასალები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იურიდიული ლიტერატურის წამყვანმა გამომცემლობამ «Nomos»-მა ხორცი შეასხა ამ გადაწყვეტილებას და ბადენ-ბადენში გამოსცა კოლოკვიუმის მასალების სრული კრებული*, რომელიც 450 გვერდს მოიცავს. მასში შესულია საბჭოთა და დასავლეთგერმანელი მეცნიერ-კრიმინალისტების მიერ კოლოკვიუმზე წაკითხული ყველა მოხსენება და ინფორმაცია.

კრებული იხსნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის თამაზ შავგულიძის მოხსენებით „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები". აღსანიშნავია, რომ კოლოკვიუმის მუშაობა ამ მოხსენებით დაიწყო და მან დიდი ინტერესი გამოიწვია. თავდაპირველად მომხსენებელი ეხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფილოსოფიურ ასპექტს. ძირითადი დებულებები გამომდინარეობენ ნების თავისუფლების, თავისუფლებისა და აუცილებლობის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებიდან. ამ საკითხზე მოხსენებაში მოცემულია დასკვნითი ხასიათის დებულება, რომლის თანახმად ნების თავისუფლება იძლევა ბუნების და საზოგადოების კანონების, სოციალური ნორმების არსის, მათი აუცილებლობის შეცნობისა და სწორად გამოყენების შესაძლებლობას, და ამდენად იგი ამართლებს სასჯელის მიზანშეწონილობას. სწორედ ამაში მდგომარეობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფილოსოფიური საფუძველი, მაგრამ ავტორის შენიშვნით, რამდენადაც დანაშაულარის მართლსაწინააღმდეგო ქცევად გარდაქმნილი ფსიქიკური ფენომენი, ამიტომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ დასაბუთდება ქცევის ფსიქოლოგიური ცნებისათვის გვერდის ავლით. საბოლოოდ მომხსენებელი იმ თვალსაზრისამდე მიდის, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტურ საფუძველს — ბრალს გააჩნია თავისი ფსიქოლოგიური შინაარსი, გამოხატული სუბიექტის განსაზღვრულ ინტელექტუალურ და ნებელობით უნარში. სახელდობრ, ეს ფსიქოლოგიური ფენომენები ედება საფუძვლად ნების თავისუფლებას, რაც ადამიანის პასუხისმგებლობის ზოგადფილოსოფიური საფუძველია. ავტორის აზრით, ამ დებულებაში გამოხატულია იმ ურთიერთკავშირის ხასიათი, რომელიც არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ საფუძვლებს შორის.

კრებულში სათანადოდ არის წარმოდგენილი სასჯელის დანიშვნის დროს დამნაშავის პიროვნების გათვალისწინების საკითხი. ამ მიმართებით აღნიშვნის ღირსია სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის, პროფესორ ჰანს-ჰენრიხ იეშეკის (ქ. ფრაიბურგი, გფრ) მოხსენება. ავტორი გვაცნობს თავის შეხედულებებს სასჯელის დანიშვნისსამართლებრივი რეგულირების ფარგლებში დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებაზე. გაანალიზებულია დასავლეთ გერმანიის სასამართლოების მიერ სასჯელის დანიშვნის მარეგლამენტირებელი იურიდიული ნორმების გამოყენების პრაქტიკა.

კრებულის ყურადღების ცენტრშია აქტუალური პრობლემა — სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამნაშავის პიროვნებასთან მიმართებაში. ამ საკითხს ეხება პროფესორების კლაუს როქსინისა (ქ. მიუნხენი, გფრ) და ალექსანდრე იაკოვლევის (ქ. მოსკო

* Zweites deutsch – sowjetisches Kolloquium über Strafrecht und Kriminolog Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 1984.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი) მოხსენებები. კ. როქსინი ძირითად ყურადღებას უთმობს დასავლეთ გერმანიის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში მოქმედების სისხლის სამართლისა (პასუხისმგებლობას აფუძნებს ჩადენილ ქმედობაზე) და მოქმედის სისხლის სამართლის (პასუხისმგებლობას აფუძნებს პიროვნების სოციალურად საშიშ მდგომარეობაზე, მის მორალურ-პოლიტიკურ იერსახეზე) პრინციპების ურთიერთშეხამებისა და თანაფარდობის პრობლემას. მოხსენება საინტერესოა იმითაც, რომ საკმაოდ მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს აღნიშნულ საკითხზე დასავლეთგერმანულ სისხლის სამართალში არსებულ ტენდენციებზე. რაც შეეხება ა. იაკოვლევის მოხსენებას, მასში განხილულია საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი, სახელდობრ, პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს დამნაშავის პიროვნების გათვალისწინების ფარგლები, კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპთან სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაბამისობის პრობლემა და სხვ. აქვე ნაჩვენებია სასამართლო პრაქტიკაში არსებული მდგომარეობა.

კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის პრობლემებზე ძირითადი მოხსენება ეკუთვნის დასავლეთგერმანელ პროფესორ გიუნტერ ია(ზერს (ქ. ფრაიბურგი, გფრ). ამავე თემას ძღვნება ქართველი მკვლევარის, იურიდიულ ეცნიერებათა კანდიდატის ნიბლია უგრეხელიძის ინფორმაციული მოხსენებაც. მოხსენებებში გამახვილებულია ყურადღება იმ ძირითად ტენდენციებზე, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე ისახება და ვითარდება საზოგადოებრივად საშიში ქმედობების კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის სფეროში, როგორც დასავლეთ გერმანიის, ისე საბჭოთა სისხლის სამართალში. ავტორებს გაანალიზებული აქვთ ძველი თეორიული და პრაქტიკული პრობლემა, რომლებიც კანონმდებლის წინაშე აუცილებლად აღმოცენდებიან ქმედობის კრიმინალიზაციისა თუ დეკრიმინალიზაციის დროს. დანაშაულთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კლასიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი მასალებიდან, რომლებმაც კოლოკვიუმის მონაწილეთა ყურადღება და ცხოველი ინტერესი დაიმსახურეს, აღსანიშნავია ნიბლია უგრეხელიძის მოხსენება: „უმართლობის სუბიექტური ნიშნების საკითხისათვის". ავტორი ობიექტურად გადმოსცემს ცნობილი დასავლეთგერმანელი კრიმინალისტის ე. მეცგერისა და მოქმედების ფინალური მოძღვრების მიმდევარის ჰ. ველცელის თეორიებს სისხლის სამართალში ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობაზე ქმედობის უმართლობის დასაბუთებისათვის. ო. გამყრელიძე ავითარებს და ასაბუთებს დამოუკიდებელ თვალსაზრისს. კერძოდ, დანაშაულებრივი მიზანი ობიექტურ მნიშვნელობას იძენს მართლწინააღმდეგობის დასაბუთებისათვის არა მხოლოდ მიზნით კონსტრუირებულ დელიქტებში, როგორც მეცგერი მიიჩნევს, არამედ ყველა იმ შემთხვევაში, როცა კი ქმედობა ჩადენილია პირდაპირი განზრახვით.

ფრიად აქტუალური და საყურადღებოა კრებულში წარმოდგენილი მოხსენებები, რომელთა ავტორები არიან ბრალის პრობლემის ცნობილი მკვლევარები, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი ვლადიმერ მაყაშვილი და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მინდია უგრეხელიძე. ვ. მაყაშვილი მოხსენებაში „ბრალის პრინციპი საბჭოთა სისხლის სამართალში" ასახავს ბრალის მიხედვით პასუხისმგებლობის პრინციპის დამკვიდრებისა და განვითარების განვლილ გზას საბჭოთა სისხლის სამართალში. ავტორი კრიტიკულად განიხილავს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ შეხედულებებს ბრალის ფორმების შესახებ, განმარტავს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგიერთ თავისებურებას ბრალთან დაკავშირებით. მოხსენება შეიცავს საგულისხმო დასკვნებს ბრალზე. მ. უგრეხელიძის მოხსენება „ბრალის ხარისხის მნიშვნელობისათვის სისხლის სამართალში" ეხება ბრალის ხარისხის შინაარსსა და მის მნიშვნელობას პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სასურველი და სასარგებლო იქნება თუ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირდაპირ იქნება გათვალისწინებული და რეგლამენტირებული ბრალის ხარისხი და მისი ზეგავლენა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომაზე. შემოთავაზებული წინადადება საყურადღებოა როგორც თეორიული, ისე სასამართლო პრაქტიკის სრულყოფის თვალსაზრისით.

კრებულში შესული მასალებიდან ყურადღებას იქცევს სასამართლო შეხედულების რეგლამენტაციის სისხლისსამართლებრივი საკითხები. ამ თემაზე საინტერესო მოხსენება ეკუთვნის პროფესორ გიორგი ტყეშელიაძეს. იგი დასმულ პრობლემას განიხილავს სასამართლოს საქმიანობის სხვადასხვა ფაზებთან მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართებაში. კერძოდ, თუ როგორ მეღავნდება სასამართლოს შეხედულების რეგლამენტაციის თავისებურებანი მისი საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე. ნაჩვენებია დანაშაულთა შემადგენლობის კონსტრუქციაში მოცემული შეფასებითი და აღწერილობითი ნიშნების ზეგავლენა სასამართლო შეხედულების ფარგლებზე და ბოლოს, გადმოცემულია სასჯელის დანიშვნის საკითხები სასამართლოს თავისუფალი შეხედულების რეგლამენტაციის პრობლემასთან მიმართებაში.

კრებულში ძირითადად ამგვარად არის წარმოდგენილი მატერიალური სისხლის სამართლის პრობლემატიკა, რომელსაც კოლოკვიუმის სამუშაო დროის უმეტესი ნაწილი დაეთმო.

გარდა ამისა, კრებულში დაისტამბა აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის პრობლემების საბჭოთა და დასავლეთგერმანელი მკვლევარების გამოსვლები. პროცესუალისტების ინტერესს იწვევს პროფესორ ალბინ ეზერის (ქ. ფრაიბურგი, გფრ), პროფესორ ვალერიან სავიცკის (ქ. მოსკოვი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), დოქტორ ევა ვაიგენდის (ქ. ფრაიბურგი, გფრ), პროფესორ მარტინ ფინკეს (ქ. პასაუ, გფრ), საბჭოთა მეცნიერების გ. ჩანგულის, პ. ლუპინსკაიას, ა. ლარინის და გერმანელი მეცნიერის პროფესორ ფრიდრიხკრისტიან შრედერის (ქ. რეგენსბურგი, გფრ) მოხსენებები. ამ მასალებთან ერთად კრებულში დაიბეჭდა პროფესორების აპოლონ ფალიაშვილის, ანზორ გაბიანის, იგორ პეტრუხინის, ნიკოლოზ სტრუჩკოვის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორების სოფიო კელინასა და ერიკა სტუმბინას, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატების ლამარა სურგულაძის, გალინა კრიგერისა და ნიბლია უგრეხელიძის ინფორმაციული მოხსენებები.

საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის მეორე კოლოკვიუმის მასალების ცალკე კრებულად გამოცემა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა, როგორც თავისი მეცნიერული ღირებულებით, ისე სისხლის სამართლის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების პერსპექტივებითაც. ამის დამადასტურებელია ის მოსაზრებაც, რომელსაც კრებულის წინასიტყვაობაში გამოთქვამენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის დირექტორები ჰანს-ჰენრიხ იეშეკი, ალბინ ეზერი და გიუნტერ კაიზერი: „კოლოკვიუმზე გაკეთებულ მოხსენებებსა და ინფორმაციებს აქვთ უდიდესი ღირებულება დასავლეთის მეცნიერებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სამართლით, კრიმინოლოგიითა და მთლიანად აღმოსავლური სამართლით. ისინი საინტერესო იქნება, აგრეთვე, იმ მეცნიერთათვისაც, რომლებიც სწავლობენ პოლიტიკურ მეცნიერებებს“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრებულის რუსულ თარგმანს მალე მიიღებს დაინტერესებული მკითხველი.

სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრობლემებზე თბილისში ჩატარებული საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის მეორე კოლოკვიუმის მასალების კრებულის გამოცემამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ თანამედროვე ეტაპზე სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის პირობებში მოღვაწე მეცნიერთა შორის კეთილნაყოფიერი თანამშრომლობა ხელს უწყობს ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

დ. სულაქველიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ედუარდ ყიფიანი, თამაზ შავგულიძე

მამაპაპურ ბუხართან

ნაადრევად აცივდა. ბიძინამ თბილად ჩაიცვა და ნაჯახით ხელში ეზოში გამოვიდა, გამხმარი ხეები შეათვალიერა და ერთ-ერთს მიადგა. ნაჯახის პირველი მოქნევა ხემ აისხლიტა, შემდეგ ალღო აუღო და უფრო ფრთხილად შემოჭკრა ნაჯახი.

კარგა ხანს ეჯახირა. დასცხა. ისე იყო გართული მუშაობით, გოჩას მისვლა არც გაუგია.

— გამარჯობა, ბიძინა ბიძია!

— გაგიმარჯოს!

— უნდა მოჭრათ?

— ჰო, შეშა მინდოდა და...

— ერთი წუთით მომიცადეთ ახლავე მოვალ, — თქვა გოჩამ და ჭიშკრისკენ გაიქცა. მალე მექანიკური ხისსაჭრელი ხერხით დაბრუნდა, თასმას გამოჭკრა, ძრავა აატკაცუნა და გამხმარ ხეს მიადგა.

სამხრობამდე იმუშავეს. ყველა ხმელი ხე წამოაქციეს, დახერხეს, დააპეს და როცა ერთ ადგილას დაწყობას შეუდგნენ მამიაც გამოჩნდა, ცალ ხელში კალათა ეჭირა, მეორეში — დოქი.

— ხო, ხო რა უმუშავიათ ბიჭებს.

—შენ სადა ხარ აქამდე? — ყასიდად ნაწყენი ხმით ჰკითხა ბიძინამ.

— მე..., — მამიამ კალათი და დოქი ძირს დადგა — ორი მოზვერი დავკოდე, სამი ტახი, სამი ძროხა კი ავცერი, მეოთხეს ჰოსპიტალიზაცია სჭირდება, მარა ოკრიბაში ჯერჯეროობით არ გვაქვს ძროხების საავადმყოფო...

— ეს რაღაა? — კალათს დახედა ბიძინამ.

— შენს ენაზე ამას რა ჰქვია არ ვიცი... ჩვენ კი ძღვენს ვუძახით. მეც არ ვიცი რა არის შიგ. ახლავე ვნახავთ... გეტყობათ კარგადაც მოგშიებიათ.

მცირე პურობის შემდეგ მამიამ ჭიქა ასწია.

— გიორგის სადღეგრძელო მინდა დავლიო.

— რომლის?

— ბაბუაჩვენის. მისი დარგული იყო ეს ბალი, ბუხრისკენ გაიხედა მამიამ, გახსოვს ალბათ წვერზე რომ მოვექცეოდით ხოლმე და ვჭამდით თაფლივით ბალს...

— როგორ არა!

— ჰოდა, ვინც ამ ჭიქას არ დალევს, ან დღე მოკვდება, ან — ღამე!

— იცი, რა მამია! ამ ჭიქით ყველა ჩვენს წინაპარს გაუმარჯოს, ჩვენც გაგვიმარჯოს, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა, იმასაც, ამის გამომგზავნსაც.

— ტაბლას მოავლო თვალი, — და ამის მომყვანსაც... მოკლედ, ყველა კარგ კაცს!

— ხო, ხო, რა ხართ იურისტები! — ჩაიცინა მამიამ, — რავა ერთ ჭიქაში მოაქცია ყველაფერი! სხვათა შორის, იმ შენს „აუცილებელ მოგერიებაშიც“ ასე იყო, იმდენი რამ გავიგეთ მე და გოჩამ, ვერც ერთი იურისტი წინ ვერ დაგვიდგება.

— მოდი, შევამოწმოთ!

— რა?

— თქვენი იურიდიული განათლება.

— რანაირად? — გაუკვირდა მამიას.

— მაგაზე ოღლი რა არის! — ბიძინა სავარძლიდან წამოდგა და საქალალდეებთან მივიდა, წიგნი გადმოიღო — ამას წინათ ერთი სოციოლოგიური გამოკვლევა გამოქვეყნდა, ძირითადად ახალგაზრდობის მართლშეგნების ანკეტურ გამოკვლევას ეძღვნება. ხომ გახსოვთ, სისხლის სამართლის კანონს საბჭოთა კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭო იღებს. კანონის მიღებიდან შვიდი დღის შემდეგ იგი პრესაში ქვეყნდება. გამოქვეყნებიდან ათი დღის შემდეგ კი მას უკვე კანონის ძალა აქვს. ეს საერთო წესია. მაგრამ თუ, ვთქვათ, კანონში საგანგებოდ არის მითითებ-

---

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საბჭოთა სამართალი“, №1, 2, 3, 4, 5, 1986 წ.)

5. „საბჭოთა სამართალი“, № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული მისი ძალაში შესვლის თარიღი, მაშინ?

მამიამ მხრები აიჩეჩა.

— ალბათ იმ დროიდან, როგორც მითითებული იყო.

— სწორია, — თქვა ბიძინამ, — საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის VII მუხლის თანახმად „ქმედობის დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება კანონით, რომელიც მოქმედებდა ამ ქმედობის ჩადენის დროს“. ეს დებულება გამოხატავს ცნობილ დემოკრატიულ პრინციპს — „არ არსებობს დანაშაული, არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე“. კანონი სწორედ იმიტომ ქვეყნდება, რომ ყველა მოქალაქემ იცოდეს მისი ასრებობა და ათდღიანი ვადაც, ამიტომ არის დაწესებული. კანონი აფრთხილებს კაცს, რომ არ ჩაიდინოს ესა თუ ის დანაშაული, მაგრამ, ვთქვათ, არ იცის, რომ მისი ესა თუ ის ქცევა კანონით იკრძალება, ესე იგი, დანაშაულია. თქვენი ფიქრით, კანონის არცოდნა პასუხისმგებლობას ააცილებს კაცს?

— არა, რასაკვირველია! — სწრაფად წამოიძახა მამიამ, — ასე რომ იყოს, შე კაცო, ყველა მაგას იტყოდა, არ ვიცოდი თუ არ შეიძლებოდაო...

— კი, ბატონო, შემამსუბუქებელი თუ არის არცოდნა?

— რა თქმა უნდა! სად ის, რომ არ იცის თუ უკანონობას სჩადის, და სად ის, როცა იცის, მაგრამ განგებ არღვევს კანონს.

— მეც ასე მგონია, — გაუბედავად ჩაილაპარაკა ბიჭმა.

— ანკეტის პირველი კითხვაც სწორედ ეს იყო, — წიგნი გადაშალა ბიძინამ, — გამოკითხეს უფროსკლასელებს, პროფტექნიკურის მოსწავლეებს და სტუდენტებს.

—რაო, რა თქვეს? — ცნობისწადილი გაეარია ხმაში მამიას.

— 8,2 პროცენტმა თქვა, რომ კანონის არცოდნა პასუხისმგებლობას მთლიანად უხსნის კაცსო, 54 პროცენტმა კი თქვენნაირი პასუხი გასცა.

— ა, ხომ ვთქვი მე, უმრავლესობას სწორად უპასუხია.

— სწორედ ეს არის სავალალო, რომ უმრავლესობამ უპასუხა ასე.

— რა, არ არის სწორი, თუ?!

— არა! არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ცოდნა-არცოდნას. კანონის ცოდნა კაცის მოქალაქეობრივი ვალია. კანონის ცოდნა რომ სასჯელს ამძიმებდეს, ცნობიერად ან შეუცნობლად ხელს შეუშლიდა ადამიანის მისწრაფებას, იცოდეს კანონი.

ბიძინამ კვლავ გადაფურცლა წიგნი.

— ანკეტაში დასმული იყო ასეთი კითხვა: „ჯმუხაძემ შეამტვრია საწყობის კარი და მოიპარა რამდენიმე თოფი ქსოვილი, მივიდა თავის მეგობარ მამალაძესთან და თხოვა, შეენახა ნაქურდალი თავის ბინაში. მამალაძე მიხვდა, რომ ქსოვილი ნაქურდალია, მაგრამ უარი ვერ უთხრა მეგობარს და დასთანხმდა. მილიციის ორგანოებმა ქსოვილი აღმოაჩინეს მამალაძის ბინაში. როგორ აფასებთ მამალაძის საქციელს?“ გამოკითხულთა მხოლოდ 52,3 პროცენტმა ჩათვალა, რომ მამალაძემ დანაშაული ჩაიდინა. აი, რა დაწერა ერთმა მე-10 კლასელმა მოსწავლემ: „მამალაძეს ამ დანაშაულში დიდი წვლილი არა აქვს. შესაძლოა, დავჯერდეთ მის მორალურ გაკიცხვას, ვინაიდან მოპარული ნივთები მას სხვამ მოუტანა“, ხოლო V კურსის ერთ-ერთმა სტუდენტმა განაცხადა: „მამალაძის მოქმედება არც დანაშაულია და არც ამორალური მოქმედება — „ლურჯ ბედაურს მოაგელვებს მეგობრისთვის მეგობარი“. „მეგობრობა მარადიულია, კანონები კი ცვალებადი. კანონები რომ ჭეშმარიტი იყოს, მას ადამიანები ისე მალიმალ არ გამოცვლიდნენ , როგორც ჩვენ თეთრეულს ვიცვლით. მეგობრობა ყოველგვარ კანონზე უფრო ძალა დგას“, შენ რას იტყვი, გოჩა?

გოჩა კითხვას არ ელოდა, დაიბნა;

— თუ იცი, რომ... უარს იტყვი და მეგობარს დაიჭერენ, მაშინ... არ ვიცი...

— არ ვიცი, რა ქართულია! — გაწყრა მამია, — ნაქურდალს თუ ინახავს კაცი, ისიც ქურდია! ქურდი არ უნდა გყავდეს მეგობრად; მოიჩა და გათავდა!

მცირე პაუზის შემდეგ ბიძინამ კვლავ განაგრძო:

— ამ სამი პასუხიდან ბოლო ყველაზე მეტად არის ყურადსაღები, რადგან მისმა დამწერმა იცის, რომ ნაქურდალის შენახვა კანონსაწინააღმდეგო საქციელია და ისჯება, მაგრამ მეგობრობას კანონზე მაღლა აყენებს. მას სოციალური კონტროლი დაპირისპირებული აქვს სამართლებრივ კონტროლთან. მისთვის კანონს არა აქვს თავისთავადი, დამოუკიდებელი სოციალური ღირებულება. რა თქმა უნდა, ცდება, როცა მეგობრობის „ჭეშმარიტებას“ კანონს უპირისპირებს, რადგან კანონი სულაც არ კრძალავს მეგობრობას. იგი დანაშაულს ებრძვის.!

— კი, მაგრამ, — გაუბედავად ჩაილაპარაკა გოჩამ, — შემნახავი მაინც ნაკლებად უნდა ისჯებოდეს, ვიდრე ქურდი.

— აბა, რა! — წამოიძახა ბიძინამ, — დამნაშავის ან „დანაშაულის საშუალებების“ დამფარავი ისჯება თუ წინასწარ არ ყოფილა შეპირებული...

— მოიცა! გამაგებინე, რას ამბობ! — შეაჩერა მამიამ.

— კი, ბატონო! ვთქვათ, მოგადგა მეზობელი და გითხრა, ამაღამ ესა და ეს კაცი უნდა მოვკლა, მამალივით რომ ვიყივლებ, გამოდი და გვამი მიწაში ჩავფლათო...

— აუჰ! რაღა მკვლელობაში გამრიე, შე კაცო!

— შენ მართლაც მიეხმარე და დამარხეთ ის გვამი. სწორედ ეს არის კვალის დაფარვის წინასწარ შეპირება.

— აჰა!

— ასეთ დროს შენ დამფარავი კი არა, მკვლელი ხარ.

— მე ხომ არ მომიკლავს?!

— შენ წინასწარ დაპირდი დახმარებას, ამით მკვლელობის თანამონაწილე ხდები, შენი მეზობელი მკვლელობის აღმსრულებელია, შენ კი — დამხმარე. თანამონაწილეობაზე უკვე ვილაპარაკეთ.

— მოიცა! ახლა, ასეთი რამ წარმოვიდგინოთ! ბიძინასებურად ასწია თითი მამიამ, — ვთქვათ, წინასწარ არაფერი ვიცოდი. მომადგა ღამე მეზობელი და მთხოვა, აგერ, კაცი შემომაკვდა, მომეხმარე, დავმარხოთ, არავინ გამიგოსო! ვთქვათ, მართლაც დავაფარინე კვალი. მაშინ?

— ყველა დანაშაულის დაფარვა არ ისჯება.

— ზოგის ისჯება და ზოგის — არა?

— დიახ! ყველა წვრილმანს ხომ არ გამოეკიდება კანონმდებელი! მაგალითად, სამშობლოს ღალატის, ჯაშუშობის, ტერორიზმის, ბანდიტიზმის და ამდაგვარი მძიმე დანაშაულის დაფარვა ისჯება.

— რას აძლევენ?

— ერთიდან ხუთ წლამდე. ვადის მოხდის შემდეგ ორი-ხუთი წლით შეიძლება გაასახლონ, შეიძლება — არა. კოდექსში არის კიდევ ერთი, კერძოდ, 205-ე მუხლი, სადაც მითითებულია დაფარვის სხვა შემთხვევებზე თუ, ვთქვათ, რაღაც დანაშაული სამწლიან სასჯელს ითვალისწინებს, იმ დანაშაულის დამფარავს შეიძლება, სულ მცირე ერთი წლის გამასწორებელი სამუშაო მიუსაჯონ, ან მაქსიმუმი — ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. თუ დანაშაული ათი და ან მეტი წლის სასჯელს ითვალისწინებს, დამფარავს შეიძლება ხუთი წელიც მიაკერონ.

— გასაგებია, რაც მძიმეა დანაშაული, მით უფრო მკაცრად ისჯება მისი დამფარავიც.

— კი, ოღონდ თუ დანაშაული სამი წლით თავისუფლების აღკვეთაზე ნაკლებს ითვალისწინებს, დამფარავი საერთოდ არ ისჯება.

— კარგი, ვთქვათ, მართლა შემოაკვდა მეზობელს ვინმე, — არ ცხრებოდა მამია — დახმარება მთხოვა, არ მივეხმარე, მაგრამ არც დამისმენია. მაშინ რა მეკუთვნის?

— ამას დაფარვა აღარ ჰქვია, ეს გაუცხადებლობაა. თუ იცი, რომ დანაშაული მზადდება ან მოხდა და არ განაცხადე, პასუხისმგებლობა დაგეკისრება. პრინციპი იგივეა; მძიმე დანაშაულის გაუცხადებლობა ისჯება, მსუბუქის კი — არა.

— კერძოდ, რომელი ისჯება?

— სამშობლოს ღალატის, ჯაშუშობის, ბანდიტიზმის და სხვა ამგვარი დანაშაულის გაუცხადებლობა სამ წლამდე.

— ამდაგვარები რა არის, ისიც გვითხარი ბარემ.

— კი, ბატონო! განზრახ მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით მითვისება, მექრთამეობა, ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადება და გასაღება, ცეცხლსასროლი იარაღის და საჰაერო ხომალდის გატაცება... ყველას გაგება თუ გინდა, გადაშალე კოდექსი და წაიკითხე!

მცირე ხანს დუმდნენ და ცეცხლს შეჰყურებდნენ. ისევ მამიამ დაარღვია სიჩუმე:

— რაღაც არ მოგწონს... თქვი ბარემ.

— დაფარვა რომ ისჯება, გასაგებია, თანახმა ვარ, მაგრამ განუცხადებლობა... მოიცა! ჯაშუშობა, სამშობლოს ღალატი, მკვლელობა უნდა გაამხილო, აბა, რა მოხელე ხარ! კარგი და პატიოსანი, მაგრამ ყველა დარღვევაზე რომ წერილი ან დეპეშა ვაფრინო საბჭოში, სხვა თუ არაფერი, ინტრიგანობა გამოვა.

— შენი პატარა შვილიშვილი რომ ვინმემ გააუპატიუროს, შენმა მოკეთემ ან მეზობელმა იცოდეს ვინ ჩაიდინა ეს და არ გაამხილოს, როგორ გუნებაზე დადგები.

— ჩემი ხელით დავკლავ!

— ჰოდა, ასეა, ბატონო! სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირია. ჩვენ რომ რამეს დაგვშავებენ, ავყვირდებით, სად არის მილიცია, რატომ არ სჯით ჩემს დამაქცევარსო.

— კი, მაგაში მართალი ხარ!

— კანონმდებელმაც სწორედ ეს გაითვალისწინა, თორემ შეგინება ან უბრალოდ თავში წამოარტყმა თუ არ გააცხადე, ვინ გეტყვის რამეს!

— ვთქვათ, გამომიძახეს სასამართლოში ან გამომძიებელთან და სიმართლე დავუმალე. ესეც განუცხადებლობაა, ხომ?

— არა. დანაშაულის გამოაშკარავება მოქალაქის ვალია, შენ თავად უნდა მიაწოდო ცნობა ოფიციალურ ორგანოს...

— მილიციას?

— მილიციას, პროკურატურას, სასოფლო საბჭოს, თუნდაც, კოლმეურნეობის თავმჯდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეს. რა სახით იქნება ეს შეტყობინება, წერილობით თუ ზეპირად, არ აქვს მნიშვნელობა. ხოლო, თუ ძიებას ან სასამართლოს დაუმალე რამე... ზეპირად გეტყვი 197-ე მუხლს: „მოწმის ან დაზარალებულის მიერ შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა, ან ექსპერტის მიერ შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემა, ან თარჯიმნის მიერ შეგნებულად არასწორი თარგმნა გამოძიების დროს ან სასამართლოში — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე. იგივე ქმედობა თუ მას თან ერთვის ბრალდება განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულში ან სხვაგვარ დანაშაულში, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით, ან თუ იგი ჩადენილია ანგარების მიზნით, ან ბრალდების მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნით — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე". ხედავთ, ცრუ ჩვენება სხვაა გაუცხადებლობა კი —სხვა.

თუ ხელი არ მოვაწერე შეტყობინებას? — დაინტერესდა გოჩა.

— ეგ ანონიმური წერილია და თავისთავად დანაშაულია! — გადაჭრით თქვა მამიამ.

— რათა, კაცო! — ხელი აიქნია ბიძინამ, — რა მნიშვნელობა აქვს, რანაირად გააგებინებ სიმართლეს! ხელის არმოწერა მხოლოდ იმით შეიძლება გაამართლოს კაცმა, რომ სამაგიეროს მიზღვის ეშინია. კაცი იმიტომ გქვია, არ უნდა შეგეშინდეს ამისი. სიმართლის მთქმელი არ უნდა შეეშინდეს ავისმქმნელს. ამდენი ვაჟკაცობა უნდა ეყოს.

— მოიცა, მოიცა! ერთი ნამდვილი ამბავი ვიცი, — წამოიწია მამიამ, — ორპირში მექანიკური ქარხანაა. მის დირექტორს უჩიოდა ერთი, ყველა ინსტანცია გაავსო ანონიმური წერილებით. რევიზია რევიზიაზე მიდიოდა ქარხანაში. ბოლოს მიაგნეს ამ წერილების დამწერს, გაასამართლეს და დასაჯეს.

— იმ კაცს ანონიმური წერილებისთვის არ დასჯიდნენ.

— ასე კი იყო და!

— მოიცა! რევიზია რევიზიაზე მიდიოდაო. რამე დანაშაული თუ უნახეს იმ დირექტორს..

— ვერა!

— ესე იგი, ანონიმური წერილების ავტორი ცილს სწამებდა კაცს.

— შეიძლება.

— ჰოდა, ცილისწამებისთვის დასჯიდნენ, გასაგებია? ცილისწამება, ჭორების გავრცელება, გინდა აწერდეს კაცი ხელს და გინდა არა, ისჯება ჯარიმითაც და თავისუფლების აღკვეთითაც... გააჩნია, რა ცილს სწამებ, სახელმწიფო ღალატს ან სხვა ამგვარ მძიმე დანაშაულს თუ აბრალებ ვინმეს, შეიძლება, ხუთი წელიც კი მოგაკერონ.

— ესე იგი, რაც უფრო მძიმე ბრალდებას სწამებენ ადამიანს, მით მეტად ისჯება?

— ზუსტად ასეა. ანონიმურ წერილში ხშირად შეურაცხყოფას აყენებენ კაცს, — განაგრძო ბიძინამ, — მოქალაქის შეურაცხყოფა კი... დანაშაულია.

— ერთი საკითხი კიდევ...

გოჩას სიცილი წასკდა.

— რას იკრიჭები, ბიჭო შენ — მთელი ტანით მიუბრუნდა მამია.

— ნამეტანი გადაიჭერი იურისპრუდენციაში. მე ვაპირებდი იურიდიულზე შესვლას თუ — შენ!

მამიას საქციელი წაუხდა:

— არა... კი, საინტერესო არის, მარა, ასე, ბუხართან. რა ვიცი, პროფესიად თუ გაიხადე შეიძლება მოგბეზრდეს კიდეც...

— ჯერჯერობით ხომ არ მოგბეზრებია? — ირონიულად ჰკითხა ბიძინამ.

— ერთი კვირა, შე კაცო, დაკიდებული გავძლებ.

გოჩა შეშის მოსატანად გავიდა ეზოში. უკვე ბინდდებოდა. კარგა ხანს დააგვიანდა, როცა კარი გაიღო და დარბაზში გოჩა შემოვიდა, ორივემ გაოცებით შეხედა — თოვლი იდო შეშაზეც, თავზეც, მხრებზეც.

— აუჰ, მაინც მოვიდა, ხედავ შენ! — წამოიძახა მამიამ.

— ჯერ ადრე იყო?! — წამოდგა ფეხზე ბიძინა, გოჩას მიუახლოვდა და თოვლს შეეხო.

— ისე ბარდნის, დილამდე მეტრზე ნაკლებს არ დადებს, — შეშა დააწყო ბუხართან გოჩამ.

— აუჰ! — შეიცხადა ბიძინამ.

— რა იყო?

— ხვალ დილით წასვლა მინდოდა თბილისში. ცოტა ხანს უნდა ჩავიდე, საქმე მაქვს.

— მთელი ღამე თუ ითოვა, ხვალ თბილისში კი არა ეზოდან ვერ გახვალ,

— დარწმუნებით თქვა მამიამ, — აუცილებლად ხვალ უნდა წახვიდე?! ზეგ რომ იყოს, რა იქნება!

— ზეგამდე დიდი არაფერი დაშავდება, მაგრამ... მანქანით მინდოდა წასვლა:

მამიამ გაიღიმა:

— ერთი საღამო ვიჭუკჭუკოთ კიდევ აქ და ზეგ დილით მშრალ გზას გპირდები. ეს ის თოვლი არ არის, ორ დღეზე მეტი რომ გაძლოს. შენ ის მითხარი, დღეს და ხვალ თუ დაამთავრებ ჩვენს განათლებას...

— კი შეიძლება...

— ჰოდა, გზაც ხსნილი გექნება! ახლა დაჯექი და განაგრძე შენი საქმე!

ბიძინა საკარძელს მიუბრუნდა: — მაშ, მივყვეთ ანკეტას!

— ასე, შე კაცო!

— ყური მიგდეთ, ვკითხულობ: წარმოება-დაწესებულებებში ზოგჯერ ხდება წვრილმანი ქურდობა. იგი საზოგადოებრივად საშიში მოვლენაა. წვრილმანი მტაცებლობის რამდენადმე გახშირება უკვე მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს აყენებს სახელმწიფოს. ხშირად ასეთ დანაშაულს გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე თვითონ გატაცებული ქონება ღირს. ქარხნიდან ავტომანქანის ნაწილების მოპარვამ, მართალია, შეიძლება, გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვიოს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. წვრილმანი მტაცებლობა ძირს უთხრის დისციპლინას, ზნეობრივად რყვნის ადამიანს და ნიადაგს უმზადებს მძიმე დანაშაულს. იმის გასაგებად, თუ რამდენად აქვს ეს შეგნებული ახალგაზრდობას, ანკეტაში შეტანილი იყო კითხვა: ბინის შესაკეთებლად სიმონიშვილს დასჭირდა საღებავი. მაღაზიაში ვერ იშოვა. თავად ქარხნის იმ საამქროში მუშაობდა, სადაც საღებავებს ამზადებდნენ. მან 8 მანეთად და 50 კაპიკად ღირებული ორი ქილა საღებავი გამოიტანა საამქროდან. ბინა შეაკეთა. როგორ აფასებთ სიმონიშვილის მოქმედებას?“

— ვიცით, ვიცით! — თავი დაიქნია მამიამ,

— ნემსისა და აქლემის ქურდი, ორივე ქურდია, ეს სწორია, მარა, საინტერესოა ბავშვებმა რა უპასუხეს.

— გამოკითხულები ბავშვები უკვე აღარ იყვნენ, მე-10 კლასში სწავლობდნენ.

— ეს, ისე, სიტყვაზე...

— 21,1 პროცენტმა სიმონიშვილის გასამართლება და სისხლის სამართლის წესით დასჯა ჩათვალა მართებულად, 40,4 პროცენტი მხოლოდ საზოგადოებრივ ზემოქმედებას დასჯერდა, 18,8 პროცენტმა კი ზნეობრივად გაამართლა სიმონიშვილის საქციელი. ზოგმა საკუთარი აზრის გასამართლებლად ანკეტას თავისი შეხედულება მიაწერა. ორიოდეს წაგიკითხავთ: „სიმონიშვილმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ საღებავი მაღაზიაში რომ ყოფილიყო, საამქროდან გამოტანა არ დასჭირდებოდა“, „სიმონიშვილის მოქმედება დანაშაული არ არის, რადგან იძულებული იყო საღებავი მოეპარა“, „გინდა იცხოვრო ლამაზად, მაგრამ საჭირო მასალა არ გაქვს, არც მაღაზიაშია“. „სიმონიშვილის ქცევა არც დანაშაულია და არც — უზნეო მოქმედება. იგი იძულებული იყო, საღებავი ქარხნიდან გამოეტანა, რადგან მაღაზიაში ყოველთვის ვერ იშოვი იმ-ას, რაც გინდა“. როგორ ფიქრობთ, სწორია მათი მსჯელობა?

— არა, რა თქმა უნდა! — ხელი ასწია მამიამ, — მგელი მგელია, გინდა ბატკანი მოიტაცოს და გინდა — ცხვარი! მაგრამ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ციხე ნამეტანი უნდა იყოს ორი ქილა საღებავის გამო. ზედმეტი სიმკაცრე არ ვარგა.

— სწორი ხარ, არ ვარგა! იმ სიმონიშვილს თუ ადრე მსგავსი რამ ჩადენილი არ ჰქონდა, კრებაზე გაიცხავენ, საყვედურს მისცემენ...

— თუ ადრეც იყო შემჩნეული?

— მაშინ, სასჯელს ვერ აცდება! სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცება, მითვისება, გაფლანგვა, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, თუ ეს პირველად არ ჩაუდენია იმ პირს, ისჯება ჯარიმით ასიდან სამას მანეთამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით. ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთაც შეიძლება მიუსაჯონ, რაც იმაზეა დამოკიდებული თუ რა შედეგი მოჰყვება მის დანაშაულს.

— მოიცა! სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონებაო, რომ თქვი, — მე რომ მომპარონ რამე, არ დასჯიან ქურდს? — მიამიტად გაიღიმა მამიამ.

— სახელმწიფო ქონებაა ბანკი, ქარხნები, ფაბრიკები და ამდაგვარი ორგანიზაციები. საზოგადოებრივია საკოლმეურნეო საკუთრება, პროფკავშირების ან სხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებების თანხები და სხვ. პირადი ის არის, რაც შენი საკუთრებაა, ქონება სხვადასხვანაირია თორემ მისი მომპარავი ან წამხდენი ყოველთვის ისჯება განსხვავება არ არის.

მამიამ წარბები აწკიპა, უნდობლად შეხედა ბიძაშვილს.

— რა, არ გჯერა?

— კი, მაგრამ... რამდენჯერ გამიგონია, უთქვამთ, მაგრა გაება, სახელმწიფო ქონების მიტაცება უმტკიცდებაო. 96 პრიმა მუხლს ახსენებენ ხოლმე. ათ-თხუთმეტ წელს ისე არიგებენ, შენი მოწონებული.

— ეგ სხვაა! 96[1] მუხლი განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებას ითვალისწინებს. მართლა ათიდან-თხუთმეტ წლამდეა, ქონების კონფისკაციაც და ყველაფერი.

— რაღა ყველაფერი?

— დახვრეტაც...

— ეს განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის დატაცებისას, ხომ?

— დიახ, არ აქვს მნიშვნელობა, რა ხერხით და საშუალებებით არის ჩადენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენიაა განსაკუთრებით დიდი ოდენობა?

— ათი ათასი მანეთი და პეტი.

— ხერხები და საშუალებებიო, ეგ რაღას ნიშნავს...

— დიდი ოდენობის თანხის მითვისება სხვადასხვანაირად შეიძლება მოხდეს: თაღლითობით, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ქურდობით, ძარცვით, ყაჩაღობით. ეს სხვადასხვანაირი დანაშაულებრივი ქცევებია, მაგალითად, კაცი რომ ჩუმად შეიპარება სადმე და რამეს მოიპარავს, ეს ქურდობაა.

— ახალი ამბავი! შენ სხვა თქვი რამე...

— ძარცვას და ყაჩაღობას შორის რა განსხვავებაა, თუ იცით?

— მძარცველები ყოველ ფეხის ნაბიჯზე, შეიძლება იყოს... — ჭოჭმანით თქვა მამიამ, — ყაჩაღი კი ტყეში გავარდნილი კაცია.

— არა ხარ სწორი, ძარცვა სხვისი ქონების აშკარა გატაცებაა. ვთქვათ, მოლარე ავტობუსით მგზავრობს, მუხლზე ფულით გატენილი ჩანთა უდევს. ვინმემ რომ სტაცოს ხელი ჩანთას და გაიქცეს, ეს იქნება ძარცვა, ამის ჩამდენი პირი კი — მძარცველი.

— თუ ხელში უჭირავს?

— ყაჩაღობა! — ჩააკერა გოჩამ.

— არა! — მიუგო ბიძინამ, — ესეც ძარცვაა. მართალია, მძარცველმა ძალა იხმარა, მაგრამ მისი თავდასხმა არ ყოფილა მოლარის ჯანმრთელობისათვის ან სიცოცხლისათვის საშიში. ესე იგი, ყაჩაღობა ისეთი ძარცვაა, როცა საფრთხეში ვარდება დაზარალებულის ჯანმრთელობა ან სიცოცხლე... ან თუნდაც, ემუქრებიან მის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს, იმ მოლარესთვის დანა რომ მოეღერებინა მოძალადეს, მომეცი ჩანთა, თუ არა ჩაგარტყამო, ყაჩაღობა იქნებოდა. გასაგებია?

— რაა გაუგებარი, არც ისე რთული ყოფილა სამართალი...

— სამართალი რთულია! — ჩაიცინა ბიძინამ, — მე ვლაპარაკობ ასე უბრალოდ და იმიტომ გეჩვენება იოლად, ქურდობისას დანაშავე პიროვნების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას არ ეხება, ძარცვისას საფრთხეში არ აგდებს, ხოლო ყაჩაღობისას თავს ესხმის მას.

— კი, მაგრამ სასჯელიც სხვადასხვა უნდა იყოს?!

— თუ თანხა განსაკუთრებით დიდი ოდენობის არ არის, რა თქმა უნდა, ქურდზე მძიმე სასჯელი მძარცველს ელის, კიდევ უფრო მძიმე კი — ყაჩაღს. ახლა, რაც შეეხება გაფლანგვას: თუ კაცს მინდობილი აქვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი თანხა... თუნდაც ნივთები და მათ მითვისებს ან გაფლანგავს, დაისჯება ჯარიმით ორასიდან ათას მანეთამდე ან ორი წლის გამასწორებელი სამუშაოდან დაწყებული ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. თუ მსგავსი რამ ჯგუფმა ჩაიდინა, სასჯელი მკაცრდება, შვიდ წლამდე ითვალისწინებს მუხლი. ქონების კონფისკაციასაც გულისხმობს, ხოლო დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ასეთი დანაშაული თხუთმეტ წლამდეც ადის.

— დამამძიმებელი გარემოება რა არის?

— იკითხა გოჩამ.

— ალბათ, ჯგუფური თუა! — უპასუხა მამიამ.

— არამარტო ეს, — ჩაერია ბიძინა, — დამამძიმებელი გარემოებაა აგრეთვე გატაცებული, მითვისებული ან გაფლანგული ქონების დიდი ოდენობა, ადრინდელი ნასამართლობა, სადგომში ან საცავში შეღწევა და სხვა ამდაგვარი. ანკეტაში მექრთამეობაზეც იყო კითხვა. ვთქვათ, მშობელმა შვილის უმაღლესში მიღებისათვის ფასიანი საჩუქარი მიართვა მიმღები კომისიის თავმჯდომარეს გამოკითხულთა 63,9 პროცენტმა მშობლის მოქმედება დანაშაულად ჩათვალა. ახალგაზრდობის 26,1 პროცენტმა დანაშაულად არ სცნო მშობლის მოქმედება. ზოგმა, კერძოდ, 8,6 პროცენტმა უზნეობადაც კი არ მიიჩნია ასეთი საქციელი.

— უჰ, ნამეტანი მოსვლიათ!

— ზოგიერთის მოსაზრებას წაგიკითხავთ: „ვინც ქრთამი აიღო, შეიძლება, ის ჩავთვალოთ დამნაშავედ, რადგან შვილის უმაღლესში ჩასარიცხავად მამამ, შეიძლება, ყველაფერი გააკეთოს“, „მშობლის ძლიერი სიყვარული შვილისადმი აბრმავებს მის სულს ყოველივე დანარჩენის, მათ შორის, კანონის მიმართაც. მშობელს ამ შემთხვევაში ამოძრავებდა შვილის სიყვარული და არა დანაშაულის ჩადენის სურვილი. საშუალება, რომელიც მშობელმა გამოიყენა, დასაგმობია, მიზანი — მაღალი. ყველა საშუალება, რომელიც მიზანს ამართლებს, მისაღებია“.

— მაგის დამწერს ვერ დავეთანხმებით! — თავი გაიქნია მამიამ, — „მიზანი ამართლებს საშუალებას!“ ამ დევიზის მომხრეებს ბევრი ბოროტება ჩაუდენიათ. ეს რომ სწორი იყოს, გარკვეულ პირობებში ყველა დანაშაული გამართლებული იქნებოდა. შენ ის გვიბრძანე, რანაირად ისჯება ქრთამის მიმცემი!

— სამიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთით, თუ პირველი შემთხვევა იყო! ხოლო თუ მექრთამეობაზე ადრეც იყო ნასამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთლევი, შვიდიდან თხუთმეტ წლამდე მისცემენ.

— კონფისკაცია?

— ეს კერძო შემთხვევას გააჩნია. ქრთამის მიმცემს არ დასჯიან, თუ ქრთამი გამოსძალეს ან თუ მიცემის შემდეგ ამის შესახებ ნებაყოფლობით გააცხადებს, ესე იგი, გამოააშკარავებს დანაშაულს.

— გამოძალვა, ეს..., — წამოიწყო და აღარ დაამთავრა გოჩამ.

— ეს არის, ვთქვათ ბინის რიგმა მოგიწია, წესით და კანონით გეკუთვნის, მაგრამ აღმასკომის მუშაკი ფულს გთხოვს, თუ არ მომცემ, არც მე მოგცემ ბინასო. ხომ გასაგებია?

— ეგ, კი. ბარემ ისიც გვითხარი, შუამავალი თუ ისჯება და რანაირად. ერთი ჩემი ნაცნობი დაიჭირეს შუამავლობისთვის.

— ორიდან რვა წლამდე, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი — შვიდიდან თხუთმეტამდე.

— რა ამბავია, შე კაცო!

— რა, არ არის სწორი?

— თუ თავად წილი მიაქვს, კიდევ შეიძლება, რაღაც თქვას კაცმა, მაგრამ ხომ შეიძლება, უანგაროდ ჩადგეს შუაში?

— კი, მაგალითად, მოგადგეს მეზობელი და გთხოვოს, ტყიბულის აღმასკომში ნაცნობები გყავს, აგერ ათასი მანეთი და ერთი მანქანა გამომიყოსო. შენც გამოართვი, ის ფული უჭ-ლებლივ მიეცი ნაცნობს და მანქანაც მიაღებინე, ასეთ შემთხვევაზე ამბობ, ხომ?

— ვთქვათ მარა, თხუთმეტი წელი რა ამბავია!

— ჯერ ერთი, შვიდიდან თხუთმეტ წლამდე დამამძიმებელი გარემოებების დროს აძლევენ...

— ერთხელ შევცდი, ბატონო!

— ერთხელ თუ შეცდი და სხვა მხრივ კარგი ბიჭი ხარ ორიდან რვამდეა. სულ ცოტას მოგცემენ, ალბათ.

— მე რას ჩამაცივდი, შე კაცო, სხვა ვეღარავინ ნახე?! — გაეცინა მამიას და დასძინა — ისე, ჩვენში დარჩეს და მართლა ზედმეტად მკაცრი მეჩვენება, ამ საკითხში, ჩვენი კანონი.

— ამაშიც გაგარკვევთ, — წიგნი გადაფურცლა ბიძინამ, — ანკეტაში ჩამოთვლილი იყო ათი სხვადასხვა დანაშაული: სამშობლოს ღალატი, განზრახ მკვლელობა, სახელმწიფო ქონების მოპარვა, ქრთამის გამოძალვა, ქრთამის მიცემა, პირადი ქონების მოპარვა, ხულიგნობა, მილიციის მუშაკისთვის წინააღმდეგობის გაწევა, შეგნებულად ცრუდასმენა და ალიმენტის არგადახდა. ახალგაზრდებს უნდა დაელაგებინათ ისინი საზოგადოებრივად საშიშროების მეტნაკლებობის მიხედვით...

— ხულიგნობა და მილიციის მუშაკისთვის წინააღმდეგობის გაწევა ერთიდაიგივე არ არის? — წამოიძახა გოჩამ.

— კი, ჰგავს ერთმანეთს, მაგრაამ სხვადასხვა დანაშაულია. ხულიგნობა რა არის?! მოკლედ რომ ვთქვათ საზოგადოების მკვეთრად გამოხატული უპატივცემულობა. ეს ბევრნაირად ვლინდება: საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, თავშეყრის ადგილებში ლანძღვა-გინება, აყალმაყალი, ჩხუბი. ხდება, რომ ხულიგანი არ ემორჩილება წესრიგის დამცველებს, ესე იგი, წესრიგის დაცვის ოფიციალურ წარმომადგენლებს. ამით დანაშაული მძიმდება. ასე, რომ საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევა, ხულიგნობა, ისჯება ჯარიმით, ერთი წლის გამასწორებელი სამუშაოებით ან ერთი წლის თავისუფლების აღკვეთით. არის ასეთი ტერმინი — „ბოროტი ხულიგნობა“. ეს არის მოქმედებაში გამოვლენილი დიდი ცინიზმი და განსაკუთრებული თავხედობა, წესრიგის დამცველისადმი მკვეთრად გამოხატული წინააღმდეგობა. ასეთი ხულიგნობა ერთიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. თუ იარაღიც იხმარა, ან სცადა ხმარება, რა თქმა უნდა, სასჯელი დაუმძიმდება, იარაღად მხოლოდ რევოლვერი და დანა კი არ ითვლება! იარაღია, საგანგებოდ ამისთვის მომზადებული ნებისმიერი საგანი: „კასტეტი“, ველოსიპედის წამახვილებული „სპიცი“, გალესილი სატეხი და სხვა. ესე იგი, საგანგებოდ საჩხუბრად რომ არის მომზადებული. ეს, რაც შეეხება ხულიგნობას. ახლა ვნახოთ რა არის წინააღმდეგობის გაწევა, — ბიძინამ კოდექსი გადაფურცლა, — 207-ე მუხლი: „წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლების წარმომადგენლისათვის მის მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ან წინააღმდეგობის გაწევა საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას ასრულებს, ან მათი იძულება — შეასრულონ აშკარად უკანონო მოქმედებანი, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით... ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე...“ ახლა მივუბრუნდეთ ჩვენს გენერალურ ხაზს. სად ვიყავით?

— სიმძიმის მიხედვით უნდა დაელაგებინათ ათი დანაშაული, — შეახსენა მამიამ.

— ჰო! ახალგაზრდების აზრი კანონმდებლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სას მხოლოდ ორ საკითხში დაემთხვა: ყველაზე მძიმე დანაშაულად ჩაითვალა სამშობლოს ღალატი და განზრახ მკვლელობა. სამშობლოს ღალატი პირველ ადგილს დააყენა გამოკითხულთა 89,9 პროცენტმა. განზრახ მკვლელობა მეორე ადგილზე — 54 პროცენტმა, ხოლო სახელმწიფო ქონების დატაცება მესამე ადგილზე დააყენა 28,9 პროცენტმა. ჩამოთვლილ დანაშაულთა შორის სიმძიმით მეოთხეა ქრთამის გამოძალვა. კანონმდებელი დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ამ დანაშაულს დახვრეტასაც კი უფარდებს. გამოკითხვამ ცხადჰყო, ახალგაზრდობის უმეტეს ნაწილს კარგად აქვს შეგნებული ამ დანაშაულის სოციალური სიმძიმე; იგი მეოთხე ადგილზე მხოლოდ 17 პროცენტმა დააყენა. ნახევარზე მეტმა ხუთეულშიც კი არ „შეიყვანა". კანონის თანახმად ქრთამის მიცემა სიმძიმით მეხუთე ადგილზეა. სწორედ უპასუხა გამოკითხულთა მხოლოდ 14,1 პროცენტმა. უცნაურია, ალიმენტის გადაუხდებობას უფრო მძიმე დანაშაულად თვლიან, ვიდრე ქრთამის მიცემას.

— სიტყვამ მოიტანა და რას უსჯიან ალიმენტის არგადამხდელებს? — დაინტერესდა მამია.

— თუ სასამართლოს მიერ დადგენილი თანხის გადახდას მშობელმა თავი აარიდა, გააფრთხილებენ, მიუთითებენ, და თუ მაინც არ დაიშალა თავისი, შეიძლება, ერთი წლის თავისუფლების აღკვეთაც მისცენ.

— კაცო, ადამიანი რომ შვილს გააჩენს და მის რჩენაზე უარს იტყვის, ერთი წელიც ცოტა მეჩვენება! — გადაჭრით თქვა მამიამ.

— კარგი საქციელი რომ არ არის, იმიტომაც ითვლება დანაშაულად, მაგრამ... ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფრო მძიმე დანაშაულს თვალი დავუხუჭოთ. დანაშაულის სიმძიმე იმის მიხედვით განისაზღვრება თუ რა ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. შვილის სარჩენად ფულის არგადახდა ან... ხულიგანმა რომ მკლავი მოგტეხოს, ერთი შეხედვით, ასეთი დანაშაული უფრო „ყვირის", ვიდრე ქრთამის მიცემა, მაგრამ ერთი რამ არ უნდა დაგავიწყდეთ — ქრთამს ტყუილა არ იძლევიან. ამით ყიდულობენ იმას, რაც მათ არ ეკუთვნით. ასეთი დანაშაულის ფესვები ღრმად არის გამჯდარი. უცებ შეიძლება, ვერც კი შენიშნო. მექრთამეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მიტაცების იარაღი, წყარო და დაფარვის საშუალებაა. იგი თუ დროულად არ ამოიკვეთა, ღრმად აღწევს საზოგადოების ყველა ფენაში და რყვნის გარემოს. „ფულის შოვნა" პრესტიჟულ მოვლენად გადაიქცევა და მექრთამეს ზოგჯერ „ვაჟკაცადაც" კი ნათლავენ. მექრთამეობა ხელყოფს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს, ძირს უთხრის დისციპლინას და საბჭოთა სამართლისადმი რწმენას... არ ვარ სწორი?

— კი, სწორია, როგორ არა! მაგრამ... ხელის შოტეხვაც ძალიან მტკივნეულია...

— გასაგებია... სკოლაში როგორ სწავლობდა გოჩა?

— ცრა უშავს, კარგად.

—ახლა ჯარი უნდა მოიაროს, ხომ?!

— აბა, როგორ!

— მერე ერთი წელი კარგად იმეცადინოს, რომ თუ დავუშვათ, იურიდიულზე არ გინდა, აგრონომიულზე მაინც ხომ უნდა ჩააბაროს?

— ალბათ!

— ჰოდა, ქრთამით გამდიდრებული კაცის უცოდინარი შვილი ქრთამითვე რომ დაიჭერს მის ადგილს და გოჩა გარეთ დარჩება, მკლავის მოტეხვაზე მეტად არ გეტკინება გული?

— შენთან კამათი ძნელია...

— სოკრატეს თქმის არ იყოს, სიმართლესთან კამათია ძნელი.

ბიძინა წამოდგა, მუხლი გამართა. ფანჯრისკენ გაიხედა.

— უჰ, დაღამებულა! — თქვა და თანამოსაუბრეებს შეხედა.

— დაღამებულა კი არა, გათენდება აწი! — საათზე დაიხედა მამიამ, — თორმეტს გადასცდა.

— ზეგ დილით ნამდვილად მპირდები უთოვლო გზას?

— შენი დანა და ჩემი კისერი! თუ თოვლი არ აიღო, ტრაქტორს დაგიბამ და ისე ჩაგიყვან.

— რადგან ასეა, ერთი საღამო კიდევ დაგვრჩა. მე მგონი, მოვასწრებ სათქმელს.

— შენ იცი!

ბაბუა-შვილიშვილი ფეხზე წამოდგნენ და კარებისაკენ გაემართნენ. ბიძინაც თან გაჰყვა.

ბარდნიდა. მთელი არე-მარე გადათეთრებულიყო, საოცარი სიჩუმე და მყუდროება იდგა. აქა-იქ ნათურები კრთოდა.

— ისე თბილა, ხვალვე გადნება — ჩაილაპარაკა მამიამ.

— შენ რა წინასწარმეტყველივით ლაპარაკობ! — გაიღიმა ბიძინამ.

— ესეც სამართალი კი არ არის, ცოტა რამ ჩვენც გაგვეგება, ბატონო.

ბიძინამ ბაბუა-შვილიშვილის ნაკვალევს გააყოლა თვალი...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

სსრ კავშირის პროკურატურაში

ამ დღეებში სსრ კავშირის პროკურატურამ განიხილა ჟურნალ „სოვეტსკი შახტიორის“ საკორესპონდენტო პუნქტის გამგის ვ. ბ. ბერხინის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასა და გამოძიებაში ვოროშილოვგრადის ოლქის სამართალდაცვითი ორგანოების მიერ კანონიერების დარღვევის ფაქტები.

საგამოძიებო ორგანოებმა ვ. ბ. ბერხინს უსაფუძვლოდ წაუყენეს ბოროტი ხულიგნობის ბრალდება. სსრ კავშირის პროკურატურამ გამოიკვლია და დაადგინა: პრესის მუშაკი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს იმის გამო, რომ მან სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობაში გამოავლინა ნაკლოვანებანი.

ქ. ვოროშილოვგრადის არტემოვსკის რაიონის პროკურორმა ა. ფ. დარაგანმა, რომელიც ზედამხედველობდა ამ საქმის გამოძიებას, არ მიიღო სათანადო ზომები, რათა დროულად გამოევლინებინა და აღმოეფხვრა დარღვევები. უფრო მეტიც, უსაფუძვლოდ გასცა ვ. ბ. ბერხინის ბინის ჩხრეკის სანქცია, ხოლო შემდეგ ვოროშილოვგრადის ოლქის პროკურორის ვ. პ. შატალოვისა და მისი მოადგილის ი. ე. სოკოლიკოვის მითითებით, რომლებმაც სათანადოდ არ შეისწავლეს და შეაფასეს გამოძიების მასალები, დააპატიმრა კიდეც იგი.

უკრაინის სსრ პროკურატურამ გამოავლინა ამ საქმესთან დაკავშირებული სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევები და მხოლოდ იმას დასჯერდა, რომ ვ. ბ. ბერხინი გაათავისუფლა პატიმრობიდან, არ შეამოწმა დაშვებული უკანონობის მიზეზები და დამნაშავეებს არ დააკისრა პასუხისმგებლობა.

სსრ კავშირის პროკურატურამ ვ. ბ. ბერხინის საქმე შეწყვიტა მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო.

კანონიერების პრინციპების დარღვევების, სამსახურებრივი მოვალეობისა და ჟურნალისტის ბედისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის სსრ კავშირის პროკურატურამ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა ვ. პ. შატალოვი და ა. ფ. დარაგანი. ი. ე. სოკოლიკოვის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა დაევალა უკრაინის სსრ პროკურატურის კოლეგიას მისი გამოჯანმრთელების შემდეგ.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს გაეგზავნა წარდგინება შინაგან საქმეთა ორგანოების იმ მუშაკთა მკაცრად დასჯის თაობაზე, რომლებმაც აღნიშნულ საქმეში ჩაიდინეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედება. მიღებულია ზომები სხვა თანამდებობის პირთა მიმართაც.

უკრაინის სსრ პროკურატურას დაევალა ოფიციალური ბოდიში მოუხადოს დონეცკისა და ვოროშილოვგრადის ოლქებში ჟურნალ „სოვეტსკი შახტიორის“ საკორესპონდენტო პუნქტის გამგეს ვ. ბ. ბერხინს მიყენებული ზიანის გამო.

„პრავდა“, 1986 წლის 29 ნოემბერი.

სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფისათვის

საქართველოში იმყოფებოდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ა. ვ. ვლასოვი. იგი გაეცნო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობას, ოპერატიულ ვითარებას რეგიონში, ესაუბრა სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს, ეწვია შინაგან საქმეთა ორგანოების რაიონულ ქვეგანაყოფებს, დაათვალიერა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს სახანძრო-ტექნიკური გამოფენა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი სამართალდაცვითი ორგანოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან ისეთი მახინჯი მოვლენების აღმოფხვრისათვის, როგორიცაა უშრომელი შემოსავალი, მექრთამეობა, სოციალისტური საკუთრების დატაცება, მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქურდობა, ლოთობა და ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, მუქთახორობა. ამავე დროს ა. ვ. ვლასოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა სამართალდარღვევების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ, მთელი ფრონტით სრულვყოთ მისი ფორმები და მეთოდები. ყურადღება მიეპყრო დიდი მატერიალური და მორალური ზარალის გამომწვევი წვრილი დატაცებებისათვის მტკიცე დაბრკოლების შექმნის პრობლემებს. იქ, სადაც არის წვრილმანი დატაცებანი, არ არის დისციპლინა და წესრიგი. მაგრამ შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ფორმირებები, ადმინისტრაციული ორგანოები ზოგჯერ ვერ ამჩნევენ წვრილმანი დატაცებების მიღმა უფრო სერიოზულ დარღვევებს.

აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის ახლა მიმდინარე გარდაქმნის პროცესში უპირველესი როლი განეკუთვნება სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში უბნის ინსპექტორების ქმედითობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას. მათ უშუალო კონტაქტები აქვთ იმ რაიონების მცხოვრებლებთან, რომლებსაც ემსახურებიან. და იმაზე, თუ რაოდენ დიდია ამ მაკავშირებელი რგოლის უკუგება, ბევრად არის დამოკიდებული მთელი საბჭოთა მილიციის მუშაობის ეფექტიანობა. ამიტომ უნდა გავზარდოთ მოსახლეობაში უბნის ინსპექტორთა ავტორიტეტი, შევუქმნათ მათ ხარისხოვანი მუშაობის ოპტიმალური პირობები.

შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებებით გადაწყვეტისათვის საჭიროა არა მარტო მოვაგვაროთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სხვადასხვა სამსახურის ურთიერთმოქმედება, არამედ უნდა დავამყაროთ საზოგადოებრიობასთან მათი მჭიდრო კონტაქტი. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მუშაობის გამოცდილება. ა. ვ. ვლასოვი გაეცნო მოზარდთა შორის სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებს, სტუდენტ ახალგაზრდობაში კანონის დარღვევის ფაქტების თავიდან აცილებისათვის რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიური შემადგენლობის საქმიანობას. მაღალი შეფასება მიეცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონაწილეობას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენისადმი შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნაში. კერძოდ, პროფილაქტიკის მძლავრი ბერკეტი გახდა ყრილობების შესახებ რესპუბლიკის მოსახლეობისათვის რეგულარული ინფორმაციის მიწოდება, სადაც საყოველთაო გაკიცხვის საგანი ხდებიან ისინი, ვინც დაარღვია კანონი.

მინისტრმა აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა გავრცელდეს მთლიანად ქვეყნის შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საქმეში რესპუბლიკის მიერ შეძენილი გამოცდილება. მხოლოდ ასე შეიძლება უზრუნველვყოთ სოციალისტური კანონიერების დამცველებისათვის უცილობელი პირობები — საჯაროობა მათ მუშაობაში.

ა. ვ. ვლასოვი შეხვდა ამხანაგებს ჯ. ი. პატიაშვილს, ბ. ვ. ნიკოლსკის, ო. ე. ჩერქეზიას. გაიმართა დაინტერესებული სჯა-ბაასი სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების, ცხოვრების ყველა სფეროში საქმიანობის დაჩქარებისა და განახლების შესახებ პარტიის კურსის მოთხოვნათა საფუძველზე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის გააქტიურების გზებზე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გაძლიერდეს პარტიული ხელმძღვანელობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი სისტემისადმი.

საკავშირო სემინარი იაროსლავში

ამასწინათ ჩატარებულ საკავშირო სემინარს, იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ზნეობრივ-სამართლებრივ თემებზე წერენ, ქალაქმა იაროსლავმა უმასპინძლა. სემინარის მოწყობის ინიციატორები იყვნენ სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირი, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო, სსრ კავშირის პროკურატურა, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო და რსფსრ-ის იუსტიციის სამინისტრო.

სემინარი გახსნა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ **ი. ა. ზუბკოვმა.**

პარტიის იაროსლავის საოლქო კომიტეტისა და ოლქის მშრომელთა სახელით სემინარის მონაწილეებს მხურვალედ მიესალმა სკკპ პარტიის იაროსლავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ა. ტოლსტუხოვი.**

საინტერესო მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორი **ა. მ. რეკუნკოვი.** სკკპ XXVII ყრილობამ, — თქვა მან — სხვა კარდინალურ საკითხებთან ერთად დღის წესრიგში დააყენა ისიც, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ყველგან და ყველაფერში თანმიმდევრულად გატარდეს სოციალური პრინციპები.

ასეთი მუშაობა კი დაკავშირებულია სოციალისტური კანონიერების განმტკიცებასთან. თუ ახლებურად, დღევანდელი მოთხოვნილების შესაბამისად ვისწავლით აზროვნებას და მოქმედებას, ალბათ შევამჩევთ რომ სოციალისტური ცხოვრების წესი, რომელიც უფლებებისა და მოვალეობების ერთიანობას ნიშნავს, ცხოვრების განუყოფელი ნორმა გახდა.

მომხვეჭელი სათავისოდ, უკანონო გამდიდრებისათვის იყენებს სამეურნეო მექანიზმს, ფასეულობათა აღრიცხვასა და შენახვაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. უშრომელი შემოსავლის მიღების ყველაზე საშიში და გავრცელებული ფორმებია მექრთამეობა, სპეკულაცია, მყიდველთა მოტყუება და სხვა ანგარებითი დანაშაულობები, აგრეთვე ლოთობა და ალკოჰოლიზმი. ამ ბოროტმოქმედებებთან ბრძოლაში კი სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად პრესამაც დიდი როლი უნდა შეასრულოს. ამისათვის საჭიროა იურისტებმა კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენონ პრესა, რადიო და ტელეჟურნალისტიკა კანონის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისათვის.

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ი. ს. სამოშენკომ** გააანალიზა სხვადასხვა საოლქო და საქალაქო გაზეთების რედაქციათა მუშაობა ზნეობრივი და სამართლებრივი ხასიათის პუბლიკაციების გამოქვეყნების თვალსაზრისით აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ნაკლებად იგრძნობა იუსტიციის მუშაკთა მჭიდრო, შემოქმედებითი კონტაქტი პრესის მუშაკებთან. გამოქვეყნებული სამართლებრივი ხასიათის პუბლიკაციები ხშირად ზერელე და არათანმიმდევრულია, ხოლო ზოგიერთი პუბლიკაცია კი მხოლოდ ფაქტების რეგისტრაცია.

ი. ს. სამოშენკო განსაკუთრებით შეჩერდა ზნეობრივ და სამართლებლივ თემებზე მომუშავე ჟურნალისტებთან იურისტების აუცილებელ ურთიერთობაზე და სანიმუშოდ მოიყვანა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების (დირექტორი მ. კომახიძე) გამოცდილება, ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოში კურსებზე პერიოდულად გადიან სტაჟირებას ის ჟურნალისტები, რომლებიც მორალის, ზნეობისა და სამართლის თემაზე წერენ.

საინტერესო იყო სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის **ნ. ი. დემიდოვის** მოხსენება. ილაპარაკა რა პრესასთან მჭიდრო კონტაქტებზე, მან ყურადღება გამახვილა შინაგან საქმეთა ორგანოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ერთობლივ ღონისძიებებზე, რომლებიც მიმართულია პროფილაქტიკის გასაუმჯობესებლად, სამართალდარღვევებთან და დანაშაულთან ბრძოლის გასაძლიერებლად. აღნიშნა, რომ მორალურ-ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღებაში დიდ როლს თამაშობენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შექმნილი პრეს-ბიურო და შესაბამისი პრეს-ჯგუფები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

მინისტრის მოადგილემ კრიტიკულად შეაფასა ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობა და აღნიშნა, რომ დანაშაულთა აღკვეთა-აცილების, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მილიციის მუშაკები ჯერ კიდევ ნაკლებად იყენებენ პრესას, რადიოს, ტელევიზიას. ამ საშუალებათა ურთიერთკოორდინაციას კი უდავოდ დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ფორმირებასა და ჩამოყალიბებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განყოფილების გამგემ **ო. პ. ტემუშკინმა** თავის მოხსენებაში ვრცლად ილაპარაკა იმაზე, თუ რა როლს თამაშობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მოსახლეობის სამართლებრივად აღზრდის საქმეში.

სემინარის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს ტელევიზიის პროპაგანდის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორის **ფ. დ. დანელიას** გამოსვლამ. მისი გამოსვლა მიეძღვნა იმ გამოცდილებათა გაცნობა-გაზიარებას, რაც საქართველოს ტელევიზიას გააჩნია მართლწესრიგისა და სოციალური სამართლიანობის, მორალისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ მიძღვნილი გადაცემების მომზადებაში.

ჟურნალ „სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტის“ მთავარი რედაქტორი **ნ. ნ. კონდრაშკოვი** შეეხო იმ ჟურნალისტთა მუშაობის სპეციფიკას, რომელთაც სამართლისა და მორალის საკითხებზე უხდებათ წერა. მანვე წამოაყენა საინტერესო წინადადება, რომ უნივერსიტეტებში ჟურნალისტთა ფაკულტეტებზე შეიქმნას სპეციალური ჯგუფები, რომლებიც შემდგომში ამ დარგით იმუშავებენ.

ნ. ნ. კონდრაშკოვმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსების საქმიანობას, რაც იმაში გამოიხატება, რომ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან ერთად იგი ყოველ წლიურად აწყობს ერთთვიან სწავლებას იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში მუშაობენ და აშუქებენ სამართლისა და მორალის საკითხებს.

სემინარზე ვრცელი და შინაარსიანი **მოხს-**

ენებით გამოვიდა აგრეთვე სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი პროპაგანდის სამმართველოს უფროსი **ა. ა. ტრებკოვი.**

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე ჟურნალ „ტრეზვოსტ ი კულტურა“-ს განყოფილების რედაქტორის **კ. გ. სურნოვის,** მეცნიერ მუშაკის **ნ. გ. იაკოვლევას,** გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ მთავარი რედაქტორის მოადგილის **ვ. პ. ლისენკოს,** მეცნიერ მუშაკის **ნ. ი. კლეინის,** „ლიტერატურნაია გაზეტას“ სამართლისა და მორალის მიმომხილველის **ი. პ. შეკოჩიხინის,** რსფსრ-ის იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდის სამმართველოს უფროსის **ნ. პ. გოდუნოვის,** გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ განყოფილების რედაქტორის მოადგილის **ლ. ვ. ლუკიანოვის,** გაზეთ „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტის **ვ. ნ. ხალინის,** გაზეთ „ჩელოვეკ ი ზაკონის“ მთავარი რედაქტორის **ვ. მ. სირენკოს,** გაზეთ „მოსკოვსკაია პრავდას“ სპეციალური კორესპონდენტის **ო. კ. ბაზილევიჩის,** ლიტვის ახალგაზრდული გაზეთის „კომსომოლსკაია პრავდის“ განყოფილების გამგის **ვ. ა. ლივიგის,** გაზეთ „სოვეტსკაია მოლდავიის“ კორესპონდენტის **ვ. ვ. უშაკოვის** და სხვათა გამოსვლები.

სემინარის მუშაობა შეაჯამა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის სამართლისა და მორალის სექციის განყოფილების თავმჯდომარემ, ცნობილმა ჟურნალისტმა **ი. ვ. ფეოფანოვმა.**

ზაალ მესხენგიზერი

აგათა კრისტის ორი რომანი

ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალის **აგათა კრისტის** (1891-1975) შემოქმედება თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და მას დიდი ინტერესით ეცნობა მკითხველთა ფართო წრე. აგათა კრისტის თითქმის ექვსი ათეული რომანი შესანიშნავად აგრძელებს გამოჩენილი დეტექტივისტი მწერლის ართურ კონან დოილის ტრადიციებს.

ახლახან დეტექტური ჟანრის მოყვარულმა ქართველმა მკითხველმა კარგი საჩუქარი მიიღო — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 40000 ტირაჟით გამოსცა **ციალა ხაჩიძის** მიერ თარგმნილი აგათა კრისტის ორი რომანი (რედაქტორი **ლია ელიოზიშვილი).**

„აგათა კრისტი, — ნათქვამია წიგნის ანოტაციაში, — ორმოცდაათი წლის მანძილზე უდიდესი წარმატებით მუშაობდა დეტექტურ ჟანრში. თავის ნაწარმოებებში იგი გვაცნობს XX საუკუნის ინგლისის საზოგადოებას, მის ეროვნულ თავისებურებებს, მწერლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია დაძაბული სიუჟეტი. რომანი „სიკვდილი ღრუბლებში“ დაუნდობლად ამხელს ბურჟუაზიული ყოფისათვის დამახასიათებელ სიხარბეს; მეორე რომანში „დანიშნულების ადგილი უცნობია“ ავტორი ეხება ბიზნესის ციინიკურ პრაქტიკას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროპაგანდისტთა დასახმარებლად

უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული როლი ეკისრებათ ადმინისტრაციულ ორგანოებს. მათი ყოველდღიური საქმიანობა დღეს იქითკენ არის მიმართული, რომ პრაქტიკულად განხორციელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანები, რაც სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით დაისახა, უპირველესად მტკიცე სახელმწიფო დისციპლინის დამყარებასა და კანონიერების განმტკიცებას გულისხმობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობენ, ისე წარიმართოს საქმე, რომ მექრთამეების, ხაზინის ქურდების, ხელმრუდეთა და საზოგადოების ხარჯზე გამდიდრების სხვა მოყვარულთა მიმართ საყოველთაო ზიზღის ატმოსფერო შეიქმნას.

როგორც წესი, სამართალდაცვითი ორგანოები თავიანთ მუშაობაში ძირითადად უნდა ეყრდნობოდნენ საზოგადოებრიობას, მჭიდროდ მოქმედებდნენ შრომითს კოლექტივებთან, უფრო სრულად იყენებდნენ ამხანაგურ სასამართლოებს, ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებს, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოებს, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტებსა და საზოგადოებრიობის სხვა ორგანოებს.

პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა წარმართონ მუშაობა, რომ თითოეულ საბჭოთა ადამიანს მტკიცედ ჩამოუყალიბდეს საერთო კეთილდღეობისათვის თავდადებული შრომის პატივისცემა და მისთვის მზადყოფნა, გონივრული მოთხოვნილებანი, შეურიგებლობა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მომხვეჭელობისადმი. იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნათელი აზრის ჩანერგვას, რომ კეთილსინდისიერი შრომა საბჭოთა ადამიანის უპირველესი მოვალეობა და ღირსების საქმეა, რომ მხოლოდ შრომა განსაზღვრავს პიროვნების მდგომარეობას კოლექტივსა და საზოგადოებაში, მის ღირსებას საერთოდ. საჭიროა მკაცრი ბრძოლა გამოეცხადოს შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპების ყოვლეგვარ დარღვევას, წამგლეჯელობისა და დამგროვებლობის სამარცხვინო ფაქტებს, საჯაროდ უნდა გაიკიცხოს ყველა, ვინც ცდილობს ნაკლები მისცეს სახელმწიფოს, მისგან კი რაც შეიძლება მეტი მიიღოს.

პროპაგანდისა და აგიტაციის ორგანიზატორული, ალმზრდელობითი მუშაობის ყველა საშუალებით ადამიანებს საბოლოოდ უნდა განვუმტკიცოთ იმის ღრმა გაგება, რომ ბრძოლა ამ ბოროტების წინააღმდეგ არის ყველასა და თითოეულის საქმე, არც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო აქედან განზე არ უნდა გადგეს. მთელი მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა ისე უნდა მოვაწყოთ, როგორც ამას პარტია და მთავრობა მოითხოვენ.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველომ შეიმუშავა საამისო ლექციების თემატიკა, რომელსაც დღეს ვთავაზობთ მკითხველებს. ვფიქრობთ, იგი სათანადო დახმარებას გაუწევს სამართალდაცვითი ორგანოების წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს:

ლექციების თემატიკა უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე:

1. უშრომელი შემოსავალი სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების ანტიპოდია;
2. სოციალიზმის ძირითადი პრინციპი, „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“, სოციალისტური სამართლიანობის საწინდარია;
3. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების როლი სოციალური სამართლიანობის პრინციპის განხორციელებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. შრომითი შემოსავალი ჩვენი კეთილდღეობის საძირკველია;

5. უშრომელი შემოსავლის კანონმდებლობაა დანიშნულება კერძომესაკუთრული ტენდენციიდან სოციალისტური მეურნეობის წესის დაცვაში (კომერციული შუამავლობა, აკრძალული სახეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, სპეკულაცია, დატაცება, წვრილმანი დატაცება და სხვა);

6. უშრომელ შემოსავალთან ბრძოლა სოციალისტური სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა;

7. კანონმდებლობა სატრანსპორტო საშუალებების უკანონო გამოყენებით უშრომელი შემოსავლის მიღების თაობაზე;

8. კანონმდებლობა სოციალისტური წარმოების განაწილების პრინციპების შესახებ;

9. უშრომელი შემოსავლის კანონმდებლობა ენერგიით სარგებლობის წესების დაცვის შესახებ;

10. კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ქრთამის აღებისათვის;

11. დეკლარაცია შემოსავლის შესახებ შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის უზრუნველყოფის საშუალებაა;

12. შრომითი კოლექტივების როლი და ამოცანები უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლაში;

13. უშრომელი შემოსავლის შესახებ კანონი ჩვენი პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის საკანონმდებლო განმტკიცებაა.

ლექციების თემატიკა შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისა და წარმოების მართვაში შრომითი კოლექტივების როლის ამაღლების საკითხებზე:

1. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები განვითარებული სოციალიზმის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში შრომითი კოლექტივების ამოცანების შესახებ;

2. შრომითი კოლექტივების ფუნქციები;

3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები შრომით კოლექტივებში;

4. დემოკრატიული საწყისების განვითარება საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში;

5. სახელმწიფოს, საზოგადოების, კოლექტივისა და პიროვნების ინტერესების შერწყმა;

6. შრომითი კოლექტივების უფლებებისა და მოვალეობების ერთიანობა;

7. კოლექტივის წევრების შრომითი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივს განვთარება;

8. შრომთი კოლექტივების უფლებამოსილება სამსახურებრივი საკითხების განხილვისა და გადაწყვეტისას;

9. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილება სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისას;

10. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილება კოლექტიური ხელშეკრულებებისა და მისი გარანტიების დადებისას;

11. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილება სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისათვის;

12. შრომითი კოლექტივების მონაწილეობა მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად.

13. შრომითი კოლექტივების როლი შრომითი დისციპლინის განმტკიცებაში;

14. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილება შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების საქმეში;

15. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილება კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებასა და განაწილებაში;

16. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილება მუშაკთა შრომითი აქტივობის განვითარებისა და სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში;

17. შრომითი კოლექტივების როლი ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის გაძლიერების საქმეში;

18. კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა შრომით კოლექტივებში სპირტიანი სასმელების დალევისათვის;

19. შრომთი კოლექტივების როლი და ამოცანები უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლაში;

20. შრომის ხელშეკრულების მხარეები და შინაარსი;

21. შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების მოთხოვნათა აკრძალვა;

22. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები;

23. განსაზღვრული ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების მოშლა მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით;

24. შრომის ხელშეკრულების მოშლა ადმინისტრაციის ინიციატივით;

25. ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლის აკრძალვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტის თანხმობის გარეშე;

26. მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობა ზარალის მიყენების შემთხვევაში;

27. ზეგანაკვეთური სამუშაოს დროს გამოყენებული წესი და პირობები;

28. სოციალიზმის ძირითადი პრინციპი შრომის მიხედვით ანაზღაურების თაობაზე საწარმოო მოცდენათა და მისი ანაზღაურების წესი და პირობები;

29. შრომის ანაზღაურება წუნდებული პროდუქციის გამოშვებისას;

30. შრომის ანაზღაურების ოდენობა გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობისას;

31. მუშათა და მოსამსახურეთა მოვალეობანი;

32. საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის შინაგანაწესი;

33. წახალისება მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის;

34. სასჯელი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის;

35. შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა;

36. ადმინისტრაციული და შრომის დაცვის წესები;

37. არასრულწლოვანთა შრომითი უფლებები;

38. ქალთა შრომის მოწესრიგება სსრ კავშირში;

39. შრომის დაცვის განხილვის წესი;

40. პროფესიული კავშირების უფლებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემუშავებასა და რეალიზაციაში, მატერიალური და ფინანსური რესურსების განაწილებისა და გამოყენების საკითხების გადაწყვეტაში; მუშებისა და მოსამსახურეების ჩაბმაში საწარმოს, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. გ. მაყაშვილი



გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამართლის რედაქციის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი ვლადიმერ გიორგის ძე მაყაშვილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილების დამთავრებისთანავე ვ. მაყაშვილმა პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო ამავე ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ ლექციებს კითხულობდა საკავშირო იურიდიული დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში.

ვ. მაყაშვილი მეცნიერ-კრიმინალისტად სტუდენტობის წლებიდანვე ყალიბდებოდა გამოჩენილი იურისტის ლ. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით. ახალგაზრდა ვ. მაყაშვილის მეცნიერულ ზრდაზე განსაკუთრებით ნაყოფიერად იმოქმედა ლ. ანდრონიკაშვილის მიერ შექმნილი მაღალი ტიპის სემინარში მონაწილეობამ. მოხსენებები, რომლებსაც იგი აქ კითხულობდა, შემდეგში საფუძვლად დაედო მის მეცნიერულ გამოკვლევებს სისხლის სამართლის სფეროში.

ვ. მაყაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობიდან ცალკე უნდა გამოვყოთ ფუნდამენტური გამოკვლევა „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის", რომელსაც დიდი გამოხმაურება ჰქონდა ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. ვ. მაყაშვილი ერთი-ერთი იმათთაგანია, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართული საბჭოური სისხლის სამართლის მეცნიერებას. იგი ბრალის პრობლემის შესანიშნავ მცოდნედ ითვლებოდა. მის ცხოვრებაში ბევრი რამ განსაზღვრა საზიარო საქმიანობამ გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერთან პროფ. თ. წერეთელთან. ზოგიერთი სამეცნიერო გამოკვლევა მათ ერთობლივად აქვთ დამუშავებული და გამოქვეყნებული. ამ გამოკვლევებს შორის უნდა დავასახელოთ „დანაშაულის შემადგენლობა როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი", რომელიც 1954 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავო" და სათავე დაუდო ამავე ჟურნალის ფურცლებზე გამართულ დისკუსიას ამ საკითხზე.

სიცოცხლის ბოლო წლებში მაყაშვილი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც იგი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. აქ მან დაწერა და გამოაქვეყნა ნაშრომი „სამართლის მეცნიერება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში" (თანაავტორი დ. ფურცელაძე). სიკვდილის წინ ვ. მაყაშვილმა დაასრულა ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელიც მისი მასწავლებლის ლ. ანდრონიკაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიუძღვნა (თანაავტორი თ. წერეთელი). ეს გამოკვლევა სულ მალე დაისტამბება.

1966 წელს, როცა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შექმნის სამუშაოები დაიწყო, ვ. მაყაშვილი მიიწვიეს სამართლის რედაქციის ხელმძღვანელად. მან დიდი ამაგი დასდო ქართული ენციკლოპედიის საერთო მეთოდიკური საკითხების დამუშავებას და სამართლის დარგის ღირსეულად წარმოჩენას.

ვ. მაყაშვილი ერთ ერთი საკავშირო და საერთაშორისო კოლოკვიუმისა და კონფერენციის მონაწილე იყო. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა გამოსვლამ სამეცნიერო მოხსენებით საბჭოთა და დასავლეთ გერმანიის საერთაშორისო კოლოკვიუმზე (1982). მის მიერ წაკითხული მოხსენება დაიბეჭდა დასავლეთ გერმანიაში გამოცემულ საგანგებო კრებულში.

დიდია ვ. მაყაშვილის დამსახურება ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდაში. უნდა ითქვას, რომ ეს ხდებოდა სრულიად უანგაროდ და ოფიციალურად არსად არ ფიქსირდებოდა. ამ თვალსაზრისით იგი ნამდვილ ერისკაცად გვევლინებოდა.

სანიმუშო მოქალაქის და მეცნიერის ვ. მაყაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობა, მისი ზნეობრივი სახე ყველასათვის მისაბაძ მაგალითად დარჩება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკითხველთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული შეკითხვების პასუხად მკითხველებს განვუმარტავთ, რომ ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ ლიმიტირებული არ არის და მისი გამოწერა შეიძლება შეუზღუდავად წლის ნებისმიერ დროს.

ერთი ნომრის ფასია 60 კაპიკი.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 6, 1986 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-88-49, 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина, 14.

610/26

ფასი 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76185